



საერთაშორისო სამართლის ლაბორატორია

**სისხლის სამართლის
ქრონიკები
(სტუდენტთა ნაშრომების კრებული)**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

საერთაშორისო სამართლის
ლაბორატორია

სისხლის სამართლის ქრონიკები
(სტუდენტთა ნაშრომების კრებული)



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2018

სარედაქციო კოლეგია:

მარიამ ჯიქია - სამართლის დოქტორი, კსუ-ს სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო სამართლის ლაბორატორიის ხელმძღვანელი

თამარ ნადირაშვილი - კსუ-ს საერთაშორისო სამართლის ლაბორატორიის კოორდინატორი, სამართლის მაგისტრი

ეკა თხილავა - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, კსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, კსუ-ს სწავლული მდივანი

ანუკი წივწივამე - კსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

© კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2018

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2018

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-336-1

სარჩევი

მარიამ კვაჭაძე სოფიკო კლიმიაშვილი. სტამბოლის კონვენციის გავლენა ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე.....5

გიორგი ჯანჯალაშვილი. აუცილებელი მოგერიების ექსცესის სადავო საკითხები სასამართლო პრაქტიკის მიხედვით.....17

მარიამ ნუცუბიძე, თამარ შავგულიძე. სინთეზური ტრიბუნალი, როგორც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის გამოწვევა (დუჯაილის პროცესის მაგალითზე).....32

მარიამი ხარებაშვილი. ტრეფიკინგი, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული - გამოწვევები და პერსპექტივები57

ქეთევან ჩახნაშვილი, მარიამ გაბუნია. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისას ზიანის ანაზღაურების საკითხები72

მარიამ ღამბაშიძე, ნანა ჯანელიძე. მცდელობის საკითხი არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში93

ვიქტორია ბუცხრიკიძე. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში.....106

ეთერ ჩაჩუა. ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება117

დავით სანებლიძე. მექრთამეობა (ზოგადი მიმოხილვა, სასამართლო პრაქტიკა, სტატისტიკა).....132

**სტამბოლის კონვენციის გავლენა ქართულ სისხლის სამართლის
კანონმდებლობაზე**

შესავალი

დროის სვლასთან ერთად მსოფლიო სულ უფრო მძაფრად შეიგრძნობს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ თეზას, რაც უბიძგებს მას, მთელი რიგი მოქმედებები განახორციელოს არსებული უთანასწორობის დასაბალანსებლად. ეს გამოიხატება კონვენციების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მიღებაში. ჩვენს სახელმწიფოსაც, რა თქმა უნდა, აქვს პრეტენზია, იყოს განვითარებული სამყაროს სრულყოფილებიანი და სრულყოფილი წევრი, რის გამოც დგას მსოფლიო თანამეგობრობის თაოსნობით წამოწყებული საკანონმდებლო ცვლილების ნაკადში ჩაბმის აუცილებლობა. საქართველო იმ სახელმწიფოთა რიცხვშია, რომელმაც მოახდინა სტამბოლისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციების რატიფიცირება, ამის დარად საქართველომ იკისრა ვალდებულება, თანხვედრაში მოეყვანა ნაციონალური კანონმდებლობა მოთხოვნილ სტანდატებთან. სწორედ ამ აუცილებლობით იყო ნაკარნახევი ბოლო პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებები. კერძოდ, კანონს დაემატა 133¹, 133² და 151¹ მუხლები, რითაც მოხდა გარკვეული ქმედებების კრიმინალიზაცია. სიღრმისეული მსჯელობის ჩამოსაყალიბებლად და სრულყოფილი დასკვნების გასაკეთებლად საჭიროა არა მხოლოდ ამ ნორმებისა და მისი შემცველი დამამძიმებელი, განსაკუთრებულად დამამძიმებელი გარემოებებს განხილვა, არამედ შესაბამისი საერთაშორისო დანაწესების კომენტირებაც.

1. სტამბოლის კონვენციის ისტორიული ექსკურსი და მიზნები

ევროსაბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციის შესახებ გაიხსნა პარაფირებისთვის 2011 წელს, სტამბოლში¹. ეს არის პირველი იურიდიულად მავალდებულებელი დოკუმენტი ევროპაში, რომელიც მიმართულია როგორც ოჯახში, ისე მის გარეთ ყველას, განსაკუთრებით კი, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. კონვენცია მიზნად ისახავს ძალადობის თავიდან აცილებას, საზოგადოების ინფორმირებას და ასევე ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციას. ის მოუწოდებს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამართალდამცავ ორგანოებს, აღმოფხვრან ძალადობის ნებისმიერი ფორმა.² კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დააწესონ ისეთი ქმედებებისთვის, როგორებიცაა ქალის გენიტალიების დასახიჩრება, იძულებითი ქორწინება, ადვენება, იძულებითი აბორტი, იძულებითი სტერილიზაცია და ადამიანის სქესობრივი თავისუფლების ხელმყოფი ნებისმიერი ტიპის ქმედება.³

კონვენციისადმი მიერთების პროცესი ორ ეტაპად მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე სახელმწიფომ ხელი უნდა მოაწეროს დოკუმენტს მთავრობის დონეზე, ხოლო შემდგომ, საჭიროა მისი რატიფიცირება ნაციონალური პარლამენტის მიერ.⁴

¹ <<https://rm.coe.int/1680464e75>> [20.05.2018]

² Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, CETS No. 210, (მიღებულია 2011 წლის 11 მაისს, ძალაში შევიდა 2014 წლის 1-ელ აგვისტოს) preamble.

³ იქვე, მუხლები 37, 38, 39.

⁴ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2015, 111.

დღესდღეობით კონვენციას 48 ხელმომწერი ჰყავს და მათგან 28 სახელმწიფომ მის მიღებასთან დაკავშირებით ყველა პროცედურა უკვე დაასრულა. მათ შორისაა: საქართველო, თურქეთი, სკანდინავიის სახელმწიფოები, გერმანია, საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი, იტალია და სხვ. რაც შეეხება დანარჩენ სახელმწიფოებს, ესენია: დიდი ბრიტანეთი, ისლანდია, უკრაინა, მაკედონია, საბერძნეთი, ესტონეთი, ბელგია, ლატვია და სხვები.⁵ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს აქვთ ორმაგი ვალდებულება კონვენციის მიღებასთან დაკავშირებით. ერთი გამომდინარეობს მათ მიერ პირველ ეტაპზე განხორციელებული მოქმედებიდან - კონვენციის ხელმოწერიდან, მეორე კი - მათი სტატუსიდან (ევროკავშირის წევრობიდან). ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ლატვიაში განვითარებული მოვლენები. მის მიერ ეს საერთაშორისო დოკუმენტი ხელმოწერილ იქნა 2016 წელს და, შესაბამისად, ლატვიამ უნდა მოახდინოს მისი რატიფიკაცია 2018 წლამდე. ამის პარალელურად დაახლოებით 200-მა პედაგოგმა მოაწერა ხელი წერილს, რომელშიც ნათქვამია, რომ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება არ შეიძლება მოხდეს, ვინაიდან ის საფრთხეს უქმნის ლატვიის, როგორც ერის, არსებობას. კონვენციისადმი ანტაგონისტური დამოკიდებულება აქვს არა მხოლოდ საზოგადოებას, არამედ, საკუთრივ, სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა თანამდებობის პირებსაც. მათ შორის არიან სეიმის რამდენიმე ათეული დეპუტატი და იუსტიციის მინისტრი.⁶

ოჯახური ღირებულებების დამცავი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ამბობენ, რომ არ შეიძლება მოხდეს ამ კონვენციის მხარდაჭერა, ვინაიდან დოკუმენტი უშვებს პოლიგამიას და ლეგალიზაციას უწევს ისეთ გაგებას, როგორცაა „სოციალური

⁵<<http://rus.delfi.lv/news/daily/story/stambulskaya-konvenciya-chto-napisano-v-skandalnom-dokumente.d?id=47423529>> [20.05.2018]

⁶ იქვე.

სქესი“. მეტიც, იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა სპეციალური კვლევა, რომელშიც ნათქვამია, რომ მათი ქვეყანა ვერ შეეგუება საერთაშორისო ხელშეკრულებაში არსებულ ჩანაწერს იმის თაობაზე, რომ ლატვიელი კაცები ზღუდავენ ქალებს და ხელს უშლიან მათი პოტენციალის გამოვლენას.⁷ რომ არ ყოფილიყვნენ თავისუფლებისათვის მებრძოლები კაცები, საერთოდ არ იარსებებდა ლატვია, როგორც სახელმწიფო. ამგვარად, თუ მიიღებენ იდეას იმის შესახებ, რომ მათი მამაკაცები აფერხებდნენ ქალების განვითარებას, ვერ იქნება მიღწეული კონსტიტუციის პრემბულაში გაცხადებული მიზანი: „პატივი ვცეთ წარსულის გმირებს.“⁸

რაც შეეხება, უშუალოდ, კონვენციის მიზნებს, მისი მთავარი ამოცანაა, ყველას, მეტწილად კი ქალების დაცვა ძალადობისაგან. გარდა ამისა, ის ცდილობს, აღმოფხვრას ყველა ფორმის დისკრიმინაცია და აყალიბებს ქალსა და მამაკაცს შორის რეალურ თანასწორუფლებიანობას. სტამბოლის კონვენცია ქალებისა და, ზოგადად, ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად ქმნის მძლავრ მექანიზმს და ამ მიმართულებით თანამშრომლობისთვის აყალიბებს ერთიან პლატფორმას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსადებია, ის ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ნაციონალური კანონმდებლობა თანხვედრაში მოიყვანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დანაწესებთან და უზრუნველყონ დანაშაულად გამოცხადებული ქმედებების პრევენცია.

⁷ იქვე.

⁸ Constitution of the Republic of Lithuania, preamble.

2. სტამბოლის კონვენციის გავლენა საქართველოს კანონმდებლობაზე

პირველ ეტაპზე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ განსახილველი კონვენცია შეიცავს როგორც მატერიალურ-სამართლებრივ, ისე პროცესუალურ-სამართლებრივ დანაწესებს.

კონვენციას საკმაოდ დეტალიზებული შინაარსი აქვს. ის შეიცავს იმ ვალდებულებათა ჩამონათვალს, რომელიც თითოეული სახელმწიფოს მიერ ნაბიჯ-ნაბიჯ და ეტაპობრივად უნდა შესრულდეს.

ხაზგასასმელია, რომ კონვენციაში მითითებული, მეტწილად, ყველა რეკომენდაცია საქართველოს მიერ გაზიარებულ იქნა კონვენციის მე-8(1) და მე-12(2)-ე მუხლის შესაბამისად. ამასთან, კონვენციაში არსებული მითითებების საკმაოდ მოცულობითი ნაწილი ამ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციამდე საქართველოს კანონმდებლობაში უკვე არსებობდა, მაგალითად, იძულებითი ქორწინების აკრძალვა და ასეთი კავშირის სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგები, კომპენსაცია, დამატებითი მომსახურება სპეციალისტების მიერ, თავშესაფარი, სატელეფონო დახმარების ხაზები, სქესობრივი ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ძალადობის მოწმე ბავშვების დაცვა, შეტყობინება, სქესობრივი ძალადობა, მათ შორის გაუპატიურება, ხელის შეწყობა ან თანამონაწილეობა და მცდელობა. ახლა კი მიყვებით კონვენციის თითოეულ ნორმას და განვიხილოთ რა ტიპის ცვლილებები იქნა განხორციელებული მათ კვალდაკვალ ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

მაგალითად, 32-ე მუხლი საუბრობს იძულებითი ქორწინების კრიმინალიზაციასა და მის სამოქალაქო-სამართლებრივ შედეგებზე. იძულებითი ქორწინების დამსჯელი ნორმა სისხლის

სამართლის კოდექსში შემოღებულ იქნა 2014 წელს, 251¹-ე მუხლის სახით, ხოლო, რაც შეეხება სამოქალაქო-სამართლებრივ შედეგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1144-ე მუხლის მიხედვით, იძულებითი ქორწინება არის ბათილი და ვერანაირი ტიპის პრეზუმციით ეს ნაკლი ვერ იქნება გამოსწორებული, განსხვავებით ქორწინების ბათილობის სხვა საფუძვლებისაგან, როცა კეთილსინდისიერ მელულესთან მიმართებით ქორწინებით წამროშობილი შედეგები ძალისმიერია 1147-ე მუხლის შესაბამისად.

კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ერთი ან მეტი მაკოორდინირებული ორგანო, რომელთა განხორციელებული პოლიტიკა იქნება მიმართული ამ კონვენციაში გაცხადებული ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრისაკენ.

2017 წელს შსს-ს მმართველობით ორგანოთა სტრუქტურას დაემატა კიდევ ერთი ორგანო - გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, რომელიც სპეციალურად ქალთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესწავლას ემსახურება.⁹

კონვენციის მე-19, მე-20, 21-ე და 22-ე მუხლებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ისეთი ტიპის ინსტიტუციები, რომლებიც გაუწევენ ძალადობის მსხვერპლს იურიდიულ, ფსიქოლოგიურ, მორალურ, სამედიცინო და ფინანსურ დახმარებას. აღსანიშნავია, რომ კონვენციის რატიფიკაციამდე, ანუ 2017 წლამდე, საქართველოს კანონმდებლობაში უკვე იყო მთელი რიგი საკითხები მოწესრიგებული. უფრო კონკრეტულად კი 2009 წელს მიღებულ

⁹<<http://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2017/08/interagency-commission-now-operational>> [20.05.2018]

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში რეგლამინტირებულია მსხვერპლის დაცვისა და დახმარების სხვადასხვა მექანიზმები, სოციალური მოსახურების, დამცავი-შემაკავებელი ორდერების, დროებითი საცხოვრებლის, თავშესაფრის, კრიზისული ცენტრისა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების სახით, თუმცა, 2017 წელს დასახელებული ნორმების შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროს იურისდიქციას დაქვემდებარებული, კიდევ უფრო დახვეწილი და მდგრადი, ორგანო შემოვიღეთ ძალადობის კოორდინატორის სახით. ეს არის ადამიანი, რომელსაც შეთვისებული აქვს როგორც იურისტის, ისე ფსიქოლოგის ფუნქციები, რაც გამოიხატება იმაში, რომ ის არა მხოლოდ აცნობს მსხვერპლს სამართალწარმოების პროცესს, არამედ მორალურ და ფსიქიკურ მხარდაჭერას უწევს მას. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის კოორდინატორი სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ფუნქციებს ითვისებს, მისი უფლებამოსილებები მკვეთრად გამიჯნულია და მისი გაიგივება პროკურორთან, ადვოკატთან ან სოციალურ მუშაკთან ყოვლად მიუღებელია. ის არ გახლავთ მხარე, ექსპერტი ან მოწმე სასამართლო პროცესზე. მას აქვს ერთადერთი მიზანი: მაქსიმალურად შეუმსუბუქოს ყოფა ძალადობის მსხვერპლს.

კონვენციის მე-11 მუხლი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს რეგულარულ ინტერვალებში შეაგროვონ დეტალიზირებული, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის ყველა ფორმასთან დაკავშირებულ შემთხვევებზე. ამ მიმართულებით საქართველო კონვენციის რატიფიკაციამდეც არ ყოფილა პასიური, თუმცა შესამჩნევი აქტივიზაცია მაინც სახეზეა. საქსტატმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიხედვითაც 2015 წლის პირველ სამ კვარტალში საქართველოს მასშტაბით ოჯახში ძალადობის 2 114 შემთხვევა გამოვლინდა, მათგან 1 845 შემთხვევაში მსხვერპლი ქალი და 269

შემთხვევაში - კაცი იყო. წინა წელთან შედარებით ოჯახში ძალადობის ჯამური მაჩვენებელი 1 285 ერთეულით, აქედან ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები 1 103 ერთეულით, კაცების მიმართ კი - 182 ერთეულით გაიზარდა. გასათვალისწინებელია, რომ ეს მხოლოდ იმ შემთხვევებს მოიცავს, როდესაც ძალადობის ფაქტს სამართლებრივი რეაგირება მოჰყვა, ძალადობის სხვა შემთხვევები კი საბოლოო სტატისტიკაში ვერ ხვდება.¹⁰

მეტიც, მე-11 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ მნიშვნელოვანია, არამხოლოდ კვლევების ჩატარება, არამედ მიღებული შედეგების გამოქვეყნება და საყოველთაო ხელმისაწვდომობა. ჩვენთან ეს სტანდარტიც დაცულია. კონკრეტული კვლევის ჩამტარებელი თითოეული სახელმწიფო ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ყველა სტატისტიკა ხელმისაწვდომია. ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, უცილობლად უნდა განვიხილოთ მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის აქტების პრევენციისათვის საჭირო არსებულ ზომებზე სრული ინფორმაციის მიწოდება ფართო საზოგადოებისთვის. საქართველოს მთავრობის ინიციატივით ბოლო პერიოდში სკოლებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში აქტიურად ტარდება ტრენინგები, რომლებიც ახალგაზრდების ცნობიერებას ზემოთ გაცხადებულ საკითხებთან მიმართებით ამაღლებს.

38-ე და 39-ე მუხლების მიხედვით სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ სტერილიზაციისა და ქალთა გენიტალიების დასახიჩრების კრიმინალიზაცია. ჩვენმა სახელმწიფომ ეს

¹⁰ <<http://liberali.ge/news/view/17909/saqstati-2015-ts-III-kvartalshi-ojakhuridzaladobis-mskhverpli-1-286-qali-gakhda>> [20.05.2018]

მოთხოვნა პირნათლად შეასრულა და კანონმდებლობას დაამატა შესაბამისი შინაარსის ნორმები.¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133¹ მუხლის მიხედვით დასჯადია პირისთვის მისი წინასწარი თანხმობის გარეშე ისეთი ოპერაციის ან მანიპულაციის ჩატარება, რომლის მიზანიც ამ პირის რეპროდუქციის უნარის მოშლაა. 133²-ს მიხედვით კი - სხვადასხვა მოტივაციით ან მის გარეშე ქალის სასქესო ორგანოების მთლიანად არ ნაწილობრივ ამოკვეთა, ინფიბულაცია ან სხვაგვარი დასახიჩრება, ან ქალის იძულება/დაყოლიება ასეთი ოპერაციის ჩასატარებლად. ამგვარად, განსახილველი მუხლის პირველ ნაწილში გვხვდება როგორც ფორმალური, ისე მატერიალური დანაშაული. ამ ნორმებს გააჩნია როგორც დამამძიმებელი, ისე განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებები. ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ეს დანაშაულები თანამედროვე საქართველოში ბოლო დროს დიდი რაოდენობით დაფიქსირდა. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნება, თუ მიმოვიხილავთ, სად და როდის წარმოიშვა ასეთი მოქმედებების განხორციელების პრაქტიკა. ზოგიერთის მოსაზრებით ეს რელიგიური რიტუალის ერთ-ერთი ფორმაა, თუმცა ეს არ არის სწორი. ეს არის ტრადიცია, რომელიც თავდაპირველად წარმოიშვა ეკვატორთან ახლოს მყოფ აფრიკისა და აზიის სახელმწიფოებში. საქმე იმაშია, რომ, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით უფრო მაღალია მოლეკულათა მოძრაობის სიჩქარე, რაც, ლოგიკურია, დიფუზიის სიჩქარესაც განსაზღვრავს. შესაბამისად, ცხელი კლიმატის მქონე სახელმწიფოებში გოგონების სქესობრივი მომწიფების ასაკი ნორმალურზე უფრო ადრე დგებოდა და იმისთვის, რომ მათ არ ჰქონოდათ საწინააღმდეგო სქესის მიმართ სქესობრივი ლტოლვა დროზე ადრე, მიღებულ იქნა ასეთი ტიპის

¹¹ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, N:1221-რს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 26.07.2017.

გადაწყვეტილება. რაღა თქმა უნდა, თანამედროვე, ცივილიზებულ სამყაროში ასეთი ტიპის მოქმედებები ყოვლად მიუღებელია და ჩვენი სახელმწიფო იმ სახელმწიფოთა რიცხვშია, რომლებიც გამობნენ ქალის სხეულზე ამგვარი ტიპის მანიპულაციებს.

2017 წლამდე სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებულ გაუპატიურებაში მოისაზრებოდა სქესობრივი კავშირი, დამყარებული ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, ხოლო, 138-ე მუხლის შინაარსი გულისხმობდა ადამიანის სხეულში ნებისმიერი ტიპის შეღწევას, გარდა სქესობრივი კავშირისა.¹² სტამბოლის კონვენციის ზეგავლენით განხორციელებული ცვლილებებით 137-ე და 138-ე მუხლები გაერთიანდა და გაუპატიურებამ მოიცვა არამხოლოდ სქესობრივი კავშირი, არამედ ნებისმიერი ტიპის შეღწევა ადამიანის სხეულში, ხოლო ის მოქმედებები, რომლებიც არ ჯდება 137-ე მუხლის შინაარსში, გათვალისწინებულ იქნა 138-ე მუხლით. მაგალითად, სასქესო ორგანოს სტიმულირება შეღწევის გარეშე და ა.შ. აღნიშნულ ცვლილებამდე პირის 137-ე მუხლით გასამართლებისათვის, მიუხედავად მუხლის დისპოზიციის შინაარსისა, აუცილებელი იყო ძალადობის კვალის არსებობა. დღეის მდგომარეობით ეს პრაქტიკა შეიცვალა და ძალადობის კვალის არსებობა აღარ არის აუცილებელი გარემოება ქმედების აღნიშნული მუხლით კვალიფიკაციისთვის.

და ბოლოს, კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად სსკ-ს დაემატა 151¹ მუხლი, რომელსაც შემოაქვს სრულიად ახალი ტერმინი - ადევნება. ადევნება გულისხმობს პირადად ან მესამე პირის მეშვეობით მსხვერპლის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ განხორციელებულ ნებისმიერ განზრახ ქმედებას, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს ფსიქიკურ

¹² იქვე.

ტანჯვას ან შიშს, რაც პირის ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის მიზეზი ხდება. საინტერესოა, რომ მსოფლიოში ადევნების მსგავსი ქმედების კრიმინალიზაცია პირველად მოხდა ამერიკაში, ევროპული სახელმწიფოებიდან კი ამ თვალსაზრისით ინოვატორები იყვნენ - დიდი ბრიტანეთი და ირლანდია. სამივე სახელმწიფომ სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი ნორმები შეიტანა მე-20 საუკუნეში.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციის საფუძველზე ქართულ კანონმდებლობაში ძირეული ცვლილებები განხორციელდა ქალთა უფლებების და თავისუფლების დასაცავად. გარდა იმისა, რომ შეიცვალა გარკვეული მუხლები, ამასთანავე სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ისეთი ნორმები, რომლებიც მაქსიმალურად ესადაგება ამ კონვენციას და ხელს უწყობს ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრას.

„სტამბოლის კონვენცია უდიდესი მნიშვნელობის ინსტრუმენტია მრავალი თვალსაზრისით. ერთი მხრივ, იგი აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლების დარღვევას და დისკრიმინაციის ფორმას წარმოადგენს. უფრო მეტიც, იგი მიზნად ისახავს ასეთი ძალადობისათვის ნულოვანი ტოლერანტობის არსებობას, რისთვისაც ახდენს ქმედებათა მთელი წყების კრიმინალიზაციას.“ - აღნიშნა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე, ანა ბრასეურმა.

აღსანიშნავია, რომ ეს გახლავთ პირველი საერთაშორისო კონვენცია, რომელშიც მოცემულია გენდერის განსაზღვრება. ის ყველაზე მრავლისმომცველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც ებრძვის ადამიანის უფლებების ასეთ სერიოზულ

დარღვევებს. ის მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ევროპისა და მის ფარგლებს მიღმა მდებარე ქვეყნების უფრო უსაფრთხო ადგილად ქცევისათვის. თითოეული წევრ-სახელმწიფოს ვალდებულება, შეცვალოს ეროვნული კანონმდებლობა კონვენციის დანაწესებისამებრ, ხელისშემწყობი ფაქტორია ამ უკანასკნელის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კონვენცია ახდენს არამარტო გარკვეული ქმედებების კრიმინალიზაციას, არამედ ითვალისწინებს მისი აღმოფხვრის მრავალ საშუალებას და სთავაზობს სახელმწიფოებს ინტეგრირებულ პოლიტიკას თუ როგორ უზრუნველყონ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება.

**აუცილებელი მოგერიების ექსცესის სადავო საკითხები
სასამართლო პრაქტიკის მიხედვით**

შესავალი

არსებობს გამონათქვამი, რომელიც ძალიან კარგად აღწერს პიროვნებისა და კანონის ურთიერთდამოკიდებულებას: „კანონი შეიქმნა ადამიანისთვის და არა ადამიანი - კანონისთვის“. ამგვარი დამოკიდებულება თანამედროვე ცივილური საზოგადოების მსოფლალქმის მნიშვნელოვანი ქვაკუთხედეა, რომელიც ცხადყოფს, რომ კანონმდებლობა უნდა ეფუძნებოდეს ჰუმანურობის პრინციპს, მისი მამომრავებელი ძალა ადამიანთა სიყვარული უნდა იყოს. კანონი ამ მხრივ მოქალაქეებს უფლებას აძლევს, გარკვეულ ვითარებაში, საკუთარი ინიციატივით იმოქმედონ და აღასრულონ სამართლიანობა თავიანთი ძალებით, გამოუვალი მდგომარეობიდან გამომდინარე; დაიცვან საკუთარი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთე, გამოხატული სიცოცხლეში, ჯანმრთელობასა ან საზოგადოების უშიშროებაში. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც მთლიანი თავი ეთმობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს. აღნიშნული თავის პირველი მუხლს წარმოადგენს აუცილებელი მოგერიება.¹³

კანონის განმარტების მიხედვით, აუცილებელი მოგერიება ისეთი მდგომარეობაა, რომელიც პირს უფლებას აძლევს, განახორციელოს თავდაცვა და, მამასადამე, მოიგერიოს თავდამსხმელი საკუთარი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად, რომელიც შეიძლება გამოიხატოს როგორც სიცოცხლის, ასევე ჯანმრთელობის ან რაიმე მატერიალური ნივთის ფორმით, თუნდაც ფატალური შედეგის გათვალისწინებით. თუმცა საქართველოს კანონმდებელი აქაც

¹³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, სსმ, 41(48), 13/08/1999, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>> [22.08.2018], მუხლი 28.

აწესებს ჩარჩოებს და პირს აბსოლუტურ უფლებამოსილებას არ ანიჭებს, ზღუდავს მას, რაც გამოიხატება შემდეგში: აუცილებელი მოგერიება უნდა განხორციელდეს იმწუთიერად, პროპორციული ძალებით მართლსაწინააღმდეგო და რეალური თავდასხმისას. ფარგლებს გადაცილება დროსა და ძალთა პროპორციებში, სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედებაა და აღნიშნულ შემთხვევაში პირის მიმართ ჩვეულებრივ იწყება სისხლის სამართლის დევნა. როგორც აღვნიშნეთ, აუცილებელი მოგერიება არის თავდამსხმელის დაზიანება რაიმე სამართლებრივი სიკეთის დასაცავად, თუმცა აქ ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ მართლზომიერი და მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა.

აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებისათვის საჭიროა რამდენიმე პირობის არსებობა, კერძოდ, ხელყოფა უნდა იყოს: მართლსაწინააღმდეგო, იმწუთიერი, რეალური, სისხლის სამართლებრივად რელევანტური, უცილობლოდ სოციალურად საშიში ქმედება და მისი მოგერიება უნდა იყოს სუბიექტურად სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით განხორციელებული.

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიხმოთ სსკ. 29-ე მუხლი, დამნაშავეს შეპყრობა, რომელიც ასევე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებაა. ამრიგად, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი კანონიერად აკავებს, თავს ესხმის ექვმიტანილს, ის მართლზომიერად მოქმედებს და ექვმიტანილს წინააღმდეგობის გაწევის უფლება არ აქვს. განვიხილოთ მეორე შემთხვევა, როდესაც პირს თავს ესხმის ყაჩაღი ანგარების მოტივით, ამ შემთხვევაში ყაჩაღის ქმედება მართლსაწინააღმდეგოა და პირს სრული უფლება აქვს, მოიგერიოს თავდასხმა თავად, დარეკოს პოლიციაში ან საშველად უხმოს. უპირველეს ყოვლისა, თავდასხმისას შეუძლებელია ბრალეულობის დადგენა, ვინაიდან ეს სასამართლოს კონპეტენციაა, მეორეც, თავდასხმას შეიძლება სულაც 14 წელს მიუღწეველი პირი ანდა სულიერად შეურაცხადი პირი ახორციელებდეს. მაშასადამე, ზემომოყვანილი მაგალითებიდან

გამომდინარე, შესაძლოა, პირი სულაც არაბრალებულად ხელყოფდეს სხვის სამართლებრივ სიკეთეს, ცხადია, აუცილებელი მოგერიება ამ შემთხვევაშიც მართლზომიერია, ვინაიდან აუცილებელი მოგერიებისას ჩვენ არ გვინტერესებს თავდამსხმელის ბრალეულობა ანდა ქმედების დანაშაულებრიობა.

აქვე უნდა ითქვას, რომ აუცილებელი მოგერიება პირის უფლებას და არა მოვალეობას, მაშასადამე, მის სურვილზეა დამოკიდებული თავდასხმის საპასუხო ქმედება - უპასუხებს თავდასხმას თუ არა. მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც თავდასხმა არა უშუალოდ მომგერიებელზე, არამედ მის ახლობელზე მიმდინარეობს? შეგვიძლია, ამ საკითხს მოკლედ შევხვით და ვთქვათ, რომ მომგერიებელი ვალდებულია, სოლიდარული აქტი განახორციელოს და მიეშველოს თავდასხმის ობიექტს გადასარჩენად, თუმცა ეს უკვე იქნება „აუცილებელი დახმარება“ თუ მას ამისი შესაძლებლობა გააჩნია.¹⁴

არსებობს აუცილებელი მოგერიების მონისტური თეორიაც, რომელიც აღიარებს მხოლოდ ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაცვის შესაძლებლობას აუცილებელი მოგერიების დროს. თუმცა ქართული სამართალი ხელმძღვანელობს დუალისტური პრინციპით, რაც ნიშნავს ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაცვის მართლზომიერებას და რომელიც აწესებს როგორც აუცილებელი მოგერიების, ისე აუცილებელი დახმარების გარემოებებს.¹⁵

მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა შეიძლება შეეხოს არამარტო ინდივიდუალურ პირს, არამედ საზოგადოდ მნიშვნელოვან, საყოველთაო სამართლებრივ სიკეთეს, რა დროსაც მოქმედება

¹⁴ გამყრელიძე, ო., სისხლის სამართლის პრობლემები ტომი III, თინათინ წერეთლის სახემწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015, 295.

¹⁵ ტურავა, მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გამომცემლობა „ლატერნა“, თბილისი, 2013, 174.

აუცილებელია. მონისტური თეორიის ნაკლოვანებები შეგვიძლია ნათლად დავინახოთ სსკ. 128-ე ან და 129-ე მუხლების მაგალითზე, როდესაც კანონმდებელი აშკარად მოქმედებს ავალდებულებს, სხვისი და არა საკუთარი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად სამართლებრივ გარანტს, ანდა ისეთ ადამიანს, რომელსაც მოქმედებით, სოლიდარობის საფუძველზე, შეუძლია განსაცდელიდან დაიხსნას სხვა.

აუცილებელი მოგერიების დროს ჩადენილ მკვლევლობას ან სხეულის მძიმე/ნაკლებად მძიმე დაზიანებას ცივილიზებული მსოფლიო მართლზომიერ ქმედებად თვლის. ეს, ცხადია, თანამედროვე ცივილიზებული სამყაროსათვის დიდი მიღწევაა, რომ პირს ათავისუფლებენ ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან ასეთ მდგომარეობაში და მისი ბრალის საკითხიც არ განიხილება. ჩვენდა საამაყოდ, შეგვიძლია ვახსენოთ ქართული სამართლის ძეგლები, რომლებშიც ნათლად ჩანს, რომ მსოფლიოში ბრალის ინდივიდუალურად განხილვის საკითხიც კი არ იყო დაყენებული, როდესაც საქართველოში უკვე არსებობდა „ფათერაკის“ ცნება. პირი ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებოდა, თუ ის უმართლო ქმედებას ჩაიდენდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. ამაზე ჯერ კიდევ ვახტანგ VI საუბრობდა თავისი სამართლის წიგნში. ის არა მარტო დეტალურად ხსნიდა, თუ რა იყო ფათერაკი, არამედ კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავდა და არჩევდა მათ.¹⁶

სასამართლო პრაქტიკის განხილვა

აუცილებელი მოგერიება, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება, იმდენად პრინციპულად მნიშვნელოვანი და გარდუვალი საკითხია, რომ რიგი მეცნიერებისა უამრავ საკითხზე დღესაც ვერ თანხმდება. ცხარე კამათი და მსჯელობა ჭეშმარიტების გარკვევის

¹⁶ ბიჭია, მ., ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013, 93-120.

საუკეთესო გზაა, ამიტომ ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ, თუმცა, სასამართლოს ხელით ილაზება ადამიანის, როგორც ბუნებითი, ისე პოზიტიური უფლება, და საკამათო ხდება ერთი შეხედვით მარტივ ჭეშმარიტებად აღიარებული საკითხი. ვფიქრობ, ეს სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენს განვითარებული სახელმწიფოს ღირსებისათვის. მარტივ ჭეშმარიტებად აღიარებულ საკითხებში იგულისხმება საქმე, რომელიც, თავისი გარემოებებიდან გამომდინარე, ცალსახა და მკაფიოა (საქმეები, რომლებიც აშკარად აუცილებელი მოგერიების ფარგლებში იყო და შეფასდა ფარგლებს გადაცილებად).

განვიხილოთ აუცილებელი მოგერიების ინტენსიური და ექსტენსიური ექსცესი სასამართლო პრაქტიკაში. თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო 2006 წლის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის ერთ-ერთ განაჩენს.¹⁷ სასამართლო კოლეგიამ უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი და მოქალაქე ზ.წილოსანი ბრალეულად ცნო სსკ 113-ე მუხლით ჩადენილ დანაშაულში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ შეუცვალა 3 წლით თავისუფლების აღკვეთით, თუმცა ბრალი უცვლელად დატოვა. აღწერილობით ნაწილში ვკითხულობთ:

„წილოსანი ქვეხიშვილი და ლამაზოშვილი თანამშრომლები იყვნენ. წილოსანი ინჟინერ-მშენებლად მუშაობდა თელავის ერთ-ერთ ქარხანაში. ამ უკანასკნელმა ამავე ქარხნის დირექტორის განკარგულებით მიმართა ქარხნის დარაჯებს თხოვნით, რათა განათება გაეთიშათ. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო დირექტორის მოთხოვნით წილოსანი კვლავ მივიდა დარაჯებთან და სთხოვა დირექტორთან გაჰყოლოდნენ. დირექტორმა მისი მოთხოვნის შეუსრულებლობაზე უკმაყოფილება გამოთქვა და დარაჯებს სამსახურიდან

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №115-აპ, 2 ივნისი 2006 წელი, თბილისი, <<http://www.supremecourt.ge/>>.

გათავისუფლებას დაჰპირდა. საუბრის დამთავრების შემდეგ ქვეხიშვილი გაემართა ღვინის ქარხნის ადმინისტრაციული შენობის მიმართულებით, ხოლო ზ. წილოსანი გ. ლამაზოშვილთან ერთად ჩავიდა აივნის კიბეზე და გამოვიდნენ სასტუმროს შენობის წინ, ეზოში. დირექტორისათვის ამბის მიტანის გამო ზ. წილოსანზე განაწყენებულმა გ. ლამაზოშვილმა შეაგინა მას და იმავდროულად მოულოდნელად დაარტყა მუშტი სახის არეში, რის შედეგადაც ზ. წილოსანი დაეცა მიწაზე. წაქცეულს ზემოდან დააჯდა გ. ლამაზოშვილი და დაუწყო ცემა. აღნიშნულის შედეგად გ. ლამაზოშვილმა ზ. წილოსანს მიაყენა სისხლნაჟღერებელი მარჯვენა თვალებუდში და ნაჭდევი მარცხენა იდაყვის არეში, თან ემუქრებოდა მოკვლით. ზ. წილოსანმა, რომელმაც სცადა თავდასხმის მოგერიება და ზემოდან მჯდარი გ. ლამაზოშვილის მოცილება, იფიქრა, რომ მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრებოდა რეალური საფრთხე, ვინაიდან გ. ლამაზოშვილს იდაყვი მის ყელზე ჰქონდა მიბჯენილი, რის გამოც სული ეხუთებოდა, ამიტომ მან თავდაცვის მიზნით მოიხსნა ქმარზე ჩამოკიდებული საკეცი დანა, გახსნა და თავდასხმის მოგერიების მიზნით ორჯერ დაარტყა გ. ლამაზოშვილს, რითიც მან გადაამეტა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, რადგან ზ. წილოსანის თავდაცვის ხერხი - დანის გამოყენება უიარაღო გ. ლამაზოშვილის წინააღმდეგ, აშკარად არ შეესაბამებოდა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებას; ამასთან, გ. ლამაზოშვილი ზ. წილოსანს თავს დაესხა ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე არსებული სასტუმროს შენობის წინ. თავდასხმის მომენტში მათგან დაახლოებით 40 მეტრის მოშორებით იმყოფებოდა შ. ქვეხიშვილი, ხოლო აივანზე ხმაურის გამო გამოვიდა ვ. ჩახვაძეც, რომელთაც შეეძლოთ, გ. ლამაზოშვილის თავდასხმის მოგერიებაში ზ. წილოსანს დახმარებოდნენ. დანის დარტყმის შემდეგ გ. ლამაზოშვილმა შეწყვიტა ზ. წილოსანის ცემა, რომელმაც გაითავისუფლა რა თავი, გაიქცა ვ. ჩახვაძესთან და სთხოვა, დახმარებოდა დაჭრილი გ.

ლამაზოშვილისათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენაში.¹⁸

როგორც ვხედავთ, სასამართლო წილოსანს არაპროპორციული ძალის გამოყენებას ედავებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით. მიმაჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილების ეს ნაწილი ვერ გამოირჩევა სამართლიანობით და სადავოა როგორც ნორმის დასაბუთება, ასევე ამ ნორმის გამოყენება. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ განაჩენის იმ ნაწილზე, რომელშიც სასამართლო ამბობს, რომ შეთხვევის ადგილას სხვა უამრავი ადამიანი იყო, რომელთაც შეეძლოთ, მიშველებოდნენ მომგერიებელს. სსკ. 28-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს: „აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას, თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას“. ეს ნიშნავს, რომ განაჩენის ეს ნაწილი პირდაპირ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ნორმას, რომელიც აწესრიგებს ქცევის წესს აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. ერთადერთი, აუცილებელი მოგერიების პროვოცირების შემთხვევაა განსხვავებული, როდესაც პროვოკატორის აბსოლუტური უფლება, მოიგერიოს თავდასხმა, იზღუდება, მაგრამ ჩემ მიერ მოყვანილ მაგალითში ნათლად ჩანს, რომ მომგერიებელს ჰქონდა აბსოლუტური უფლება, თავი პირადად დაეცვა, ვინაიდან ადგილი არ ჰქონია აუცილებელი მოგერიების პროვოკაციას. მეორე მხრივ, არც გარშემომყოფებს ევალებოდათ მიშველება. მართალია, მათ სოლიდარული აქტის საფუძველზე ეკისრებათ დახმარების ვალდებულება, მაგრამ იქნებ არ შეეძლოთ ნორმატიული ვალდებულებით დაკისრებული პასუხისმგებლობის შესრულება? ფაქტი ერთია, რომ ისინი ამ შესაძლებლობას არ იყენებდნენ და უყურებდნენ, თუ როგორ ახორციელებდა ლამაზოშვილი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფას, წილოსანი კი თავს ვერ იცავდა. თუმცა მათ რომც შეეძლებოდათ მიშველება, ეს არსებითად არაფერს შეცვლიდა, მთავარი ჩვენთვის ისაა, რომ კანონი პირდაპირ აძლევს

¹⁸ იქვე.

პირს უფლებას, მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას მართლზომიერი ძალა გამოიყენოს და თავად აირჩიოს თავდაცვის ხერხი. რაც შეეხება მეორე ნაწილს, ნორმის გამოყენების საკითხს, რომელსაც ვერ დავეთანხმები და მიმაჩნია, რომ ბრალდებული უნდა გათავისუფლებულიყო, ვინაიდან ის მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში და იყენებდა მართლზომიერ ძალას. სასამართლო კოლეგია განაჩენში წერს:

„რადგან ზ. წილოსანის თავდაცვის ხერხი - დანის გამოყენება უიარალო გ. ლამაზოშვილის წინააღმდეგ, აშკარად არ შეესაბამებოდა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებას...“¹⁹

არის კი ეს სამართლიანი მოთხოვნა? თუ პირს არ შეუძლია, საკუთარი ფიზიკური ძალებით მოიგერიოს თავდასხმა, ამიტომ მას წავართვათ თავდაცვის უფლება იმგვარად, როგორც მას ეს შეუძლია? ჩემი აზრით, თუ ადამიანებისგან ამას მოვითხოვთ, მაშინ სამართალი თავს დახრის უსამართლობის წინაშე. პროფესორი გამყრელიძე ამბობს:

„აშკარა შეუსაბამობა თავდაცვასა და თავდასხმას შორის ყოველთვის როდი ნიშნავს უიარალო თავდამსხმელის იარაღით მოგერიებას. ასეთ დროს უნდა შეფასდეს შექმნილი ვითარება და ამის მიხედვით გადაწყდეს, არის თუ არა აქ მოგერიების გადაცილება“.²⁰

ის ფაქტი, რომ წილოსანს ეგონა, რომ მას ახრჩობდნენ, ამას გარდა, აშკარად ხორციელდებოდა მასზე ძალადობა. ამ დროს კი მას თავის დაცვა არ შეეძლო, უკვე მიუთითებს იმაზე, რომ მოქალაქე წილოსანი ვერაფერს აკეთებდა თავის დასაცავად, რაც ჩანს იქიდან, რომ ის ვერ ახერხებდა თავდასხმის მოგერიებას ფიზიკური ძალით და ლამაზიშვილისაგან გათავისუფლებას, როდესაც ეს

¹⁹ იქვე.

²⁰ გამყრელიძე, ო., სისხლის სამართლის პრობლემები ტომი III, თინათინ წერეთლის სახემწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015, 304.

უკანასკნელი მასზე არამართლზომიერ ხელყოფას ახორციელებდა. სწორედ ამიტომ მან გახსნა დანა და საკუთარი თავი ისე დაიცვა, როგორც შეძლო. მართალია, სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა და განაჩენის დასაბუთებას ამ ნაწილით არ ეცადა, მაგრამ ჩვენ სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ და ყურადღება მივაპყროთ სასამართლო განაჩენის აღწერილობითი ნაწილის იმ ეპიზოდს, რომელშიც საუბარია დანის ორჯერ დარტყმაზე. თუ ამ საქმეს ამ კუთხით შევხედავთ, ვიტყვით, რომ თავდამსხმელის განეიტრალება დანის ერთი დარტყმითაც შესაძლებელი იქნებოდა და მეორე დარტყმა უცილობლოდ იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება, ინტენსიური ექსცესი.

რიგი მეცნიერებისა საქართველოში, და მის ფარგლებს გარეთ, მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს ინერციული ძალით გადაცილებასთან. ესე იგი, როდესაც მომგერიებელი წამიერად აცილებს ფარგლებს ისე, რომ ვერ იაზრებს და არ შეუძლია გაიაზროს, სწორედ ამიტომ, ისინი მიიჩნევენ, რომ უნდა მოხდეს იმ ქმედების დეკრიმინალიზაცია, რომელიც გულისხმობს მკვლელობას აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით.

საკამათოა, აღნიშნული მუხლის დეკრიმინალიზაცია იქნება ჰუმანური თუ რეპრესიული აქტი. ვინაიდან, მაშინ, როდესაც აშკარად არსებულ აუცილებელ მოგერიებაზე მოსამართლეები პირს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ასამართლებენ, საინტერესოა, ამ მუხლის ამოღებით ხომ არ მოხდება პირის გასამართლება მარტივი მკვლელობისთვის.

მოყვანილ მაგალითზე ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ნამდვილად იყო ინერციით განხორციელებული ქმედება, ვგულისხმობ დანის ორჯერ დარტყმას და არავითარ შემთხვევაში ის არ უნდა ჩავთვალოთ არაპროპორციულ ძალად. ამას გარდა, ის ფაქტი, რომ თავდასხმის დასრულებისთანავე, წილოსანი საშველად გაიქცა, რათა დაჭრილს მიხმარებოდნენ, ჩემი აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ მას მხოლოდ თავდაცვა სურდა და

მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე ფიქრობდა და არა ანგარიშსწორებაზე. რაც უტყუარად ამტკიცებს აუცილებელი მოგერიების საჭიროებისათვის სუბიექტური კრიტერიუმის არსებობას. ესე იგი, რა მოტივითა და მიზნით ახორციელებდა პირი ხელყოფის მოგერიებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას არგუმენტად დანის ორჯერ გამოყენება კი არ აღნიშნა და თქვა, რომ ეს იყო არაპროპორციული ძალა, არამედ მან ძალის გადამეტებად მიიჩნია უიარაღოს წინააღმდეგ იარაღის გამოყენება არამართლზომიერი ქმედება და ასევე გადაწყვეტილებაში მიუთითა იმ ხალხზე, რომლებიც შორი-ახლოს იმყოფებოდნენ და შეეძლოთ დახმარების გაწევა.

თუმცა, როგორც ვთქვით, სასამართლო, ნებით თუ უნებლიეთ, არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ეს ადამიანები არაფერს აკეთებდნენ მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის აღსაკვეთად. სასამართლო ასევე დაეყრდნო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ წილოსანს თავდასხმის მომენტში არ მიუღია ისეთი დაზიანება ყელის არეში, რომელიც მის სიკვდილს გამოიწვედა. დავუშვათ, წილოსანის მიერ დანის გამოყენება მართლაც არაპროპორციული ძალაა და აუცილებელი მოგერიების ინტენსიურ ექსცესს წარმოადგენს, მაშინ ჩნდება შეკითხვა: რამდენად დიდი ფიზიკური დაზიანება უნდა მიეღო ან სასუნთქი გზების გადაკეტვის რომელი სტადია უნდა ყოფილიყო, რომ სასამართლოს წილოსანის მიერ გამოყენებული თავდაცვის ხერხი პროპორციულად მიეჩნია? რისი თქმა შეიძლება აქედან გამომდინარე? პირს ვავალდებულებთ, თუ მას ფიზიკური ძალით განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო თავდასხმისას არ შეუძლია თავი ასევე ფიზიკური ძალით დაიცვას, მაშასადამე, ის უნდა ელოდოს, როდის მიიყვანენ მას სიკვდილის პირას, ვინაიდან მანამდე არ აქვს რადიკალური ძალის გამოყენების საშუალება, თუ აღნიშნულს სასამართლო აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებად მიიჩნევს.

მართლზომიერი მოგერიება სულაც არ ნიშნავს თავდაცვას იმგვარი ხერხით, როგორც მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა ხორციელდება. მართლზომიერი და პროპორციული ძალის გამოყენება ნიშნავს იმას, რომ შეფასდეს საფრთხეები და რისკები, რომლებიც იმწუთიერი არამართლზომიერი ხელყოფიდან მომდინარეობს და ამის შესაბამისი ძალა იქნეს გამოყენებული თავდასაცავად.

სადავოა სსკ-ის 113-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს მკვლელობას აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით. მეცნიერები დღესაც დავობენ ამ მუხლის აკვარგიანობაზე და ბევრს მსჯელობენ მისი სისხლის სამართლის კოდექსში არსებობის საჭიროებაზე. თავის მხრივ, დოქტრინის გარდა, სასამართლო პრაქტიკიდან ამგვარი გადაწყვეტილებები კიდევ უფრო ამწვავებს კამათს აღნიშნულ საკითხზე.

არსებობს ისეთი პრეცედენტებიც, როდესაც უზენესი სასამართლო აუქმებს უსამართლო განაჩენებს. ამის ნათელი მაგალითია კიდევ ერთი საქმე №86-კოლ. ორ ინსტანციაში გამტყუნებული მოქალაქისა, რომლის საქმეზეც უზენესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ მიიჩნია, რომ, მისი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ის დიდ პალატას უნდა განეხილა. დიდმა პალატამ კი, თავის მხრივ, 107-ე მუხლით (1960 წლის კოდექსით) გათვალისწინებულ დანაშაულში ცნობილი ბრალდებული, გაამართლა 28-ე მუხლით (1999 წლის კოდექსი) და მიიჩნია, რომ იგი აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებდა.

საქმეში ვკითხულობთ: ავთანდილ მელაძეს წარსულში ნასამართლევნი და კრიმინალური სამყაროს წევრები მეგობრის სახლთან ელოდნენ. ყუბანეიშვილი და რობაქიძე მოქალაქე მელაძეს სამსახურის „წილში ჩასხდომას“ სთხოვდნენ და ამ მიზნით სთხოვეს ავტომობილში ჩაჯდომა და გაყოლა. მელაძე გაჰყვა მათ. ავტომობილით აღნიშნული პიროვნებები წავიდნენ მიტოვებული ყოფილი ქარხნის ტერიტორიაზე და ავტომანქანაში სხვა ქმედებებისთვის ძებნილმა ყუბანეიშვილმა და რობაქიძემ

სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მელაძეს, დაემუქრნენ მოკვლით. რობაქიძემ, მათ შორის დაწყებული კამათის გამო, თავისი სავარძლიდან ამოიღო სათანადო ნებართვის გარეშე, უკანონოდ შეძენილი „მაკაროვის“ ტიპის დაუდგენელი ნომრისა და სერიის პისტოლეტი, იარაღშემართული შემობრუნდა მელაძისკენ და მოკვლით დაემუქრა. მელაძემ სცადა რობაქიძისთვის პისტოლეტის წართმევა, რა დროსაც რობაქიძემ მოახდინა რამდენიმე გასროლა, რის შედეგადაც ტყვიები მოხვდა როგორც მელაძეც, რომელმაც მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ასევე ამ უკანასკნელის გვერდით მჯდომ ყუბანეიშვილს, რომელიც მიყენებული ჭრილობების სიმძიმის გათვალისწინებით ადგილზევე გარდაიცვალა. დაჭრილმა მელაძემ ისარგებლა რობაქიძის სიმთვრალით, გამწარებულმა მარჯვენა ხელით წაართვა პისტოლეტი და რამდენჯერმე ესროლა, რადგან ფიქრობდა, რომ რობაქიძეს ჰქონდა მეორე იარაღი, რომელსაც მის წინააღმდეგ გამოიყენებდა. მიყენებული ჭრილობების შედეგად, რობაქიძე ადგილზევე გარდაიცვალა. მოქალაქე მელაძის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლის დევნა და ის სასამართლოს ორმა ინსტანციამ, როგორც საქალაქო, ისე სააპელაციომ, დაძაბავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში.

ქმედების ამ შემადგენლობის გათვალისწინებით (სსკ-ის 113-ე მუხლი) არავითარი ნიშანი არ ჩანს, რის გამოც შეიძლება საქმე გვექონდეს აუცილებელი მოგერიების ინტენტიურ ან ექსტენსიურ ექსცესთან. განვიხლოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე: გამოყენებული ძალა იყო თუ აშკარად შეუსაბამო თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან. წინა საქმისაგან განსხვავებით, სადაც სასამართლომ, მართალია, კანონის გვერდის ავლით, მაგრამ მაინც მიუთითა, რომ შემთხვევის ადგილას ხალხი იმყოფებოდა, რომელთაც შველა შეეძლოთ, ამ შემთხვევაში ეს დებულებაც არ გამოგვადგება, ვინაიდან მელაძეს ვერავინ მიეშველებოდა, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, ამისი ვალდებულება მომგერიებელს არც აკისრია და ამას პირდაპირ ნორმა ამბობს სსკ-ის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციის აღწერილობით ნაწილში.

ვითვალისწინებთ რა თავდამსხმელის წარსულს, იმასაც, რომ იგი შემთხვევის ჩადენისას იძებნებოდა სამართალდამცავი ორგანოების მიერ და ამას გარდა უკანონოდ ატარებდა იარაღს, ასევე იმ ფაქტს, რომ აღნიშნულმა პიროვნებამ დაჭრა მელაძე და განზრახვის გარეშე მოკლა მისივე მეგობარი. მელაძეს არ შეეძლო გამოეყენებინა სხვა ძალა, ის ფიზიკური ძალით ვერ გაუმკლავდებოდა თავდამსხმელს და მეტიც, კანონი არ ავალდებულს პირს, როდესაც იარაღით ესხმიან თავს, არ უპასუხოს იარაღითვე. მართლზომიერი ძალის გამოყენება და შესაბამისობა თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან, სწორედ იმას ნიშნავს, რომ მელაძეს სრულად შეეძლო თავადვე გამოეყენებინა ცეცხლსასროლი იარაღი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის აღსაკვეთად, ვინაიდან თავდასხმა ხორციელდებოდა სწორედ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის მეშვეობით. ამდენად, აუცილებელი მოგერიების ინტენსიური ექსცესი (აუცილებელი მოგერიების ინტენსიური ექსცესი ნიშნავს ძალის გადამეტებას აუცილებელი მოგერიების დროს) გამორიცხებულია.

ასევე განვიხილოთ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება დროში, ესე იგი ექსტენსიური ექცესი. აუცილებელი მოგერიების დროში გადაცილება ნიშნავს, თავდაცვითი ქმედების განხორციელებას მაშინ, როდესაც თავდამსხმელისგან საფრთხე ახალდამთავრებულია ან ჯერ არ დაწყებულია და ობიექტურად შეგვიძლია შევაფასოთ, რომ სავარაუდოდ არც დაიწყება ანდა უკვე დასრულდა. რა შემთხვევასთან გვქონდა საქმე ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში? მელაძეს, რომელმაც ითხოვა მანქანის გაჩერება და მანქანიდან გადმოსვლა, მოკვლით დაემუქრნენ კრიმინალური წარსულის მქონე თავდამსხმელები და ცეცხლსასროლი იარაღი მიუშვირეს, მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდასხმა უკვე დაწყებული იყო, მეტიც, როდესაც რომაქიძემ რამდენჯერმე გაისროლა, დაჭრა მელაძე და მოკლა მისივე თანამზრახველი, ამით ობიექტური საფრთხე შეუქმნა მომგერიებლის, მელაძის, სიცოცხლეს, ჯანმრთელობა კი უკვე დაუზიანა, ხოლო როდესაც

მელამემ დრო იხელთა და წაართვა რობაქიმეს ცეცხლსასროლი იარაღი და ესროლა, არც ამით გადაუმეტებია აუცილებელი მოგერიების ფარგლებს ექსტენსიურად, ვინაიდან თავდასხმა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ჩვენ არ ვიცით, ჰქონდა თუ არა რობაქიმეს მეორე იარაღი და რას მოიმოქმედებდა ეს უკანასკნელი. წარსულში განხორციელებული ქმედებებისა და ავტომობილში ჩადენილი ქმედების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის თავდასხმას არ შეწყვეტდა. მიზანმიმართული თავდასხმა დასრულებული აუცილებელი მოგერიების დროს მაშინაა დასრულებული, როდესაც მიზანი შესრულებულია. რა იყო ამ დროს რობაქიმის მიზანი? მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა სამართლებრივი სიკეთისა, რაც გამოიხატებოდა მელამის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაში და ვინაიდან ის შეგნებულად და გაცნობიერებულად ესროდა მელამეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი მიზანი ამ უკანასკნელის სიცოცხლის მოსპობა გახლდათ სამაგიეროს გადახდის მიზნით. ამრიგად, ნათლად ჩანს, რომ აუცილებელი მოგერიების ექსტენსიური ექსცესი გამორიცხულია, ვინაიდან მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა დიდი ხნის დაწყებული იყო, როდესაც მელამემ ცეცხლსასროლი იარაღით გასროლა განხორციელა რობაქიმის მისამართით და მოკლა ეს უკანასკნელი. ამასთან, ნათლად ჩანს, რომ ქმედების განხორციელებისას მელამე მართლზომიერად მოქმედებდა, ვინაიდან თავდასხმა დასრულებული არ იყო, რადგან რობაქიმე მანქანაში რჩებოდა და მას მიზანი არ ჰქონდა შესრულებული. მეტიც, მელამეს სრული უფლება ჰქონდა, ეფიქრა, რომ მის წინ მჯდომ ორ ჯანმრთელ კრიმინალური წარსულის მქონე პირს, თავისუფლად შეემლოთ ცეცხლსასროლი იარაღის წართმევა დაჭრილი მელამისათვის. აღნიშნულზე დაყრდონით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოქალაქე მელამის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი უსამართლოდ იქნა გამოტანილი როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან აღნიშნული შემთხვევიდან ნათლად ჩანს, რომ გამორიცხულია საქმე გვექონოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებასთან. თავდასხმა იყო

იმწუთიერი, და თავდასხმით ხდებოდა არამართლოზომიერი თავდასხმა სისხლის სამართლის დაცვის ობიექტზე, უმაღლეს ღირებულებაზე, ადამიანის სიცოცხლეზე, ასეთ დროს კი მოქალაქეს გააჩნია აბსოლუტური უფლება აუცილებელი მოგერიებისა, დაიცვას თავი იმ საშუალებებით, რომლებიც აშკარად შეესაბამება თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ 2001 წლის 10 დეკემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება და მსჯავრდებულ მელაძის საკასაციო საჩივარი დააკმაყოფილა, მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა მელაძის მიმართ და დაუყოვნებლივ გაათავისუფლა პატიმრობიდან.

დასკვნა

საბოლოოდ, მინდა აღვნიშნო, რომ მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება სასამართლო კოლეგიას და მოსამართლეს, რათა მან გამოიტანოს მოტივირებული, პროცესუალურ-მატერიალურად საფუძვლიანად დასაბუთებული განაჩენი. მართალია, აუცილებელი მოგერიების ექსცესი დღემდე ერთ-ერთი ყველაზე საკამთო თემაა მეცნიერებს შორის, მაგრამ მანამ, სანამ ნორმის ეს ნაწილი არსებობს, სასამართლოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, ერთობლიობაში აღიქვან და შეაფასონ კანონიერად მოპოვებული და წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება, სისხლის სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, სამართლიანად, პირის სასარგებლოდ განმარტონ კანონის ნორმატიული შინაარსი და ინდივიდუალურად და, რაც მთავარია, ჰუმანურად განიხილონ საქმე და ისე გამოიტანონ არგუმენტირებულად დასაბუთებული განაჩენი.

მარიამ ნუცუბიძე

თამარ შავგულიძე

**სინთეზური ტრიბუნალი, როგორც თანამედროვე საერთაშორისო
სამართლის გამოწვევა (დუჯაილის პროცესის მაგალითზე)**

შესავალი

საერთაშორისო სისხლის სამართალში 2000-იანი წლებიდან მოყოლებული აქტიურად განიხილება ჰიბრიდული ტრიბუნალების საკითხი, როგორც ერთგვარი სინთეზური მოდელი ეროვნულ და საერთაშორისო მართლმსაჯულებებს შორის. ჩვენი საკვლევი თემაც, სწორედ, ჰიბრიდულ ტრიბუნალებს და მასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებს ეხება.

პირველ რიგში, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართულ ენაზე თითქმის არ მოიპოვება მასალა ჰიბრიდული ტრიბუნალების ზოგადი მახასიათებლებისა და კონკრეტული სამართლებრივი შემთხვევების შესახებ. თემა ძირითადად ეყრდნობა უცხოურ ლიტერატურას და მიზნად ისახავს ქართულ ენაზე აღნიშნული საკითხის სამართლებრივ ანალიზს. კვლევის დროს გამოყენებული იქნება ისტორიულ-სამართლებრივი, შედარებითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდები.

გარდა ზემოხსენებულისა, თემის ფარგლებში განხილული იქნება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც საკმაოდ საკამათოა დარგის სპეციალისტებს შორის. განსაკუთრებით:

1. რა როლი აქვს გაეროს უშიშროების საბჭოს ჰიბრიდული ტრიბუნალების შექმნაში და როდის შეიძლება გვეყონდეს სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დარღვევა;
2. კონკურენტული თუ კომპლემენტარულია ჰიბრიდული ტრიბუნალების იურისდიქცია სისხლის სამართლის

მუდმივმოქმედ საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებით;

3. იყო თუ არა სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეული ე.წ. „სადამ ჰუსეინის“ საქმე და რამდენად პოლიტიზირებულია ერაყის უზენაესი ტრიბუნალი (IHT).

ასევე, გარდა საკითხების კრიტიკული ანალიზისა, ჩვენი თემა მიზნად ისახავს იმ კრიტერიუმებისა და წინაპირობების წინა პლანზე წამოწევას, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც გამოირიცხება აბსოლუტურად პოლიტიზირებული გადაწყვეტილებების მიღება ჰიბრიდული ტრიბუნალების მოქმედებასთან დაკავშირებით და ამასთანავე შერეული ტრიბუნალი ჩამოყალიბდება, როგორც ქმედითი მექანიზმი.

1. ჰიბრიდული ტრიბუნალის ცნება საერთაშორისო სისხლის სამართალში

1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში საერთაშორისო სამართლის არენაზე გამოჩნდა ე.წ. „მესამე თაობის“ საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალები²¹, რომლებსაც წილად ხვდათ „პირველი“ (ნიურნბერგისა და ტოკიოს) და „მეორე თაობის“ (იუგოსლავიისა და რუანდას) ტრიბუნალების მემკვიდრეობა.²² ამგვარ წარმონაქმნებს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „ჰიბრიდულ“²³ ან „ინტერნაციონალიზირებულ“

²¹ Hobbs H., Hybrid Tribunals and The Composition of the Court: In Search of Sociological Legitimacy, Chicago Journal of International Law, Volume 16, Number 2, Article 5, 1-1-2016, 489.

²² Higonnet E., Restructuring Hybrid Courts: Local Empowerment and National Criminal Justice Reform, Yale Law School Legal Scholarship Repository ., Student Scholarship Papers, 3/1/2005, 3-4.

²³ Internationalisierte Gerichtshöfe – Chancen und Herausforderungen. Von Nürnberg nach den Haag | Der lange Weg zum Internationalen Strafgerichtshof, ob: <<http://www.von-nuernberg-nach-den-haag.de/seite1/internationalisierte-gerichtshofe-%E2%80%93-chancen-und-herausforderungen/>> [01.04.2018].

ტრიბუნალს. როგორც ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის პრეზიდენტი - ანტონიო კასესი აღწერს, ესაა ერთგვარი სამართლებრივი წარმონაქმნი, რომელიც შედგება როგორც საერთაშორისო დონის, ისე იმ სახელმწიფოს წარმომადგენელი მოსამართლეებისაგან, რომლის ტერიტორიაზეც პროცესები ტარდება. არსებობს ორი ვარიანტი მსგავსი ტრიბუნალებისა. მათ შორის პირველი შეიძლება შეგვხვდეს როგორც კონკრეტული სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ელემენტი, თუმცა ამის ალტერნატივაა იმგვარი ჰიბრიდული სასამართლოები, რომლის სტრუქტურა და ბუნება უფრო მეტად საერთაშორისო სამართლებრივი ხასიათისაა. ის შეიძლება დაარსდეს საერთაშორისო შეთანხმების ძალით და არ იყოს ეროვნული მართლმსაჯულების ნაწილი²⁴. ისტორიულად ცნობილია რამდენიმე ჰიბრიდული სასამართლო, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პოლიტიკური ფონითა თუ შექმნის სამართლებრივი საფუძვლებით²⁵.

როგორც წესი, ჰიბრიდული ტრიბუნალები იქმნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და კონკრეტულ სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ძალით. მაგალითად, სიერა-ლეონეს ტრიბუნალი²⁶, კამბოჯის ტრიბუნალი²⁷, ლიბანის ტრიბუნალი.²⁸ თუმცა, არსებობს

²⁴ Cassese .A., International Criminal Law (2003 , OUP), 343, in “Hybrid and Internationalized Criminal Tribunals: Jurisdictional Issues”, Williams S., A DOCTORAL THESIS SUBMITTED TO DURHAM UNIVERSITY IN PARTIAL FULFILMENT OF THE REQUIREMENTS FOR THE DEGREE DOCTOR OF PHILOSOPHY, Law, March 2009, 31.

²⁵ Cryer R., Friman H., Robinson D., Wilmshurst E., An Introduction to International Criminal Law and Procedure, Cambridge University Press, Second Edition, 2010, 181.

²⁶ Statute of the Special Court for Sierra Leone, Security Council resolution 1315 (2000) of 14 August 2000.

²⁷ Cryer R., Friman H., Robinson D., Wilmshurst E., An Introduction to International Criminal Law and Procedure, Cambridge University Press, Second Edition, 2010., 185.

გამონაკლისებიც, მაგალითად, ერაყის ჰიბრიდული ტრიბუნალის სახით, რომელიც დაფუძნდა ამერიკის შეერთებული შტატების საოკუპაციო ძალების მიერ.²⁹

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს როლი ჰიბრიდული ტრიბუნალების შექმნაში

ჰიბრიდული ტრიბუნალის შექმნის მიზანი ნებისმიერ სახელმწიფოში განსხვავებულია.³⁰ რა თქმა უნდა, მსგავსი გადაწყვეტილებების მიღების დროს დიდია პოლიტიკის გავლენაც, თუმცა, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკიდან გამომდინარე, არც არის გასაკვირი. სამართლის სხვადასხვა მიმართულებას შორის ყველაზე მეტად პოლიტიკასთან გადაჯაჭვულია სწორედ საერთაშორისო სამართალი. ის ერთგვარად საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სავაჭრო, კულტურული და სხვა ურთიერთობების იურიდიული ჩარჩოა, რაც ამ ურთიერთობებს სპეციფიკურ, სხვა სოციალური მოვლენებისაგან განსხვავებულ ხასიათს ანიჭებს.³¹ შესაბამისად, როგორც წესი, ჰიბრიდული ტრიბუნალების შექმნას თან სდევს ხოლმე გარკვეული პოლიტიკური ინტერესების წინ წამოწევა.

მეორე მხრივ, საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობებისათვის ერთგვარი საბაზისო კონცეფციაა საშინაო

²⁸ იქვე., 187.

²⁹ ტურავა მ., საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015, 52.

³⁰ Martin-Ortega O., Herman J., Hybrid Tribunals & The Rule of Law: Notes from Bosnia & Herzegovina & Cambodia, JAD-pbp Working Paper Series no.7, May 2010, 10.

³¹ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015, 9.

საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი,³² რომელსაც განამტკიცებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლის მე-7 ნაწილი. იმავდროულად ეს პრინციპი არ ეხება იძულებითი ზომების გამოყენებას წესდების მე-7 თავიდან გამომდინარე, იგულისხმება,³³ როდესაც სახელმწიფოს მოქმედება არსებითად საშინაო კომპეტენციიდან გამომდინარე, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.³⁴ შესაბამისად, გაეროს უშიშროების საბჭო უფლებამოსილია, რიგ შემთხვევებში განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება სწორედ ხსენებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის, შექმნას ჰიბრიდული ტრიბუნალი და გაასამართლოს პირები სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედებისათვის. მაგრამ, როდესაც უშიშროების საბჭო, როგორც უფლებამოსილი ორგანო, წინაპირობის სახით არ გვყავს ჰიბრიდული „შერეული“ ტრიბუნალის შექმნის პროცესში და ერთი სახელმწიფო სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავად იღებს მსგავსი სახის გადაწყვეტილებებს, სერიოზული საფუძველი არსებობს გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-7 ნაწილის დარღვევაზე მსჯელობისა.

3. ჰიბრიდული ტრიბუნალი, როგორც „მესამე თაობის“ საერთაშორისო სასამართლო და მისი მიმართება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან (ICC)

სისხლის სამართლის მუდმომოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შექმნა დიდი ხნის განმავლობაში იყო საერთაშორისო საზოგადოების ნაწილის განუხორციელებელი

³² საგინაშვილი ნ, გაეროს წესდების მე-2(7) მუხლი - თეორია v. პრაქტიკა, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, #2, 2009/ #1 ,2010, 24.

³³ Charter of The United Nations and Statute of The International Court of Justice, San Francisco 1945, Chapter VII.

³⁴ იქვე, 27.

სურვილი,³⁵ რაც საბოლოო ჯამში რეალიზდა 2002 წლის 1 ივლისს, როდესაც ძალაში შევიდა რომის სტატუტი³⁶ და ფაქტობრივად დაიწყო ფუნქციონირება სისხლის სამართლის მუდმივმოქმედმა საერთაშორისო სასამართლომ (ICC). საინტერესოა, თუ რამდენად შეიძლება გადაიკვეთოს ჰიბრიდული ტრიბუნალებისა და ICC-ის ინტერესები თუ კომპეტენციები.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი სასამართლოს ამოსავალი წერტილი კომპლემენტარობაა. აღნიშნული ტერმინი მე-17 მუხლთან ერთად სტატუტის 1-ელ მუხლშია ნახსენები. სასამართლოს მიერ არ შეიძლება განხილულ იქნას საქმე, რომელზეც იმ სახელმწიფოში მიმდინარეობს გამოძიება, რომელსაც აქვს იურისდიქცია ამ საქმესთან მიმართებით, ან თუ საქმე გამოძიებულ იქნა ასეთი სახელმწიფოს მიერ და საქმე დაიხურა. სასამართლო იწყებს მოქმედებას მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფოს, რომელმაც უნდა დევნოს დანაშაული, არ სურს ან ნამდვილად არ ძალუძს აღნიშნული დანაშაულის დევნა.³⁷ მაშასადამე, ის ერთგვარი დამხმარე, დამატებითი ინსტიტუტია.

შესაბამისად, თუ ჰიბრიდულ ტრიბუნალებს მეტწილად მივაკუთვნებთ შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სივრცეს, გამოდის, რომ მისი მოქმედების ფარგლები არ იკვეთება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან და ეს უკანასკნელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება უფლებამოსილი განიხილოს საქმე, თუ ტრიბუნალი განზრახ აარიდებს თავს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას, ან საერთოდაც ვერ

³⁵ Kirsch P., The International Criminal Court: Current Issues and Perspectives, Journal Law and Contemporary Problems, VOL 64, No.1, Winter 2001, 3.

³⁶ ტურავა მ., საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015, 57.

³⁷ ხუციშვილი ქ., გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციები, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2010, 77.

განახორციელებს მის ფუნქციებს. თუმცა, მეორე მხრივ, მსგავსადევა შესაძლებელი ჰიბრიდულ ტრიბუნალში საერთაშორისო სამართლებრივი ელემენტების წინ წამოწევა. მით უფრო, იმ დროს, როდესაც ის ფუნდებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს უშუალო მონაწილეობით. ამგვარ შემთხვევაში კი უკვე სწორედ კონკურენტულ მართლმსაჯულებასთან გვექნება საქმე.

ჩვენი აზრით, ამგვარი რთული სიტუაციის არსებობისას უმჯობესია, თუ კომპლემენტარულ იურისდიქციას მივმართავთ. ამ პოზიციის სასარგებლოდ შეგვიძლია მოვიხმოთ ის არგუმენტი, რომ, როგორც წესი, ჰიბრიდული ტრიბუნალები უშუალოდ რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე იქმნება და დიდწილად სწორედ იმ სახელმწიფოს მატერიალური თუ პროცესუალური სისხლის სამართლის ნორმები გამოიყენება. თანაც, თეორიულადაც რომ ვიმსჯელოთ, გაეროს უშიშროების საბჭოს მხოლოდ ერთგვარი დამხმარის როლი აქვს და საერთაშორისო სამართლის ელემენტების არსებობა ჰიბრიდული ტრიბუნალის წესდებებში სწორედ ვითარების გაუმჯობესებას, საკითხის უფრო სამართლიანად დარეგულირებას ისახავს მიზნად.

4. ერაციის ჰიბრიდული სასამართლო

4.1. პოლიტიკური ვითარება ერაციის ჰიბრიდული ტრიბუნალის ჩამოყალიბებამდე

ერაციის უზენაესი ტრიბუნალის შექმნას წინ ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა უსწრებდა. განსაკუთრებული დატვირთვა კი მათ შორის 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტს ჰქონდა, როდესაც ტერორისტული შეტევა განხორციელდა ე.წ. „ტყუპების“

სავაჭრო ცენტრის წინააღმდეგ.³⁸ სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების გეგმის რეალიზაცია, რომლის მიხედვითაც 11 სექტემბრის ტერაქტი უნდა გამოყენებულიყო ერაყთან ომის დასაწყებად სახალხო ლეგიტიმაციის წყაროდ.³⁹ ამ მხრივ საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორის - სკოტ ალთაუსის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელმაც შეისწავლა 2001 წლის 11 სექტემბრიდან მოყოლებული ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალების შეჭრამდე პერიოდში ამერიკულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციები მომხდართან დაკავშირებით და პრეზიდენტ ბუშის განცხადებები. კვლევის შედეგად კი ირკვევა, რომ 2001 წლის ბოლო თვეებსა და 2002 წლის დასაწყისში ამერიკული ასოცირებული ჟურნალების უმეტესობა 9/11-ის ტერაქტისათვის პასუხისმგებლობას მიაწერდა ოსამა ბინ ლადენს, ხოლო 2002 წლის აგვისტოდან ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უმცროსი) განცხადებების პარალელურად ამერიკულმა გამომცემლობებმაც მთავარი აქცენტი უკვე სადამ ჰუსეინზე გადაიტანეს.⁴⁰ ბუშმა სერიოზული კამპანია 2002 წლის სექტემბრიდან დაიწყო, რათა კონგრესს მხარი დაეჭირა ერაყის წინააღმდეგ ძალის გამოყენების საკითხში, ხოლო 31 ოქტომბერს ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა.⁴¹ შესაბამისად, ნათელია, რომ პრეზიდენტ ბუშისა და მისი ადმინისტრაციის მიერ წამოწყებული კამპანია მიზნად ისახავდა მოსახლეობაში ერთგვარი მტრის ხატის შექმნას, სადამ ჰუსეინის სახით, რომელიც ამერიკელი მოსახლეობის უმთავრეს საფრთხედ იქნებოდა წარმოჩენილი და

³⁸ “The 9/11 Commission Report”, Final Report of the National Commission on Terrorist Attacks Upon The United States, July 22, 2004, 320.

³⁹ Laughland J., A History of Political Trials: From Charles I to Saddam Hussein., 2008, 240.

⁴⁰Althaus S., Largio D., When Osama Became Saddam: Origins and Consequences of the Change in America’s Public Enemy #1., PS: Political Science & Politics Journal., American Political Science Association., Oct. 2004, 795.

⁴¹ იქვე, 796.

რომლის გასანადგურებლადაც მოსახლეობის მხარდაჭერა სახელმწიფოს წარმომადგენლებს ექნებოდათ.

ერაყში შეჭრისა და სამხედრო მოქმედებების დაწყების მომხრეები ასევე სხვა არგუმენტებსაც ავითარებდნენ. კერძოდ, ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ, რომ სადამ ჰუსეინმა გამოიყენა მასობრივი განადგურების იარაღი (WMD) საკუთარი ხალხის, ასევე ირანის წინააღმდეგ, ამგვარად, მათი აზრით, საკმაოდ მაღალი იყო ალბათობა იმისა, რომ აღნიშნული იარაღი ასევე გამოყენებული იქნებოდა შეერთებული შტატების წინააღმდეგაც.⁴² ხსენებულ მოსაზრებას მხარს არ უჭერენ ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ მირშიმერი და ჰარვარდის ჯონ კენედის სახელობის სკოლის დოქტორი სტეფან უოლტი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ერაყის გათვლები აბსოლუტურად განსხვავებული იყო. ჰუსეინის მთავრობას არ გამოუყენებია მასობრივი განადგურების იარაღი ქუვეითში შეჭრის შემდეგ 1990-1991 წლებში, რადგანაც მისი შეიარაღება ამერიკულისას გაცილებით ჩამოუვარდებოდა, შესაბამისად, საფრთხე რეალურად არც ამ ეტაპზე არსებობდა.⁴³

ამ განცხადებებს მოჰყვა 2002 წლის 17 მაისს 1441-ე რეზოლუციის მიღება, რომლის ძალითაც გაერომ მოუწოდა ერაყის მთავრობას, გაეთვალისწინებინა წინა რეზოლუციები და შეეწყვიტა მტრული პოლიტიკა, ასევე მასობრივი განადგურების ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური იარაღების წარმოება.⁴⁴ თუმცა მალევე, 2003 წლის 5 თებერვალს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნასთან წარმოთქმული სიტყვიდან იკვეთებოდა, ერაყს კვლავ ჰქონდა ბირთვული იარაღი და

⁴² Mearsheimer J., Walt S., An Unnecessary War., Journal Foreign Policy, January/February 2003, 55.

⁴³ იქვე, 55.

⁴⁴ Resolution 1441, United Nations., Adopted by The Security Council at its 4644th meeting, on 8 November 2002, (S/res/1441/2002).

განაგრძობდა შეიარაღების პოლიტიკას.⁴⁵ მალევე ამას მოჰყვა პრეზიდენტ ბუშის საჯარო ულტიმატუმი, როდესაც 2003 წლის 17 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერმა განაცხადა, რომ ჰუსეინსა და მის ოჯახს 48 საათში უნდა დაეტოვებინათ ერაყი. მათ მიერ წინააღმდეგობის გაწევა კი გამოიწვევდა შეიარაღებულ კონფლიქტს.⁴⁶ ულტიმატუმს ერაყის მთავრობა არ დაემორჩილა, რასაც მოჰყვა ამერიკის შეერთებული შტატების შეჭრა ერაყის ტერიტორიაზე, 2003 წლის მარტში.⁴⁷

4.2. აშშ-ს მიერ სპეციალური ტრიბუნალის შექმნა ოკუპირებული ერაყის ტერიტორიაზე

მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალები ერაყის ტერიტორიაზე შეიჭრა, მიღებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ რეალურად ადგილი ჰქონდა ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეს ოკუპაციას. პირველ რიგში, კოალიციური დროებითი მმართველობის ადმინისტრატორად დანიშნულმა პოლ ბრემერმა, რომელიც ბაღდადში 2003 წლის 12 მაისს ჩავიდა,⁴⁸ 16 მაისს გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც ერაყის ყოფილი მმართველი პარტიის წევრები უნდა ჩამოშორებოდნენ ნებისმიერ სახელმწიფოებრივ თანამდებობას. აღნიშნული აკრძალვები შეეხებოდა როგორც ბაასისტური პარტიის აქტიურ წევრებსა და მაღალი თანამდებობის პირებს, ისე

⁴⁵ Briefing Security Council, Us Secretary of State Powell presents Evidence of Iraq's Failure to Disarm, 4701st meeting, SC/7658., 5 Feb. 2003. <<https://www.un.org/press/en/2003/sc7658.doc.htm>> [31/03/2018].

⁴⁶ Bush G., Address to the Nation, Ultimatum to Saddam Hussein, delivered 17 March 2003, Cross Hall at the White House, American Rhetoric, 3.

⁴⁷ International Center for Transitional Justice, Creation and First Trials of the Supreme Iraqi Criminal Tribunal, Briefing Paper, Oct., 2005, 5.

⁴⁸ Dobbins J., Jones S., Runkle B., Mohandas S., Occupying Iraq: A History of the Coalition Provisional Authority, National Security Research Division, 2009, 15.

სხვა ნებისმიერ წევრს.⁴⁹ ამას მალევე მოჰყვა მეორე ბრძანება, რომლის მიხედვითაც უნდა დაშლილიყო ერაყის არმია.⁵⁰

სწორედ ამ მოვლენების შემდეგ დაფუძნდა სპეციალური ტრიბუნალი ერაყისათვის ამერიკის შეერთებული შტატების საუკუპაციო ძალების მიერ (Coalition Provisional Authority),⁵¹ ხოლო მისი წესდება მიღებულ იქნა ერაყის მთავრობის საბჭოს მიერ 2003 წლის 9 დეკემბერს.⁵² შესაბამისად, ფაქტია, რომ რაიმე სამართლებრივი წინაპირობა სპეციალური ტრიბუნალის შექმნისა არ არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები თავდაპირველად მოუწოდებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, სწორედ მას შეექმნა ტრიბუნალი ერაყის ტერიტორიაზე, მსგავსი შეთანხმება ვერ მოხერხდა.⁵³ ასე რომ, უფლებამოსილი ორგანო უშიშროების საბჭოს სახით, რომლის ვალდებულებაცაა უზრუნველყოს უსაფრთხოება, სადამ ჰუსეინის საქმის შემთხვევაში არ გვეყოლია. ტრიბუნალი ჩამოაყალიბა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მის მიერ ოკუპირებული ერაყის ტერიტორიაზე. ასევე ტრიბუნალის შექმნამდე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საკმაოდ აქტიურად განიხილებოდა საკითხი, რომ სისხლის სამართლის მუდმივმოქმედ საერთაშორისო სასამართლოს განეხილა ერაყის ყოფილი მმართველი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები,⁵⁴ თუმცა აღნიშნული ვერ მოხერხდა რომის სტატუტის მე-11 მუხლში გაკეთებული ჩანაწერის გამო,

⁴⁹ De-Ba`athification of Iraqi Society, Coalition Provisional Authority Order Number 1, Bremer L.P., (CPA/ORD/16 May 2003/01).

⁵⁰ Dissolution of Entities, Coalition Provisional Authority Order Number 2, Bremer L.P., (CPA/ORD/23 may 2003/02).

⁵¹ ტურავა მ., საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „მეირიდიანი“, თბილისი, 2015, 52.

⁵² Grzebyk P., LE TRIBUNAL SPÉCIAL IRAQUIEN: INSTRUMENT DE JUSTICE OU DE VENGEANCE, AFRI, Volume IX, 2008, 131.

⁵³ Scats S., The Trial of Saddam Hussein, International Law Journal, Chatham House, October 2005, (IL/BP/05/02), Briefing Paper, 3.

⁵⁴ იქვე, 3.

რომლის მიხედვითაც სტატუტი იურისდიქციას ახორციელებს მისი ძალაში შესვლის შემდგომ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე.⁵⁵ ვინაიდან, თავის მხრივ რომის სტატუტი ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივლისს,⁵⁶ დროითი იურისდიქცია შეაფერხებდა სადამ ჰუსეინისა და მისი თანაგუნდელების გასამართლებას წესდების შესაბამისად.

საბოლოოდ, ერაყის უზენაესი სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდება 2005 წლის 18 ოქტომბრის მე-10 კანონით⁵⁷ არსებითად დამტკიცებულ იქნა პირველი თავისუფალი არჩევნების გზით შექმნილი პარლამენტის მიერ. ამგვარად ჩამოყალიბდა ტრიბუნალი, რომელიც არ არის ერაყის მართლმსაჯულების სისტემის ნაწილი, არამედ ავტონომიური ორგანო საკუთარი ადმინისტრაციითა და წესებით.⁵⁸

4.3. 2005 წლის 18 ოქტომბრის მე-10 კანონის სამართლებრივი ანალიზი

4.3.1 პერსონალური იურისდიქცია

ერაყის სისხლის სამართლის უზენაესი ტრიბუნალის წესდება განსაზღვრავს, რომ ტრიბუნალს აქვს იურისდიქცია ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, მნიშვნელობა არ აქვს, იქნება ეს ერაყის მოქალაქე თუ არა, ასევე დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილი იქნება თუ არა

⁵⁵ Rome Statute of International Criminal Court., A/CONF.183/9, 17 July 1998, <www.icc-cpi.int> article 11(1).

⁵⁶ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015, 301.

⁵⁷ Law of the Supreme Iraqi Tribuna., Al-Waqā'i Al-Iraqiyya, Official Gazette of the Republic of Iraq., Number (4006), 14 Ramadan 1426 Hijri, 18 October 2005.

⁵⁸ ტურავა მ., საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015, 52.

ერაყის ტერიტორიაზე.⁵⁹ ასე რომ, წესდება საკმაოდ აფართოებს პერსონალურ იურისდიქციას და გვთავაზობს ერთგვარ ექსტერიტორიულ მოდელს.⁶⁰ საკითხის მსგავსად გადაწყვეტა განპირობებული იყო იმით, რომ განზრახული იყო იმ დანაშაულებრივი ქმედებებისათვის პირების გასამართლება, რომლებიც უშუალოდ ერაყის ტერიტორიაზე არ იყო ჩადენილი. მაგალითად, 1990 წლის აგვისტოში ქუვეითში შეჭრა და ის ძალადობრივი ქმედებები, რომლებიც განხორციელდა ქურთი მოსახლეობის მიმართ.⁶¹ ვფიქრობთ, ეროვნულ დონეზე შექმნილი ტრიბუნალის მიერ პერსონალური იურისდიქციის ამგვარად გავრცობა გაუმართლებელი იყო. ის, სულ მცირე, ერაყის ტერიტორიაზე ჩადენილი ან სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედებებით უნდა შემოფარგულიყო და მხოლოდ ამგვარად გაეგრძელებინა მისი მართლმსაჯულება იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც არ იყვნენ ერაყის მოქალაქეები.

4.3.2. მატერიალური იურისდიქცია და სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის სახის დასაშვებობა

საკამათოა ასევე მატერიალური იურისდიქციის საკითხი. წესდებამ ერთგვარად სინთეზი შემოგვთავაზა საერთაშორისო და ეროვნული სისხლის სამართლებრივი დანაშაულებისა. გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და ომის დანაშაულები მე-10 კანონის მიერ განმარტებულ იქნა საერთაშორისო სისხლის სამართალში არსებული კონვენციებისა

⁵⁹ Law of the Supreme Iraqi Tribunal, Al-Waqa'i Al-Iraqiya, Official Gazette of the Republic of Iraq, Number (4006), 14 Ramadan 1426 Hijri, 18 October 2005, Article (1).

⁶⁰ Scats S., The Trial of Saddam Hussein, International Law Journal, Chatham House, October 2005, (IL/BP/05/02), Briefing Paper, 3.

⁶¹ იქვე, 2.

და რომის სტატუტის შესაბამისად,⁶² ხოლო მე-14 მუხლით დაწესდა იმ დანაშაულებრივ ქმედებებზე განსჯადობა, რომლებიც გათვალისწინებული იყო ერაყის სისხლის სამართლის კოდექსითა თუ სხვა სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობებით.⁶³ ესენი გახლდათ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა,⁶⁴ სახელმწიფო ფინანსური რესურსების გაფლანგვა და განიევება მთავრობის 1958 წლის მე-7 კანონის შესაბამისად,⁶⁵ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რასაც მოჰყვა შეიარაღებული კონფლიქტი ან ერაყის შეიარაღებული ძალების გამოყენება არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ, მთავრობის 1958 წლის მე-7 კანონის შესაბამისად.⁶⁶ ასევე წესდებით დადგინდა, რომ თუ ტრიბუნალი ვერ დაამტკიცებს სტატუტის მე-11, მე-12 და მე-13 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ელემენტების არსებობას (გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები და ომის დანაშაულები), თუმცა იმავდროულად დადასტურდება ისეთი დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელება, რომელიც დასჯადია ერაყის სისხლის სამართლის კოდექსისა და სხვა სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობების მიხედვით, ტრიბუნალი უფლებამოსილია, მაინც განიხილოს საქმე.⁶⁷

ზემოხსენებულის მსგავსად, გარდა უშუალოდ დანაშაულის დეფინიციის განსაზღვრისა, ადგილობრივი სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობაა გამოყენებული სტატუტის მიერ სასჯელთა სახეების ჩამოთვლის დროსაც. კერძოდ, წესდების 24-ე მუხლი მიუთითებს რა სასჯელთა გამოყენების დროს ერაყის

⁶² Law of the Supreme Iraqi Tribunal., Al-Waqa'i Al-Iraqiya, Official Gazette of the Republic of Iraq, Number (4006), 14 Ramadan 1426 Hijri, 18 October 2005, Article (11,12,13).

⁶³ იქვე, Article (14).

⁶⁴ იქვე, Article (14), first.

⁶⁵ იქვე, Article (14), Second.

⁶⁶ იქვე, Article (14), third.

⁶⁷ იქვე, Article (14), Fourth.

სისხლის სამართლის კოდექსზე, უშვებს სიკვდილით დასჯას.⁶⁸ მიუხედავად იმისა, რომ ერაყის სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით სიკვდილით დასჯა დამნაშავესა იყო მისაღები და ჩვეულებრივი მოვლენა ტრიბუნალის შექმნამდეც, მისი გამოყენება ამ შემთხვევაში საერთაშორისო სამართლებრივი ხასიათის ტრიბუნალის მიერ მაინც დაუშვებელია. ასევე იმ დროს, როდესაც ტრიბუნალის შექმნა აშკარად პოლიტიზირებული იყო და ის ჩამოაყალიბა გამარჯვებული სახელმწიფოს მმართველმა ძალამ მის მიერ ოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიაზე. ერაყის უზენაესი სისხლის სამართლის ტრიბუნალიც ყველაზე მეტად სწორედ ამ დანაწესის გამო იქნა გაკრიტიკებული. მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების, გაერთიანებული ერების იმჟამინდელი მდივნის, კოფი ანანისა თუ გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მდივნის, ჯეკ სტრაუს მიერ.⁶⁹ 2005 წლის მე-10 კანონის მიდგომა ჩვენი გადმოსახედიდანაც ყველანაირად გაუმართლებელია. წესდება მძიმედ არღვევს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, როდესაც უარს ამბობს ადამიანის უზენაეს სამართლებრივ ღირებულებაზე, სიცოცხლის უფლებაზე და უშვებს სიკვდილით დასჯას.⁷⁰

4.3.3. დროითი იურისდიქცია

ტრიბუნალის დროითი იურისდიქცია განისაზღვრა 1968 წლის 17 ივლისიდან 2003 წლის 1 ივლისამდე პერიოდით და მართლმსაჯულების განხორციელება დაუკავშირდა სწორედ ამ

⁶⁸ Grzebyk P., LE TRIBUNAL SPÉCIAL IRAQUIEN: INSTRUMENT DE JUSTICE OU DE VENGEANCE, AFRI, Volume IX, 2008, 142.

⁶⁹ Seats S., The Trial of Saddam Hussein, International Law Journal., Chatham House, October 2005, (IL/BP/05/02), Briefing Paper, 7.

⁷⁰ იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2005, 45.

დროის განმავლობაში სტატუტით ჩამოთვლილი დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებას.⁷¹ შედარებით სხვა საერთაშორისო ხასიათის თუ ჰიბრიდულ ტრიბუნალებთან, სასამართლოს დროითი იურისდიქცია იყო საკმაოდ მოცულობითი.⁷² მაგალითისთვის, რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალი განიხილავდა მხოლოდ 1994 წელს ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს,⁷³ ხოლო სპეციალური ტრიბუნალი სიერა-ლეონესათვის 1996 წლიდან მოყოლებით ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს.⁷⁴ გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ ტრიბუნალი საბოლოოდ ჩამოყალიბდა 2005 წლის 18 ოქტომბერს, მისი წესდებით დადგენილი დროითი იურისდიქცია აშკარად ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს (*nulla poena, nullum crimen sine lege*), რომელიც ევროპული სისხლის სამართლის ქვაკუთხედს წარმოადგენს,⁷⁵ ასევე სისხლის სამართლის კანონის უკუძალით გავრცელების აკრძალვას, რაც გულისხმობს, რომ, თუ ახალმა კანონმა დანაშაულად გამოაცხადა ქმედება, რომელსაც წინათ მოქმედი სისხლის სამართლის კანონი არ ითვალისწინებდა, მაშინ უკვე ჩადენილი ქმედების მიმართ ახალი კანონის გამოყენება ან მისთვის უკუძალის მინიჭება დაუშვებელია.⁷⁶ ერაყის სპეციალური ტრიბუნალის (IST) შემთხვევაში კი მე-10 კანონით გათვალისწინებული საერთაშორისო სამართლებრივი დანაშაულებები დანაშაულებრივ

⁷¹ Newton M., *The Iraqi Special Tribunal: A Human Rights Perspective*, Cornell International Law Journal, Volume 38., Issue 3., Article 10., 2005., 889.

⁷² Seats S., *The Trial of Saddam Hussein*, International Law Journal, Chatham House, October 2005, (IL/BP/05/02), Briefing Paper, 5.

⁷³ Statute of the International Tribunal for Rwanda, amended by the Security Council, UN, 2007, Article (1).

⁷⁴ Statute of the Special Court for Sierra Leone, Security Council resolution 1315 (2000) of 14 August 2000, Article (1).

⁷⁵ ტურავა მ., სისხლის სამართალი: ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, 23.

⁷⁶ ტყეშელიაძე გ., ლეკვეიშვილი მ., ნაჭყებია გ., თოდუა ნ., მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., მამულაშვილი გ., ივანიძე მ., ხერხეულიძე ი., სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო): ზოგადი ნაწილი., თბილისი, 2016, 92.

ქმედებებად გამოაცხადა თავად სტატუტმა, მაშინ როდესაც არც შესაბამის კონვენციებსა და არც რომის სტატუტს ერაყი შეერთებული არ იყო.⁷⁷

4.3.4. ბა'ასისტური პარტიის წევრების მიმართ განსაკუთრებული მიდგომა

ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ ერაყის სპეციალური ტრიბუნალის წესდებით ბა'ასისტური პარტიის წევრები არ შეიძლებოდა რაიმე შემხებლობაში ყოფილიყვნენ ერაყის უზენაესი სისხლის სამართლის ტრიბუნალის საქმიანობასთან.⁷⁸ სტატუტი 33-ე მუხლით ადგენს, რომ არც ერთი პიროვნება, რომელიც არის ბა'ასისტური პარტიის წევრი, არ შეიძლება დანიშნულ იქნას მოსამართლის, გამომძიებელი მოსამართლის, პროკურორის, სხვა თანამშრომლისა თუ საერთოდ ტრიბუნალის შემადგენლობის წევრის თანამდებობაზე.⁷⁹

4.3.5. „Joint Criminal Enterprise“ პასუხისმგებლობა

ზოგადად, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის (Joint Criminal Enterprise) ცნება გულისხმობს პირის პასუხისმგებლობის დასაბუთების ერთგვარ გამარტივებას. ამ ცნების მიხედვით, დანაშაულებრივ ორგანიზაციაში უბრალო წევრობაც კი განიხილება დანაშაულად, იმის მიუხედავად, ამგვარი

⁷⁷ Scatts S., The Trial of Saddam Hussein, International Law Journal, Chatham House, October 2005, (IL/BP/05/02), Briefing Paper, 2.

⁷⁸ იქვე, 6.

⁷⁹ Law of the Supreme Iraqi Tribunal., Al-Waqa'i Al-Iraqiya, Official Gazette of the Republic of Iraq, Number (4006), 14 Ramadan 1426 Hijri, 18 October 2005, Article (33).

მონაწილეობა იყო თუ არა ნებაყოფლობითი.⁸⁰ მთელი არსი ის არის, რომ იგი აკავშირებს იმ დამნაშავეებს, ვისაც ფიზიკურად არ მიუღიათ მონაწილეობა კონკრეტული დანაშაულის განხორციელებაში, დანაშაულებთან, რომლებიც ერთ საერთო ჯგუფში შემავალ დამნაშავეთა ჩანაფიქრს წარმოადგენდა.⁸¹ ერაყის უზენაესი ტრიბუნალი (IHT), თავის მხრივ, განსხვავებით იუგოსლავიის, სიერა-ლეონესა და რუანდის ტრიბუნალებისაგან, რომლებიც აღიარებენ პერსონალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, აფართოებს პასუხისმგებლობის ფარგლებს და ეყრდნობა სწორედ ზემოხსენებულ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის თეორიას.⁸²

საბოლოო ჯამში, მივიჩნევთ, რომ ერაყის უზენაესი ტრიბუნალის (IHT) 2005 წლის 18 ოქტომბრის სადამფუძნებლო მე-10 კანონი ბევრ სამართლებრივ ხარვეზსს შეიცავდა, რაც ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ ე.წ. „სადამ ჰუსეინის საქმე“ პოლიტიკურად მოტივირებული იყო.⁸³

4. ერაყის უზენაესი ტრიბუნალის (IHT) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ე.წ. „დუჯაილის პროცესი“

2005 წლის 17 ივლისს, ბა'ასისტური პარტიის ერაყის ხელისუფლებაში მოსვლიდან 37 წლის თავზე, ერაყის უზენაესი

⁸⁰ ნაჭყებია გ., გორაშვილი გ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., გოგშელიძე რ., სულაქველიძე დ., დვალიძე ი., ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალ-შეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012, 106.

⁸¹ იქვე, 110.

⁸² Rably I., JOINT CRIMINAL ENTERPRISE LIABILITY IN THE IRAQI HIGH TRIBUNAL, Boston University International Law Journal, Vol.28:281., 2010, 313.

⁸³ Meierhenrich J., O.Pendas D., “The Justice of My Cause Is Clear, but There’s Politics to Fear”: Political Trials in Theory and History, Cambridge University Press, March 2017, I.

სასამართლოს უფროსმა გამომძიებელმა მოსამართლემ ბრალი წაუყენა 8 პიროვნებას „ალ-დუჯაილის“ ინციდენტთან დაკავშირებით. ძირითადი ბრალდების მიხედვით, საქმის ვითარება იყო შემდეგი: 1982 წელს შიიტთა დაჯგუფებამ ალ-დუჯაილიდან სცადა სადამ ჰუსეინის მოკვლა, როდესაც ის გადაადგილდებოდა ქალაქში. აღნიშნულის საპასუხოდ კი უშუალოდ სადამ ჰუსეინის, ბარზამ იბრაჰიმისა (სადაზვერვო სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი, სადამ ჰუსეინის ნახევარძმა) და ტაჰა იასინ რამადანის ბრძანებით, ერაყის სამხედრო შენაერთები ძალით შეიჭრნენ ალ-დუჯაილის ტერიტორიაზე, დახოცეს უამრავი ადამიანი და გაანადგურეს ქალაქის დიდი ნაწილი. დაახლოებით ასორმოცდაათი პიროვნება იქნა დაკავებული და ციხეში მოთავსებული, ნაწამები. მათგან ცხრა მსგავსი მოპყრობის შედეგად დაიღუპა. 148 შიიტის მიმართ კი, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, მოსამართლე ჰამად ალ-ბანდარმა გამოიტანა სასიკვდილო განაჩენი.⁸⁴

4.4.1. ბრალდებული ავად ჰამედ ალ-ბანდარი

2006 წლის 15 მაისს ტრიბუნალმა ბრალდებულ ავად ჰამედ ალ-ბანდარს ბრალი წაუყენა სტატუტის მე-12 მუხლით, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებებისათვის. ბრალდებულმა უარყო დანაშაული და განაცხადა, რომ ის მოქმედებდა მხოლოდ ისე, როგორც მის ადგილას იმოქმედებდა ნებისმიერი მოსამართლე, მისი გადაწყვეტილება კი ეყრდობოდა დასაშვებ მტკიცებულებებს.⁸⁵ ალ-ბანდარის პასუხიმსმეებლობის დამტკიცებისათვის ტრიბუნალმა სწორედ ზემოგანხილული გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის (JCE) თეორია გამოიყენა. დანაშაულის მენტალური ელემენტის (*mens rea*)

⁸⁴ Rably I., JOINT CRIMINAL ENTERPRISE LIABILITY IN THE IRAQI HIGH TRIBUNAL, Boston University International Law Journal, Vol.28:281, 2010, 313-314.

⁸⁵ Judgment of the Dujail Trial at the Iraqi High Tribunal, English Translation, Case No. 1/C 1/2005, Dujail Case, 46.

მტკიცებისას ტრიბუნალი, ნაცვლად იმისა, რომ მიეთითებინა მყარ მტკიცებულებებზე, რაც ხაზს გაუსვამდა ბრალდებულის განზრახვას დანაშაულებრივი ქმედების არსს, შემოიფარგლა მხოლოდ რევოლუციური სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე მითითებით.⁸⁶ ასევე ხაზგასასმელია, რომ საქმის განხილვის დროს ადგილი ჰქონდა რამდენიმე საექვო გარემოებას. მაგალითად, როგორც „Human Rights Watch“ მიუთითებს 2006 წლის ნოემბრის მოხსენებაში, 2005 წლის 20 ოქტომბერს სადღუნ ალ-ჯანაბი, ავად ჰამედ ალ-ბანდარის ადვოკატი, გაიტაცეს, რის შემდეგაც ის მოკლულ იქნა.⁸⁷ ასევე იგივე მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 2006 წლის 13 მარტს ალ-ბანდარის დაკითხვის დროს მის მიმართ გამოყენებული იქნა უხეში, მტრული საუბრის ტონი.⁸⁸ მის მიმართ გამოტანილ იქნა სასიკვდილო განაჩენი.⁸⁹

4.4.2. ბრალდებული სადამ ჰუსეინ ალ-მაჯიდი

2005 წლის 15 მაისს ასევე ბრალი წაუყენეს სადამ ჰუსეინს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ რამდენიმე დანაშაულში, რომლებიც გათვალსწინებული იყო 2005 წლის 18 ოქტომბრის მე-10 კანონის მე-12 მუხლის a, d, e, f, i და j ქვეპუნქტებით.⁹⁰ პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი დარღვევა თავად სასამართლო პროცესის დაწყებამდე და ბრალის წაყენებამდე დაფიქსირდა, როდესაც 2003 წლის 13 დეკემბერს სადამ ჰუსეინს მიაკვლიეს ტიკრიტთან ახლოს მიწისქვეშა სამალავში, რის შემდეგაც ის გადაყვანილ იქნა შეერთებული შტატების პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც მან

⁸⁶ Rably I., JOINT CRIMINAL ENTERPRISE LIABILITY IN THE IRAQI HIGH TRIBUNAL, Boston University International Law Journal, Vol.28:281, 2010, 320.

⁸⁷ Judging Dujail, The First Trial before the Iraqi High Tribunal, Volume 18, No. 9 (e), Human Rights Watch, November 2006, 21.

⁸⁸ იქვე, 66.

⁸⁹ Iraqi High Tribunal, Number: 29/c/2006, Date: December 26, 2006, 2.

⁹⁰ Judgment of the Dujail Trial at the Iraqi High Tribunal, English Translation, Case No. 1/C 1/2005, Dujail Case, 75.

გაატარა 6 თვე „ომის ტყვის“ სტატუსით.⁹¹ სადამ ჰუსეინის პასუხისმგებლობა ძირითადად ემყარებოდა მის მიერ გაცემულ უკანონო ბრძანებებს, თუმცა ერაყის უზენაესმა ტრიბუნალმა მას ბრალი წაუყენა გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრობისთვისაც.⁹² ტრიბუნალის გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა იმას, რომ ჰუსეინი 1982 წლის 8 ივლისიდან 1989 წლის 16 იანვრამდე განვითარებული მოვლენების დროს გახლდათ რესპუბლიკის პრეზიდენტი, უმაღლესი მთავარსარდალი შეიარაღებული ძალებისა და რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტი.⁹³ ასევე მტკიცებულების სახით წარდგენილ იქნა 1984 წლის 27 მაისს სადამ ჰუსეინის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი 148 შიიტი ამბოხებულის საქმეზე. ჰუსეინის მიმართაც ასევე გამოტანილ იქნა სასიკვდილო განაჩენი.⁹⁴

4.4.3. ბრალდებული ბარზან იბრაჰიმ ალ-ჰასანი ალ-ტიკრიტი

ბარზან იბრაჰიმ ალ-ჰასანი გახლდათ სადამ ჰუსეინის ნახევარძმა, ასევე სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი. მას გამომძიებელმა მოსამართლემ ბრალი წაუყენა სადაზვერვო სამსახურის წევრების, სამხედრო ხელმძღვანელობის მიმართ გაცემული ბრძანებისათვის, რომ ცეცხლი გაეხსნათ ალ-დუჯაილის მოსახლეობისათვის, ასევე მათი მკვლელობის, წამებისა და დაკავებისათვის გაცემული ბრძანებების გამო, მათი სახლებისა და საცხოვრებლების განადგურების კამპანიის ხელმძღვანელობისათვის.⁹⁵

⁹¹ Scatts S., The Trial of Saddam Hussein, International Law Journal, Chatham House, October 2005, (IL/BP/05/02), Briefing Paper, 2.

⁹² Rably I., JOINT CRIMINAL ENTERPRISE LIABILITY IN THE IRAQI HIGH TRIBUNAL, Boston University International Law Journal, Vol.28:281., 2010, 325.

⁹³ იქვე, 326.

⁹⁴ Iraqi High Tribunal, Number: 29/c/2006, December 26, 2006, 2.

⁹⁵ Rably I., JOINT CRIMINAL ENTERPRISE LIABILITY IN THE IRAQI HIGH TRIBUNAL., Boston University International Law Journal., Vol.28:281., 2010., 322.

სასამართლო საქმის წარმოების პროცესში, კერძოდ, 2006 წლის 12 ივნისს ბრალდებული მიუთითებდა, რომ ხდებოდა ზეწოლა მის მოწმეებზე, რის გამოც ისინი ვერ ბედავდნენ მიეცათ ტრიბუნალისათვის ჩვენება, რასთან დაკავშირებითაც ასევე ამახვილებს ყურადღებას „Human Rights Watch“ 2006 წლის მოხსენებაში.⁹⁶ 2006 წლის 5 ნოემბერს ხსენებულ ბრალდებულსაც ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა.⁹⁷

4.4.4. ბრალდებული ტაჰა იასინ რამადანი

ტაჰა იასინ რამადანი გახლდათ ერაყის ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, ასევე ერაყის რევოლუციური საბჭოს ყოფილი წევრი. მას ბრალი წაუყენეს დანაშაული ორგანიზაციის წევრობისათვის და ასევე 1283-ე გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც გამოტანილ იქნა 1982 წლის 24 ოქტომბერს და რომლის ძალითაც მოხდა ალ-დუჯაილის მაცხოვრებლებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწების კონფისკაცია. მისი ქმედებები ძირითადად მაინც შეფასდა, როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები, გათვალისწინებული მე-10 კანონის მე-12 მუხლით.⁹⁸ 2006 წლის 5 ნოემბერს მიესაჯა სიკვდილი.⁹⁹

4.4.5. სხვა ბრალდებულები, რომელთა მიმართაც არ იქნა გამოყენებული სასიკვდილო განაჩენი

რაც შეეხება დუჯაილის საქმის სხვა ძირითად ბრალდებულებს, აბდულა კათიმ რუადინს, ალი დაეჰ ალის, მიზჰერ აბდალა კადიმს, მათ მიესაჯათ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ასევე

⁹⁶ Judging Dujail, The First Trial before the Iraqi High Tribunal, Volume 18, No. 9 (e), Human Rights Watch, November 2006, 68.

⁹⁷ Iraqi High Tribunal., Number: 29/c/2006., Date: December 26, 2006., 2.

⁹⁸ Rably I., JOINT CRIMINAL ENTERPRISE LIABILITY IN THE IRAQI HIGH TRIBUNAL, Boston University International Law Journal, Vol.28:281., 2010, 320.

⁹⁹ Iraqi High Tribunal, Number: 29/c/2006, Date: December 26, 2006, 2.

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებებისათვის, ერაციის სისხლის სამართლის 1969 წლის კოდექსის მიხედვით.¹⁰⁰

4.5. ერაციის უზენაეს ტრიბუნალის შექმნის წინაპირობებისა და საქმიანობის შეჯამება

როგორც ამ თავში წარმოჩენილი საკითხების კვლევამ გვიჩვენა, ერაციის უზენაეს ტრიბუნალთან (IHT) დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს რამდენიმე მომენტი, რომლებიც ჩვენ გვიტოვებენ იმის განცდას, რომ პროცესები, რომლებიც უნდა წარმართულიყო სამართლებრივად, რეალურად მოქცეული იყო დიდი პოლიტიკური გავლენის ქვეშ და რეალურად საერთაშორისო სამართლის დაცვის მიზანს ამოფარებული მოქმედებები თავადვე არღვევდა მას. კერძოდ:

1. ამერიკის შეერთებული შტატები ერაცში შეჭრის შემდეგ მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქმნის ჰიბრიდული ხასიათის ტრიბუნალს;
2. რეალურად ტრიბუნალი იქმნება სამართლებრივი უფლებამოსილების გარეშე;
3. ტრიბუნალი ასამართლებს დამარცხებულ პოლიტიკურ ძალას;
4. ტრიბუნალის წესდება არღვევს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს: უკუძალის აკრძალვის, კანონიერების, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპებს;
5. ტრიბუნალის პერსონალური იურისდიქცია გაუმართლებლად ფართეა;
6. სინთეზური მოდელის ტრიბუნალი 21-ე საუკუნეში ეროვნული კანონმდებლობის დანაწესებიდან იყენებს

¹⁰⁰ იქვე, 3.

- სიკვდილით დასჯას, რომელიც აშკარად დაგმობილია საერთაშორისო საზოგადოების მიერ;
7. შეინიშნება პროცესუალური დარღვევები საქმის წარმოების დროს;
 8. მართლმსაჯულება არ ხორციელდება თანმიმდევრულად. მსგავს დანაშაულებებში ბრალდებული პირებიდან ნაწილი ისჯება სიკვდილით, ნაწილი კი - თავისუფლების აღკვეთით 15 წლამდე.

დასკვნა

თემის ფარგლებში საბოლოო დასკვნის სახით პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს.

პირველ რიგში, ჩვენ მივიჩნევთ, რომ იმისათვის, რათა ჰიბრიდული ტრიბუნალის შექმნის სამართლებრივი წინაპირობები არსებობდეს, საჭიროა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება მიღებული იყოს მინიმუმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ, რომელსაც აქვს იმის კომპეტენცია, რომ უზრუნველყოს უსაფრთხოება და მშვიდობიანობა. ასევე, რა თქმა უნდა, უნდა არსებობდეს ის გარემოებები, რომლებზედაც მითითებულია გაეროს წესდების მე-7 თავში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი რომელიმე სახელმწიფო ქმნის რეალურად სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამგვარ სასამართლო დაწესებულებას, როგორც ეს მოხდა ერაყის უზენაესი ტრიბუნალის შემთხვევაში, ირღვევა სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი, რომელიც ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი ქვაკუთხედაა და ჩამოყალიბებულია ქარტიის მე-2 მუხლის მე-7 ნაწილში. ასეთ დროს სამართლებრივი მექანიზმის სახელს ამოფარებული დაწესებულება რეალურად ხდება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები ინსტიტუტი.

რაც შეეხება სისხლი სამართლის მუდმივმოქმედ საერთაშორისო სასამართლოსთან ჰიბრიდული ტრიბუნალის მიმართებას, უნდა ჩავთვალოთ, რომ საქმე გვაქვს კომპლემენტარულ იურსდიქციასთან. ჰიბრიდული ტრიბუნალი უფრო მეტად უნდა გავაიგივოთ ერთი სახელმწიფოს ეროვნული მართლმსაჯულების განმახროციელებელ ორგანოსთან, რომელთან მიმართებითაც შესაძლოა, სისხლის სამართლის მუდმივმოქმედ სასამართლოს ჰქონდეს ე.წ. „დამხმარე“ ფუნქცია.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ ხსენებული წინაპირობების გათვალისწინების შემთხვევაში, ჰიბრიდული ტრიბუნალების არსებობა იქნება სამართლებრივად გამართლებული და იმავდროულად ქმედითი.

**ტრეფიკინგი, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული
დანაშაული - გამოწვევები და პერსპექტივები**

შესავალი

ადამიანით ვაჭრობა, როგორც უკანონო მიგრაცია, დღეს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, რომელიც სოციალური თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან და ხილვად ფენომენად იქცა. დანაშაულის სიმწვავისა და სიმძიმიდან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მის გამოკვლევას, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დღეს მონობა პირდაპირი გაგებით აღარ არსებობს, გვაქვს მისი თანამედროვე ფორმა, რაც ზრდის იმის რისკს, რომ ადამიანები მონობის საფრთხის წინაშე დგანან. ტრეფიკინგი საერთაშორისო პრობლემაა, რომლის აღმოფხვრის შესაძლო გზები შემუშავდა და დღესაც მუშავდება, მაგრამ მთავარი, ცხადია, არის ისეთი მექანიზმების შექმნა, რომლებიც პრობლემის აღმოფხვრის გზებს დაგვანახებს, გზები, რომლებიც მიგვიყვანენ შედეგამდე და თავიდან ავიცილებთ იმ მძიმე მდგომარეობას, როდესაც ადამიანთა უფლებები უკიდურესად ირღვევა და შემამფოთებელი სურათი განსაკუთრებით მაშინ გვაქვს, როდესაც საქმე ლეიტალურ შედეგს ეხება.

ადამიანით ვაჭრობა ის ერთ-ერთი „სარფიანი“ სფეროა, რომელიც XX საუკუნის ბოლოდან კრიმინალურ ბიზნესს აქტიურად უწყობს ხელს, რომ განახორციელოს დანაშაულებრივი ქმედებები. ადამიანი ყიდვა-გაყიდვის ობიექტად იქცა. შეიქმნა მთელი რიგი დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომლებიც ამ საქმისთვის არიან ორგანიზებულნი.¹⁰¹

ტერმინი „ტრეფიკინგი“ განსხვავებულად არის აღქმული იურიდიულ ლიტერატურაში, მეცნიერთა ნაწილი მიუთითებს,

¹⁰¹ ლეკვეიშვილი მ, თოდუა ნ, მამულაშვილი გ, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, თბილისი, 2016, 256.

რომ ეს მხოლოდ ადამიანით ვაჭრობაში გამოიხატება, ხოლო მეორე ნაწილის აზრით, ამ უკანასკნელის გარდა მოიცავს სხვა მოქმედებებსაც, როგორცაა ადამიანის შრომით თუ სექსუალურ ექსპლუატაციაში ჩაბმა. თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹-ე მუხლის თანახმად, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება გამოვლინდეს ადამიანის ყიდვა-გაყიდვაში.

ადამიანის ტრეფიკინგის წარმოშობა და განვითარება შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა მიზეზით: უსასრულო სიღარიბე ან, როგორც მინიმუმ, მდგრადი ეკონომიკური განვითარების საკმაოდ საეჭვო პერსპექტივა (მდიდარ ქვეყნებთან შედარებით) უზრუნველყოფს პოტენციურ მსხვერპლთა უწყვეტ მიწოდებას მიგრაციის მსურველ პირთა კატეგორიიდან. არსებობს უამრავი გარემოება, რომელიც, პირდაპირი გაგებით, ადამიანებს თავიანთი სახლების მიტოვებისკენ უბიძგებს. იმ იდენტიფიცირებულ ფაქტორთა შორის, რომელიც ადამიანს აიძულებს, იფიქროს მიგრაციაზე და მიიღოს სარისკო წინადადება, ყველაზე ხშირად სახელდება სიღარიბე. არამარტო ეს გარემოება, ასევე დასაქმების შესაძლებლობის უკმარისობა, დისკრიმინაცია, ასევე რთული ოჯახური გარემოებანი ხელს უწყობენ ადამიანის მიგრაციას და მის თანხმობას, სარისკო პირობების მიღებასთან დაკავშირებით. ადამიანის ტრეფიკინგს აქვს მკაფიო გენდერული განზომილება: ქალთა და გოგონათა სამართლებრივი და სოციალური უთანასწორობა ტრეფიკინგის განვითარების მამოძრავებელი ძალაა. ხშირად გოგონებს არ უტოვებენ შემდგომი განათლების პერსპექტივას და ამის ნაცვლად აიძულებენ სახლში დარჩენასა და ოჯახური საქმიანობის განხორციელებას.¹⁰² ეს გარემოებები სწორედაც რომ ხელშემწყობი ფაქტორია პოტენციური მსხვერპლის მიერ თანხმობის გაცხადებაზე. მიმზიდველი შემოთავაზება, რომელიც დანიშნულების ქვეყნებში არსებული კეთილდღეობის

¹⁰² მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, სასწავლო მასალა მოსამართლეთა და პროკურორთათვის ტრეფიკინგის ბრძოლის შესახებ, თბილისი, 2006, 24.

მიღწევის შესაძლებლობის წარმოსახვას ქმნის, მარტივად ახდენს ზემოქმედებას შეჭირვებულ ადამიანზე და, შესაბამისად, თანხმობის მიღებაც ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა იყოს ძალიან მარტივი და მსხვერპლთა მიერ გადაწყვეტილებაც დაუფიქრებლად იქნას მიღებული. საბოლოოდ, შედეგად ვიღებთ ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს).

1. ქართული კანონმდებლობა ტრეფიკინგის შესახებ

გაეროს კონვენცია მონობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სახელმწიფოებს სამ ჯგუფად ყოფს: 1) მიმწოდებელი ქვეყანა - რომლის ტერიტორიიდანაც გაჰყავთ მუდმივად მაცხოვრებელი ადამიანები (პოტენციური დანაშაულის მსხვერპლნი); 2) ტრანზიტული ქვეყანა - რომლის ტერიტორიის გავლით ხდება მსხვერპლთა გადაყვანა; 3) დანიშნულების ქვეყანა - რომლის ტერიტორიაზეც ხდება ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა სხვადასხვა სახით ექსპლუატაცია.

საქართველო ძირითადად განიხილება, როგორც ტრანზიტული ქვეყანა; შესაბამისად, სამართლებრივი მოწესრიგება უნდა არსებობდეს ისეთი, რომ მოხდეს დანაშაულის პრევენცია. დღეს არსებული ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა ტრეფიკინგთან მიმართებით, სწორედ რომ ზემოხსენებულ კონვენციებში გათვალისწინებული ცნების საფუძველზე არის აგებული. გამომდინარე აქედან, სსკ-ის 143¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული თავისი შინაარსით მოიცავს სამ ძირითად ელემენტს: ქმედება, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. ამავე მუხლის მიხედვით ტრეფიკინგი მოიცავს რამდენიმე ეტაპს: ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა ხელში ჩაგდება (ყიდვა, გაყიდვა, ან სხვა უკანონო გარიგების განხორციელება და ა.შ.), მათი თავმოყრა, მათი მსვლელობა, აგრეთვე მუქართ, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების

გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

მნიშვნელოვანია ექსპლუატაციის დეფინიციის განსაზღვრა, რასაც ასევე ზემოაღნიშნული მუხლის შენიშვნა გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც ექსპლუატაციად მიიჩნევა დამნაშავეს მიერ მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლობის მიღების მიზნით ა) შრომის ან მომსახურების გაწევის იძულება; ბ) სექსუალური მომსახურების გაწევის იძულება; გ) პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიასა ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმა; დ) ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოღება, გადანერგვა ან სხვაგვარად გამოყენება; ე) ადამიანის მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება. ეს უკანასკნელი გულისხმობს მისთვის ისეთი მდგომარეობის შექმნას, როდესაც ის ანაზღაურებით, არაადეკვატური ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე, სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას და მას არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა ამ პირზე დამოკიდებულების გამო. პირზე დამოკიდებულება შეიძლება გამოწვეული იყოს, მათ შორის: 1) პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ჩამორთმევით, კონტროლით ან განზრახ ხელყოფით; 2) თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვით ან თავისუფალი გადაადგილების კონტროლით; 3) ოჯახის წევრთან ან სხვა პირთან კომუნიკაციის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტის შეზღუდვით ან კონტროლით; 4) იძულებითი ან დამაშინებელი გარემოს შექმნით.

უნდა აღინიშნოს, რომ მსხვერპლის გამოძებნა (მისი გამოვლენა), წინ უძღვის ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას. დამნაშავეები წინასწარ სწავლობენ პოტენციური მსხვერპლის პიროვნებას (მის გარეგნობას, მორალურ,

ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს), ასევე მის ახლობელთა წრეს, რათა შეიტყონ, რამდენად სარისკოა ამ პირის ექსპლუატაციაში ჩაბმა.¹⁰³

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოცემული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო მოწესრიგებას ითვალისწინებს საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის“ შესახებ.¹⁰⁴ ცხადია, ორგანული კანონის შესაბამისად სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისაკენ, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციისაკენ. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა განისაზღვრება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროებში საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად.

ტრეფიკინგი, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საზოგადოდ ხელყოფს ადამიანთა იმ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებას, რომლებიც ადამიანის, როგორც დამოუკიდებელი პირის ფუნქციებს, არარად აგდებს. გამომდინარე აქედან, ეს დანაშაული სცილდება ერთი ქვეყნის საზღვრებს და ტრანსნაციონალურ ხასიათს იღებს. ის მრავალმხრივი საშიშროებით ხასიათდება, რადგან ხელყოფს ადამიანის უფლებას, რომ თავისუფლად

¹⁰³ ავტორთა კოლექტივი, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეუარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012, 282.

¹⁰⁴ საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის“ შესახებ, სსმ, 15, 16/05/2006, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26152>>, [22.08.2018].

გადაადგილდეს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ზღუდავს ადამიანის შრომის თავისუფლებას, ოჯახისა და არასრულწლოვანთა ინტერესებს. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრეფიკინგი ლახავს იმ უფლებას, რომელიც „ადამიანის ადამიანად ყოფნისათვის“ ფუნდამენტურია, ეს არის ღირსება.

2. დანაშაულთან ბრძოლის დღეს არსებული გამოწვევები

დღეს საქართველო განვითარებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, გარდამავალი პერიოდი, რომელიც ჩვენს ქვეყანას უდგას, ეკონომიკური თვალსაზრისით ჯერ კიდევ არასტაბილურ გარემოს ქმნის, შესაბამისად უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია. მოსახლეობა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზად ემიგრაციას მიიჩნევს, იმ იმედით, რომ სხვა სახელმწიფოში შეძლებენ შესაბამისი ანაზღაურების მიღებას. იმედი, რომელიც მაღალანაზღაურებადი სამსახურის მიღებაში გამოიხატება, ხშირად უცრუდებთ და უფრო მეტიც, იღებენ იმაზე უარეს მდგომარეობას, რაც საკუთარ ქვეყანაში ჰქონდათ. ისინი ხდებიან ისეთი სასტიკი დანაშაულის მსხვერპლნი, როგორც არის ტრეფიკინგი. შედეგები, რაც ამ დანაშაულს ახასიათებს, ცხადია, თანაბრად არღვევს ნებისმიერი ეროვნების მსხვერპლის უფლებებსა და თავისუფლებებს, მაგრამ ტრეფიკინგის შედეგები განსაკუთრებით საგანგაშოა საქართველოსთვის. დღეს არსებულ მცირერიცხოვან ქართულ მოსახლეობას კიდევ უფრო მეტად უთხრის ძირს და ამცირებს ერის გენოფონდს, რადგან მსხვერპლი იშვიათად უბრუნდება მშობლიურ მიწას და თუ უბრუნდება, მაშინ კიდევ უფრო რთულია მისი რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია. ამდენად, საქართველოსთვის ეს დანაშაული დიდი საშიშროების მატარებელია და მხოლოდ დანაშაულის მართლწინააღდებობით არ ამოიწურება.

რა თქმა უნდა, უდიდესი როლი მიუძღვის ტრეფიკინგის საქმის გამორკვევასა და გამოძიებაში შესაბამის სამართალდამცავ

ორგანოებს, მაგრამ აქ მეორე უკიდურესობას ვაწყდებით. ადამიანით ვაჭრობა ვერ აყვავდება სახელმწიფო მოხელეებისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელშეწყობის გარეშე. ადგილობრივი პოლიციის მონაწილეობა შემოიფარგლება როგორც საროსკიპოებში უფასოდ სტუმრობით, ასევე ქვეყანაში ქალთა ტრეფიკინგის ხელშეწყობით. ადგილობრივი პოლიციის მხრიდან თანამზრახველობა და კორუფცია ხელს უწყობს და ამძაფრებს ადამიანის უფლებების დარღვევას. მსხვერპლები იხსენებენ პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც სტუმრობდნენ საროსკიპოებს სექსუალური მომსახურების მისაღებად ყალბი საბუთების მოპოვებისა და მოსალოდნელი რეიდების შესახებ მფლობელთათვის შეტყობინების სანაცვლოდ. სხვები კი პირდაპირ არიან ჩართულნი ტრეფიკინგის პროცესში; უმეტესწილად ასეთ საქმიანობაში ჩართული პოლიცია სრული დაუსჯელობით სარგებლობს და დღესდღეობით კორუფცია კვლავაც არ მცირდება.¹⁰⁵ შესაბამისად, ადამიანით ვაჭრობა ვერ განხორციელდება ადგილობრივი დაწესებულებებისა და პოლიციის ძალების მხრიდან გარკვეული დონის კორუფციის გარეშე, სამართალდამრღვევთა ამოცნობა დიდი ნაბიჯია ორგანიზებული დანაშაულის წარმატებით დამარცხებისათვის და განსაკუთრებით კი ადამიანებით ვაჭრობის აღმოსაფხვრელად. ორივე პრობლემის აღმოფხვრა, რა თქმა უნდა, პოლიციის იმიჯსაც არ შებღალავს.

3. ეროვნული სასამართლო პრაქტიკა

საქართველოსთან მიმართებით საუბრისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ, რა გადაწყვეტილებებს იღებენ საერთო სასამართლოები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტის

¹⁰⁵ მარტინა ვანდერბერგის მოსაზრება, ევროპის მკვლევარი. ქალთა უფლებების განყოფილება, ჰიუმან რაითს ვოჩი. განხილულია საერთაშორისო ოპერაციების ქვეკომიტეტის და ადამიანის უფლებების კომიტეტის მიერ, წარმომადგენლობითი პალატა, 2002 წლის 24 აპრილი.

გამოვლენის შემთხვევაში, ასევე მათ მიერ გამოტანილი განაჩენები რამდენად შეესაბამება საერთაშორისო კონვენციასა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ საქმე ზოია ალ-ნის მიმართ,¹⁰⁶ სასამართლომ მას მსჯავრი დასდო ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელებაში, მოტყუებით ადამიანის გადაყვანასა და მიღებაში ექსპლუატაციის მიზნით ორი ან მეტი პირის მიმართ. ზ. ალმა დაიყოლია ნ.ხ. და თ.პ. პროსტიტუციაში ჩაბმის შედეგად, სათანადო საზღაურის მიღების მიზნით ქ. დუბაიში წაყვანაზე, სადაც მათ საქმიანობასა და ამ გზით მიღებულ შემოსავლებს მეთვალყუეობასა და კონტროლს გაუწევდა მ.ალ-ა. ცხადია, მოტყუება არის ამ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი ხერხი.

მოტყუების დროს ადგილი აქვს ადამიანის შეცდომაში შეყვანას სხვადასხვა სახის დაპირებით. მაგალითად, მას ჰპირდებიან, რომ წაიყვანენ საზღვარგარეთ და მოაწყობენ მაღალანაზღაურებად სამუშაოზე. სინამდვილეში კი მიჰყავთ იმ პირთად, ვინც მას ყიდულობს ფულით, ან აბამს პროსტიტუციაში.¹⁰⁷ შესაბამისად, მოტყუებით ექსპლუატაციაში ჩაბმა მამინ გვაქვს სახეზე, როდესაც უმაღლავს დამნაშავე საკუთარ რეალურ ზრახვებს. ამ შემთხვევაში კი გაცხადებულია ზ. ალმას სამომავლო ქმედებები და შესაბამისად განხილულ სისხლის სამართლის საქმეში მოტყუების ფაქტი არ დგინდება.

მნიშვნელოვანია ასევე სისხლის სამართლის საქმე თ.ქ.-ს მიმართ ადამიანით ვაჭრობის ბრალდებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილ განაჩენში აღნიშნულია, რომ: „განსასჯელ თამარ ქარჩავას მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული აღიარებითი

¹⁰⁶ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, 2006 წელი, 12 ივნისი, საქმე #1/ა-141.

¹⁰⁷ ლეკვეიშვილი მ, თოდუა ნ, მამულაშვილი გ, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, თბილისი, 2016, 260.

ჩვენება დანაშაულის ჩადენის შესახებ, ასევე დადასტურებულია სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიებისას შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით“ და ჩამოთვლის წინასწარი გამოძიების მიერ მოპოვებულ მტკიცებულებათა სახეებს, რის შედეგადაც დაასკვნის, ამდენად, „სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ განსასჯელმა თ.ქ.-მ ჩაიდინა ადამიანით ვაჭროვა (ტრეფიკინგი), დაზარალებულის საზღვარგარეთ გადაყვანით, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.“ სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს არა წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები, არამედ პროცესზე უშუალოდ მოსმენილი და გამოკვლეული ჩვენებები.¹⁰⁸ შესაბამისად, ასეთ დროს ირღვევა სისხლის სამართლის პროცესის ზეპირობისა და უშუალობის პრინციპი. მისი შინაარსიდან თუ ამოვალთ, ის გულისხმობს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეული იყო სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით. ზეპირობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალები სასამართლოში სრულფასოვნად უნდა იყოს ზეპირად გამოკვლეული. სასამართლო სხდომის ზეპირობა საქვეყნოობის პრინციპის განხორციელების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა და მართლმსაჯულების კონტროლის ეფექტური საშუალებაა, რადგან ამ გზით პროცესის დამსწრე საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა, თვალ-ყური ადევნოს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას და მოისმინოს სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის რელევანტურ მტკიცებულებებთან დაკავშირებით მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

4. ევროსასამართლოს პრაქტიკა

¹⁰⁸ ავტორთა კოლექტივი, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეუარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი 2012, 382.

სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობასთან შემხებლობაში უნდა განვიხილოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ (Rantsev v. Cyprus and Russia). ნათელს ფენს კვიპროსში არსებულ სერიოზულ პრობლემას (1970-იანი წლებიდან მოყოლებული), რაც უკავშირდება ახალგაზრდა ქალებს, ხშირად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნიბიდან, რომლებსაც აიძულებენ, იმუშავონ სექსის ინდუსტრიაში. განმცხადებლის ქალიშვილი ოქსანა რანცევა დაილუპა კვიპროსში კაბარეს მსახიობის ვიზით ჩასვლის შემდეგ რამდენიმე დღეში. სასამართლომ რანცევის საქმეში დაადგინა, რომ შიდა სამართალი ადეკვატურად უნდა უზრუნველყოფდეს ტრეფიკინგის მსხვერპლებისა და პოტენციური მსხვერპლების უფლებების პრაქტიკულსა და ეფექტიან დაცვას. ისევე, როგორც ტრეფიკინგის დასჯისკენ მიმართული სისხლის სამართლის ნორმები, აგრეთვე მოითხოვს კონტროლის ღონისძიებების გატარებას იმ ბიზნეს საქმიანობებთან დაკავშირებით, რაც ხშირად გამოიყენება ტრეფიკინგის შესანიღბად და მოითხოვს იმგვარ საიმპერაციო წესებს, რომლებსაც შეუძლიათ პასუხის გაცემა ტრეფიკინგის დამცემის, ხელშეწყობის ან წახალისების პრობლემებზე. „ოსმანის კრიტერიუმების“ გამოყენებით, სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ კონკრეტული ქმედითი ღონისძიებების გატარება იყო საჭირო, როდესაც ხელისუფლების ორგანოებმა „იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ იმ გარემოებების შესახებ, რაც იწვევდა სარწმუნო ეჭვს, რომ კონკრეტული ინდივიდი იყო ან ჯერ კიდევ იმყოფებოდა რეალური და მყისიერი საფრთხის ქვეშ, რომ იქნებოდა ვაჭრობის საგანი და მოახდენდნენ მის ექსპლოატირებას პალერმოს ოქმის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის გაგებით“. როდესაც ასეთი გარემოებები არსებობს, ხელისუფლების ორგანოებს მოეთხოვებათ, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ სათანადო ზომები, რათა დაიხსნან ინდივიდი შესაბამისი სიტუაციიდან ან საფრთხიდან.

ტრანსსასაზღვრო ტრეფიკინგის საქმეებში სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ეფექტიანად ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფოებთან. მართალია, კვიპროსის ფართო საკანონმდებლო ჩარჩო მისაღებად ჩაითვალა, დადგინდა, რომ მე-4 მუხლი დაირღვა საიმიგრაციო სისტემის არაადეკვატურობის გამო, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა პრაქტიკულსა და ეფექტიან დაცვას ტრეფიკინგისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ. საქმის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით სასამართლომ დაასკვნა, რომ პოლიციის ორგანოებისთვის საკმარისი ინდიკატორები არსებობდა კვიპროსში ტრეფიკინგთან დაკავშირებული ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით, რათა ისინი ინფორმირებული ყოფილიყვნენ იმ გარემოებების შესახებ, რაც იწვევდა საფუძვლიან ეჭვს, რომ ქალბატონი რანცევა იყო ტრეფიკინგის ან ექსპლოატაციის მსხვერპლი ან იმყოფებოდა ამის რეალური და მყისიერი საფრთხის წინაშე. შესაბამისად, პოზიტიური ვალდებულება არსებობდა აუცილებელი ოპერატიული ზომების მიღებისა, რათა დაეცვათ ქალბატონი რანცევა. დადგინდა, რომ რუსეთიც პასუხისმგებელი იყო მე-4 მუხლის დარღვევისთვის, რადგან არ ასრულებდა გამოძიების მოვალეობას ქალბატონი რანცევასა და ტრეფიკინგის სხვა მსხვერპლების რუსეთიდან გაყვანასთან დაკავშირებით.¹⁰⁹

საკმაოდ ბევრი ადამიანი, იქნება ეს სრულწლოვანი თუ ბავშვი, ხდება ყიდვა-გაყიდვის ობიექტი საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებსა და მადაროებზე. სასამართლომ ცოტა ხნის წინ დაასკვნა, რომ ოჯახში მონობა გვხვდება მთელ ევროპაში და ეხება ათასობით ადამიანს, რომელთა უმრავლესობაც ქალია. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე სილიადინი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Siliadin v. France*); განმცხადებელი საქმეში არის ტოგოს მოქალაქე, რომელსაც აიძუ-

¹⁰⁹ ლიჩი ფ, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, თბილისი, 2013, 282.

ლებდნენ, შინამოსამსახურედ ემუშავა მრავალი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც საფრანგეთში ჩამოვიდა 15 წლის ასაკში. შესაბამისად, დადგინდა, რომ მას ასრულებინებდნენ იძულებით სამუშაოს და ჰყავდათ ყმობაში – სასამართლომ ჩათვალა, რომ მე-4 მუხლი დაირღვა, რადგან რელიევანტური შიდა სამართლის მოქმედების სფერო არ იყო საკმარისად ფართო, რომ განმცხადებლის სიტუაცია მოეცვა და ვერ უზრუნველყო განმცხადებელი პრაქტიკული და ეფექტიანი დაცვით. მე-4 მუხლი კრძალავს მონობასა და ყმობას აბსოლუტურად და კრძალავს იძულებით ან სავალდებულო სამუშაოს მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი გამონაკლისების გამოკლებით. ადამიანებით ტრეფიკინგი აგრეთვე ხვდება მე-4 მუხლის მოქმედების სფეროში. მე-15 მუხლის თანახმად, არ შეიძლება გადახვევა მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან. საქმეში სილიადინი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Siliadin v. France*) სასამართლომ დაასკვნა, რომ ეს დებულება აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს, როგორცაა, მაგალითად, სისხლის სამართლის ნორმების მიღება, (რომელიც დასჯის მე-4 მუხლში ხსენებულ ქმედებებს) და ამ ნორმების პრაქტიკაში აღსრულება.¹¹⁰

დასკვნა

როგორც ევროპის საბჭოს კონვენცია განმარტავს ადამიანებით ვაჭრობა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას, ადამიანის ღირსებისა და პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. ეს არის პრობლემა, რომელსაც გლობალური სახე აქვს და არ არის გავრცელებული ერთ კონკრეტულ რეგიონში, საქმე გვაქვს ხალხთა ტრანსფერთან სხვადასხვა რეგიონების მიმართულებით, ძირითადად ღარიბი დასახლებებიდან შედარებით უფრო მდიდარი რეგიონებისაკენ. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანასა და მიმდებარე გეოგრაფიულ ზონებში ადამიანის

¹¹⁰ იქვე, 280.

ტრეფიკინგი და მონობის თანამედროვე ფორმები სულ უფრო მნიშვნელოვანი და სოციალურად ხილვადი ხდება. დანიშნულების ქვეყნებში არსებული მიმზიდველი პირობები ჩაბმის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს და ამასთანავე მოთხოვნაც საკმაოდ მაღალია არაფორმალურ შრომით საქმიანობაზე, რომელსაც დაუცველი პირები ეწევიან.

გაეროს შეფასებით, მსოფლიოში ყოველწლიურად 4 მილიონამდე ადამიანი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი, რაც იძულებით შრომით საქმიანობაში ჩაბმული მონის 6,7%-მდე აღწევს. აშშ-ს მთავრობის მიერ 2004 წელს გაკეთებული შეფასებით, მსოფლიოში ყოველწლიურად ხორციელდება 600,000-დან 800,000-მდე ადამიანის ტრეფიკინგი ექსპლუატაციის მიზნით; მათ შორის ქალთა რაოდენობა 80%-მდე შეადგენს და მათი უმრავლესობა სექსუალური მომსახურების ბაზარზეა წარმოდგენილი. დარჩენილი 20% - მამაკაცი - დაკავებულია იძულებით შრომით საქმიანობაში, მათ შორის 6%-მდე მამრობითი სქესი არასრულწლოვანია (ე.ი. წელიწადში 36,000-დან 48,000-მდე).¹¹¹ ამ მაჩვენებლების შესაბამისად ფაქტია, სახეზე გვაქვს საკმაოდ რთული და მძიმე მდგომარეობა. ზემომოყვანილი რიცხვები მიუთითებს იმაზე, რომ უამრავ ადამიანს ფაქტობრივად მომავალი უნადგურდება, მითუმეტეს, როდესაც არასრულწლოვნებს ეხებათ საქმე, მაგრამ ტრეფიკინგის ნებისმიერი მსხვერპლის შემთხვევაში საქმე გვაქვს მათ როგორც მორალურ, ასავე ფსიქოლოგიურ ზიანთან, რაც მათ ცხოვრებას დაღს ასვამს. ეს არის დანაშაული, რომელსაც ფესვები მყარად აქვს გადგმული და მასთან ბრძოლა საკმაოდ დიდი სირთულით ხასიათდება. პრობლემა არის როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლში, ასევე სახელმწიფოებში. მსხვერპლის პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მათ უჭირთ თანამშრომლობა შესაბამის ორგანოებთან, ეს ბუნებრივიცაა, რადგან შიშის

¹¹¹ მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, სასწავლო მასალა მოსამართლეთა და პროკურორთათვის ტრეფიკინგის ბრძოლის შესახებ, თბილისი, 2006, 44.

ფაქტორთან გვაქვს საქმე და ეს ადამიანები ყველგან ტრეფიკერებს ხედავენ და შესაბამისად დუმილი ურჩევნიათ იმის გაცხადებას, რაც მათ მიმართ ხორციელდება. ან მეორე გარემოება გვაქვს, რომ არც ეძლევათ იმის შესაძლებლობა, ისაუბრონ თავიანთ მდგომარეობაზე. მეორე მხრივ, რასაკვირველია, სახელმწიფოს როლი უდიდესია. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სამართალდამცავები ზოგჯერ თავად იღებენ სექსუალურ მომსახურებას ტრეფიკინგის მსხვერპლთაგან და დანაშაულის ფაქტს მალავენ. ცხადია, მსგავსი მდგომარეობა აღმოჩენილი და გამოკვლეული უნდა იქნას შესაბამისი უწყებების მიერ და სამართალდამცავი ორგანოების ასეთ თანამშრომლებს შესაბამისი პასუხისგება უნდა მოეთხოვოთ. ადამიანისთვის პოლიცია წარმოადგენს საზოგადოების სამსახურში მდგომ სახელმწიფო ორგანოს, რომელიც კანონის განუხრელი დაცვით უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის თავისუფლებასა და უსაფრთხოებას, შესაბამისად განწყობა, რომელიც ადამიანს პოლიციის მიმართ უყალიბდება, არ უნდა შემობრუნდეს მის საწინააღმდეგოდ. რა თქმა უნდა, ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომლობა პოლიციას, პროკურატურასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ტრეფიკირებული პირი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი თავშესაფრით და დახმარებით, მიუხედავად იმისა, აპირებს თუ არა იგი ჩვენების მიცემას. ასევე დახმარება უნდა აღმოუჩინონ დაუყოვნებლივ, თუ შესაბამის ორგანოებს ეჭვი გაუჩნდებათ იმასთან დაკავშირებით, რომ პირი, სავარაუდოდ, ტრეფიკინგის მსხვერპლია.

საქართველოში დღეს არსებულ მდგომარეობას თუ გადავხედავთ, შეიქმნა დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომელიც ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლ და დაზარალებულ მოსახლეობას სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობს. მათ შორისაა: ცხელი ხაზი, იურიდიული კონსულტაცია, სამედიცინო მომსახურება, თავშესაფრით უზრუნველყოფა. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების

სახელმწიფო ფონდის 2014 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ფონდის მომსახურებით 34-მა ადამიანმა ისარგებლა. ცხელ ხაზზე დაფიქსირდა 121 ზარი, კონსულტაცია გაეწია 19 პირს, ხოლო თავშესაფრით 5-მა პირმა ისარგებლა.

ყურადსაღებია ისიც, რომ საქართველოს შესაბამისმა ორგანოებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ სხვადასხვა სახელმწიფოებთან, რათა დაცული იყოს მოქალაქეების უსაფრთხოება, რათა ისინი არ გახდნენ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლნი. სახელმწიფოს შესაბამისი პოლიტიკა უნდა ჰქონდეს შემუშავებული ტრეფიკინგთან ბრძოლის წინააღმდეგ. ამასთანავე ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით უნდა განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, როგორცაა, მაგალითად, შესაბამისი კამპანიის წარმოება, სამეცნიერო კვლევები და სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივები. მსგავსი კამპანიების მიზანი სწორედ ის უნდა იყოს, რომ მოხდეს საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირება განსახილველი პრობლემის თაობაზე, რადგან მისი მასშტაბებიდან გამომდინარე, საჭიროა პრობლემის წინა პლანზე წამოწევა, მასზე ხშირი და ფართო მასებში საუბარი, რათა დანაშაული მალე და ეფექტიანად იქნას აღმოფხვრილი და ყოველი ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები იქნას დაცული.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისას ზიანის ანაზღაურების
საკითხები

შესავალი

მოცემული ნაშრომი ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების საკითხებს. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს რეგულაციები გააჩნია აღნიშნულ თემასთან მიმართებით, მოცემულობა მაინც ბუნდოვანია და კითხვებს აჩენს. ქალთა მიმართ ძალადობა არის საზოგადოებრივსა და პირად ცხოვრებაში გენდერული ნიშნით ქალების მიმართ ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელი ყველა ქმედება, რომელთაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ან მოჰყვება ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვა ან ეკონომიკური ზიანი, მათ შორის მსგავსი ქმედების მომავალში ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების აღკვეთა.¹¹² ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულბებლყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. ზემოხსენებული ქმედების ჩადენისას, სისხლისა და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდა ადმინისტრაციული

¹¹² საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დახმარების შესახებ, სსმ, 20, 09/06/2006, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422>> [23.08.2018], მუხლი 3¹.

საპროცესო საკოდექსის VII³ თავი¹¹³ და მასთან ერთად, საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ განსაზღვრავენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასა და ზიანის ანაზღაურების საკითხებს, რაც წარმოადგენს ჩვენი განხილვის საგანს. რეალობა ცხადყოფს, რომ მთავარი პრობლემა კვლავ გენდერული როლები და სტერეოტიპებია, რომლებიც, სამწუხაროდ, იმდენად ღრმად არიან ფესვგადმულნი ჩვენს საზოგადოებაში, რომ არა ძალადობა, არამედ ჩაგვრაც კი, უმეტეს შემთხვევაში, ყოფით მოვლენად მიიჩნევა და მისი იგნორირება იმპერატიულ ხასიათს ატარებს. საბოლოოდ, უყურადღებობას სავალალო შედეგამდე მივყავართ, რამაც შესაძლოა ადამიანის სიცოცხლეც იმსხვერპლოს.

ფემიციდი, ზოგადი განმარტებით, არის ქალის განზრახ მკვლელობა, მისი სქესის გამო. 2014 წელი საქართველოში განსაკუთრებული სიმწვავეით გამოირჩეოდა ქალთა მკვლელობების რიცხოვნებიდან გამომდინარე. საქართველოს პროკურატურის სტატისტიკის მიხედვით, 2009-2014 წლებში ჩადენილი განზრახ მკვლელობებიდან ოჯახში ძალადობის შემთხვევა ყველაზე დიდი რაოდენობით დაფიქსირდა 2014 წელს, კერძოდ კი - 94 შემთხვევიდან 19, რაც დაახლოებით 20%-ს შეადგენს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წლის 29 აგვისტოს მონაცემებით, საქართველოში ოჯახში ძალადობის შედეგად 20 ადამიანი მოკლეს. სტატისტიკის მიხედვით, სხვა ტიპის ძალადობის 816 ფაქტი დაფიქსირდა. ამათგან ყველაზე მეტი, 273 თბილისში

¹¹³ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, სსმ, 39(46), 06/08/1999, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>> [23.08.2018].

განხორციელდა.¹¹⁴ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წელს 2285 შემაკავებელი ორდერი გამოიცა.¹¹⁵ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ახალი ეროვნული გამოკვლევის მიხედვით, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა, ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში კვლავ მისაღებ ფენომენად რჩება. კაცების 31%-ს, ხოლო ქალების 22 %-ს მიაჩნია, რომ ცოლის ცემა, გარკვეულ გარემოებებში, გამართლებულია. მეტიც, ქალების მეოთხედი და კაცების თითქმის ნახევარი (42 %) მიიჩნევს, რომ ცოლი ქმარს უნდა დაემორჩილოს მაშინაც კი, როცა მას არ ეთანხმება, თუმცა, როგორც გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა საქართველოში - ერიკა კვაპილოვამ გამოკვლევის პრეზენტაციაზე განაცხადა, 2009 წელთან შედარებით, იმ ქალების რაოდენობა, ვინც მიიჩნევდა, რომ ოჯახში ძალადობა და, საერთოდ, ქალთა მიმართ ძალადობა მათი პირადი საქმეა, 50 %-ით შემცირდა და ეს დადებით ტენდენციაა.¹¹⁶

ნაშრომში განხილული იქნება ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები, მსხვერპლის უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების ზიანის მიდგომის ალბათობა და მისი ანაზღაურების ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციები, ქართული სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით და ჩვენ მიერ რეკომენდაციის სახით შემოთავაზებული პრობლემის გადაჭრის საშუალებები.

¹¹⁴ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლევარობების სტატისტიკა, 29 დეკემბერი 2014, <<https://idfi.ge/ge/statistic-domestic-violence>> [23.08.2018].

¹¹⁵ ტაბულა, <<http://tbl.ge/2i1z>> [23.08.2018].

¹¹⁶ National Study on Violence against Women 2017, Summary Report, <<https://goo.gl/kcvHYX>> [23.08.2018].

1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტით, მსხვერპლი უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს შესაბამის სასამართლო ორგანოს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის მოძალადის მიერ ანაზღაურების მოთხოვნით. სასამართლოში მიმართვა ხორციელდება სარჩელის წარდგენის გზით. მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, რას ნიშნავს კანონში მითითებული „კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულში ივარაუდება კანონის დაცვის ის სამართლებრივი საშუალებები, რასაც დღეს ნორმათა ერთობლიობა გვთავაზობს. ზემოთ განხილული დაცვის სამართლებრივი საშუალებებიდან ჩვენთვის ზიანის ანაზღაურების კუთხით მნიშვნელოვანია სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი ანაზღაურების შესაძლო ვარიაციები. სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით ასანაზღაურებლად.¹¹⁷ ზოგადად, შესაძლოა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშვას როგორც მოძალადის, ისე შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რაც განსაზღვრავს დავის სამართლებრივ ხასიათს, იქნება იგი სამოქალაქო, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი. მატერიალური ზიანი შეიძლება მოთხოვნილ იქნას ჯანმრთელობის დაზიანების სამკურნალოდ, ძალადობრივი ქმედების ჩადენის პროცესში განადგურებული ნივთის საფასურის

¹¹⁷ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 9, პუნქტი 3.

ასანაზღაურებლად. განსხვავებულია მორალური ზიანის ნაწილი, რის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილის შემსუბუქება. მოძალადის მიერ განხორციელებული ძალადობიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას შეიძლება გამოვიყენოთ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, როგორც ზოგადი დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი. აგრეთვე, სსკ-ს 408 მუხლი. დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნას მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მორალური ზიანის კომპენსაცია ხდება ფულადი სახით. არც სამოქალაქო კოდექსი, არც სხვა კანონები არ ითვალისწინებს მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის ზუსტ წესს. საერთო პრაქტიკის გათვალისწინებით სასამართლო, პირველ რიგში, მხედველობაში იღებს ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხს. ბრალი სამოქალაქო სამართალში არის პასუხისმგებლობის პირობა და არა ზომა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში დაშვებულია გამონაკლისი, ამიტომ, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ზიანის მიმყენებლის დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეულის ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, მოძალადის მხრიდან არაქონებრივი და ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პირს წარმოეშევა სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებიდან.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელია ძალადობის ფაქტის შემდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ადმინისტრაციული ორგანოსგან, რაც, დღესდღეობით, საქართველოში პრაქტიკის სახით უკვე არსებობს. იმისთვის, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად ჩაითვალოს და შესაბამისად, სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ განიხილოს, აუცილებელია, მოპასუხე იყოს ადმინისტრაციული ორგანო. სახსენებელია ისიც, რომ მოძალადის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ავტომატურად არ ნიშნავს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ აღნიშნული უფლების არარსებობას. შესაძლოა, პირს ჰქონდეს როგორც მოძალადის, ისე ადმინისტრაციული ორგანოსგან მოთხოვნის უფლება და როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში, მოსამართლე სოლიდარულად დააკისრებს მხარეებს მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურებას. თუ სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობისათვის შესაბამისი საფუძვლები, რაც შეიძლება იყოს თუნდაც დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოუცემლობა, წარმოიშევა ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რაც გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლიდან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა

შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტიდან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლებიდან, პოლიციის შესახებ და ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონიდან.

განსაკუთრებით რთულია ის შემთხვევები, როდესაც ოჯახში ძალადობის ან ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტიდან გამომდინარე, ფატალური შედეგის დადგომისას, კონკრეტულად კი მსხვერპლის გარდაცვალებისას, მემკვიდრე პასუხისმგებლობას აკისრებს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც შეიძლება იყოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ან/და საქართველოს შსს სხვადასხვა პოლიციის დეპარტამენტები, მისთვის კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. რიგ შემთხვევებში, როცა სახეზე გვაქვს შედეგი - მსხვერპლის გარდაცვალება, რის გამოც შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ წარმოიშვება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიხედვით, რომლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულია როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური ხასიათის კონსტიტუციური გარანტიები. აღნიშნული ნორმა ყველას ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს და მიიღოს ზარალის ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. გარდა ამისა, ყველასთვის არის უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის საშუალება - სასამართლოსათვის მიმართვა. ნათლად არის დადგენილი ანაზღაურების მასშტაბებიც - ზარალი სრულად უნდა ანაზღაურდეს. ამ სახით ჩამოყალიბებული კონსტიტუციური ნორმა კანონმდებელს უტოვებს თავისუფალი მოქმედების ვიწრო არეალს, რაც, უპირატესად, კონსტიტუციური მოთხოვნების

დაცვით პროცედურული საკითხების მოწესრიგებას მოიცავს.¹¹⁸ შესაბამისად, მსხვერპლის ოჯახის წევრებს, მემკვიდრეებს, აქვთ უფლება, მიმართონ სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით. სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით - „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“.¹¹⁹ აღნიშნული საერთაშორისო დონეზე განამტკიცებს ადამიანის უფლებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ. სასამართლოს მიერ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია სახეზე იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამოწვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის.¹²⁰

¹¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №2/3/423 სამოტივაციო ნაწილი (2) <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1110211>> [23.08.2018].

¹¹⁹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 16.11.1999, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370>> [21.08.2018], მუხლი 5, პუნქტი 5.

¹²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, მეორე კოლეგიის 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება №2/3/630 საქმეზე საქართველოს

განვიხილოთ თითოეული მათგანი და დავიწყოთ თავიდან. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით.¹²¹ პირველი წინაპირობის დასადასტურებლად, უნდა განისაზღვროს ნახსენებ უფლებამოსილ ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებისას სხვა პირისთვის ზიანის მიყენების ფაქტი. როგორც წესი, აღნიშნული უპრობლემოა, რომ არ იყოს სახეზე ზიანი, არ იქნებოდა სამართლებრივი დავა, თუმცა მნიშვნელოვანია ზიანის მიყენებისას პასუხისმგებელი პირის დადგენა. როგორც წესი, პოლიციას აქვს ვალდებულება, გამოძახების შემთხვევაში, მოახდინოს რეაგირება და გონივრული ეჭვის საფუძველზე გამოსცეს შემკავებელი ორდერი. პოლიციის ოფიცრის მიერ შემთხვევის უგულისყურო დამოკიდებულება და ორდერის გაუცემლობა, არის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 3 ნაწილის დარღვევა. პოლიციელი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო სამსახურში მყოფ ადამიანს, რომელიც უმოქმედობის გამო, ადამიანს მიადგა ზიანი, მაგალითად, მოძალადე ქმარმა მოკლა მსხვერპლი. შესაბამისად, სახეზეა პირველი წინაპირობა. იმისთვის, რომ ხსენებული ქმედების უკანონობა, ანუ პოლიციელის უმოქმედობა ჩაითვალოს უკანონოდ, საჭიროა სასამართლოს არსებითი მსჯელობა და დადასტურება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის

მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II სამოტივაციო ნაწილი(3), ვებგვერდი, 17/08/2015, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2951701%20630>> [20.08.2018].

¹²¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, სსმ, 32(39), 15/07/1999, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>> [23.08.2018].

ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით კი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. უკანასკნელ მუხლთან მიმართებით, ხაზგასასმელია უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის განმარტება, რომლის თანახმად:

„ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.“¹²²

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს სამსახურებრივ

¹²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე (11), ზიანის ანაზღაურება, 2017, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-administr-krebuli11.pdf>> [23.08.2018], გვ.14

მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ხსენებული კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. შესაბამისად, როცა სახეზეა სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირის მიერ უკანონო ქმედება, რამაც მესამე პირს მიაყენა ზიანი, სახელმწიფო ვალდებულია, აანაზღაუროს იგი.

2. სასამართლო პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-13 მუხლით გარანტირებულია ადამიანის უფლება, ისარგებლოს დაცვის ეფექტიანი საშუალებით. კერძოდ, ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისგან, რაც გამოიხატება დამნაშავეს სისხლის სამართლებრივ დევნაში, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებაში. მოცემული მუხლის გამოძახილია ფემიციდის მორიგი მსხვერპლის მარიამ წივწივამის საქმე.

მარიამ წივწივამე არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მოქალაქე ლაშა მაღრაძესთან. თანაცხოვრების პერიოდში მარიამი ხშირად გამხდარა მეუღლის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი. სწორედ ამან მიაღებინა ცალკე ცხოვრების გადაწყვეტილება. მიუხედავად ამ ნაბიჯისა, ლაშა კვლავ განაგრძობდა ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას, მეტიც, ქალის

მობილურზე ხშირად მოდიოდა მუქარის შემცველი მესიჯები, კერძოდ, ყოფილი მეუღლე მას მკვლელობით ემუქრებოდა.

პოლიციისადმი ყოველი მიმართვა უშედეგო იყო, სამართალდამცველები აპელირებდნენ იმ გარემოებაზე, რომ ვინაიდან მოძალადე რუსთავში ცხოვრობდა, მის მიმართ შემაკავებელი ორდენი სწორედ რუსთავში უნდა გამოწერილიყო, ანდა ლაშა მალრადის დაკავება მოხდებოდა მხოლოდ ფაქტზე წასწრების შემთხვევაში. შედეგმაც არ დააყოვნა - 2014 წლის 17 ოქტომბერს მარიამ წიფწივაძე ცეცხლსასროლი იარაღით ყოფილმა მეუღლემ მოკლა. მარიამ წიფწივაძის დედამ მოითხოვა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება და სასამართლოში შეიტანა სარჩელი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ. გადაწყვეტილების გამოტანისას პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა: საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, მე-15 მულით, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით, 413-ე მუხლით, მე-18 მუხლის მე-6 ნაწილით, რომლის თანახმად ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის XIV თავის დებულებებით, 207-ე, 208-ე მუხლის პირველი ნაწილით, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას მსხვერპლის ოჯახისთვის ზიანის ანაზღაურების დროს, ამავე კანონის მე-16 მუხლით, რომელიც განსაზღვრავს პოლიციის უფლებამოსილების ფარგლებს, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით, რომელიც განატმტკიცებს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას, მე-2 მუხლის

პირველი პუნქტის პირველი წინადადებით, რომელშიც საუბარია ადამიანის სიცოცხლის უფლების კანონით დაცვაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მე-2 მუხლის პირველი წინადადება სახელმწიფოს აკისრებს განზრახ და უკანონო სიცოცხლის მოსპობისაგან არა მარტო თავის შეკავების, არამედ სათანადო ნაბიჯების გადადგმის ვალდებულებასაც, რათა უზრუნველყოს მის იურისდიქციაში მყოფ პირთა სიცოცხლის დაცვა¹²³. შესაბამისად, მე-2 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს როგორც ნეგატიურ ვალდებულებას - არ ხელყოს ადამიანის სიცოცხლე, ასევე, პოზიტიურ ვალდებულებას - იზრუნოს სიცოცხლისათვის საფრთხის ასაცილებლად და დაიცვას იგი მესამე პირთა მიერ ხელყოფისაგან. პოზიტიური ვალდებულების არსი არ უნდა იყოს განმარტებული იმგვარად, რომ სახელმწიფოს შეუძლებელი ან არაპროპორციული ტვირთი დაეკისროს.¹²⁴ სიცოცხლისადმი გაცხადებული ყოველი სავარაუდო საფრთხე, შესაბამისად, ვერ დააკისრებს ხელისუფლებას კონვენციისეულ ვალდებულებას, მიიღოს დაუყოვნებელი ზომები საფრთხის მატერიალიზაციისაგან დასაცავად.

სასამართლომ განმარტა, როდესაც არსებობს პრეტენზია, რომ ხელისუფლებამ დაარღვია პოზიტიური ვალდებულება, სასამართლო ვალდებულია, განსაზღვროს, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა კონკრეტულ დროს ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მესამე მხარის სისხლსამართლებრივი ქმედებებით შექმნილი რეალური და დაუყოვნებელი საფრთხის არსებობა და თუ რამდენად არ გამოიყენა მისი უფლებამოსილების ფარგლებში

¹²³ CASE OF L.C.B. v. THE UNITED KINGDOM (14/1997/798/1001) JUDGMENT STRASBOURG <https://www.legal-tools.org/doc/8f2c19/pdf/>

¹²⁴ CASE OF OPUZ v. TURKEY (Application no. 33401/02) JUDGMENT STRASBOURG 9 June 2009
<<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22dmdocnumber%22:%5B%222851046%22%2C%22itimid%22:%5B%222001-92945%22%5D%7D>> [23.08.2018]

არსებული ზომები, რომლიც გონივრულად განხილვისას შესაძლებელია, გამოყენებული ყოფილიყო საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მარკა წიფწივამემ მრავალჯერ მიმართა შესაბამის ორგანოებს, თუმცა მოპასუხეთა მხრიდან არ მომხდარა არსებული საფრთხის სათანადო შეფასება და კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ადეკვატური რეაგირება. სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობითა და უმოქმედობით მოსარჩელისთვის მიყენებულ იქნა მორალური ზიანი, რომელიც ექვემდებარება ანაზღაურებას. მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მსჯელობის შედეგად დაადგინა, რომ მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა მორალური ზიანი 10 000 ლარის ოდენობით.¹²⁵

¹²⁵ CASE OF TKHELIDZE v. GEORGIA (33056/17), STATEMENT OF FACTS, <<http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-175519>> [23.08.2018].

2014 წლის 25 ივლისს საქართველო ფემიციდის მორიგმა შემთხვევამ შეძრა. სერგი საცერაძემ საკუთარი მეუღლე სალომე ჯორბენაძე მოკლა, რომელთანაც 2011 წლიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა.¹²⁶

თანაცხოვრების დასაწყისიდან სერგი მუდმივად ძალადობდა ქალზე, რის გამოც სალომე იძულებული გახდა, მშობლების სახლში დაბრუნებულიყო, თუმცა როგორც პრაქტიკა გვაჩვენებს, მსგავსი ნაბიჯის გადადგმა, ერთი მხრივ, დადებით შედეგს იწვევს, მეორე მხრივ, არსებულ მდგომარეობას რადიკალურად არ ცვლის. არც სალომეს შემთხვევა ყოფილა გამონაკლისი. ერთ-ერთი ასეთი ფაქტის შემდეგ მსხვეპლი იძულებული გახდა, გამოეძახა პოლიცია, თუმცა მათი მხრიდან არ მოხდა გულმოდგინედ გამოკვლევა გარემოებების, არ გამოწერეს შემაკავებელი ორდერი და სერგი საცერაძისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით არ გაატარეს მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებული ღონისძიებები. მოცემულმა გულგრილობამ ფატალურ შედეგამდე მიგვიყვანა. დავა მსხვერპლის დედამ დაიწყო მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ. სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებების სამართლებრივი შეფასებასთან ერთად იხელმძღვანელა სხვადასხვა ნორმატიული აქტებით: საქართველოს კონსტიტუციის მე-14, 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლებით, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 408-ე, 409-ე, 413-ე, 992-ე, 1005-ე მუხლებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით,

¹²⁶ European Human Rights Advocacy Centre (EHRAC), <http://ehrac.org.uk/wp-content/uploads/2017/10/Femicide-in-Georgia_GEO.pdf> [23.08.2018].

რომელიც განამტკიცებს იმპერატიულ წესს, რომლის თანახმად არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, აგრეთვე მე-8 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, მე-13 მუხლით, რომლის თანახმად გარანტირებულია ადამიანის უფლება, ისარგებლოს დაცვის ეფექტიანი საშუალებით. მითითებული კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, აგრეთვე სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კანონით „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობა, რასის, კანის ფერის, ენის სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. მითითებული კანონის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია, სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს, რაც კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხე მხარის მიერ უგულებელყოფილი იქნა.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით ცალსახად არის განსაზღვრული პოლიციის

მოვალეობები, კერძოდ; პოლიცია ვალდებულია, ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. მოცემულ მუხლში არსებობს პოლიციელის უფლებათა და მოვალეობათა ჩამონათვალი, რომელიც მან უნდა გამოიყენოს ოჯახური ძალადობის დროს, კერძოდ: განცალკევებულად გამოკითხოს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი, მოწმე, მოძალადე, მათ შორის, არასრულწლოვანი, რაც წერილობით უნდა დაფიქსირდეს; ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ; მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში; მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი ან/და არასრულწლოვნის გადაყვანა თავშესაფარში; უზრუნველყოს იმ პირის უსაფრთხოება, რომელმაც განაცხადა ძალადობის ფაქტის შესახებ; ამ კანონით დადგენილი წესითა და პირობებით გასცეს შემაკავებელი ორდერი. როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, მათ დაარღვიეს ჩამოთვლილი მოვალეობები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სალომე ჯორბენაძის დედის სარჩელი დასაბუთებული და საფუძვლიანია, შესაბამისად მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 20 000 ლარის გადახდა.

საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაშიც ხშირად შევხვდებით მსგავსი ხასიათის საქმეებს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Kontrova v. Slovakia* დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სათანადო ზომების მიღება აპლიკანტის შვილების

სიცოცხლის დასაცავად.¹²⁷ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა დადგინდა საქმეში *Civek v. Turkey*, ვინაიდან თურქეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მის ხელთ არსებული გონივრული ზომების მიღება და განხორციელება, რათა თავიდან აერიდებინა ქმრის მიერ აპლიკანტების დედის მკვლელობა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო მომჩივანთა დედის სიცოცხლის მიმართ განხორციელებული აშკარა და სერიოზული მუქარის შესახებ, აღნიშნულის თაობაზე წარდგენილი იყო არაერთი საჩივარი.¹²⁸ საქმეში *Halime Kilik v. Turkey* სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა, ვინაიდან სახელმწიფომ სათანადოდ ვერ დაიცვა მომჩივანის ქალიშვილი მეუღლის მხრიდან განხორციელებული ძალადობისგან. ამავე საქმეში სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია ის გარემოება, რომ მომჩივანის ქალიშვილი ქმრის ძალადობრივი ქცევის პირისპირ დაცვის გარეშე დარჩა. სასამართლომ განმარტა, რომ განმეორებით ძალადობრივ ქმედებებსა და მსხვერპლის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ მუქარაზე თვალის დახუჭვით, ეროვნულმა ხელისუფლებამ შექმნა გარემო, რომელიც ხელს უწყობს ოჯახში ძალადობას.¹²⁹

ზემოთ აღნიშნულ საქმეებში სახელმწიფომ ვერ შეძლო სათანადო ზომების გამოყენება, აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მხარისთვის დადგინდა მორალური ზიანისთვის კომპენსაცია.

¹²⁷ CASE OF KONTROVÁ v. SLOVAKIA (Application no. 7510/04), JUDGMENT STRASBOURG, 31 May 2007

<https://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/resources/Kontra%20v.%20Slovakia_en.asp> [23.08.2018].

¹²⁸ CASE OF ÇAKICI v. TURKEY (Application no. 23657/94) JUDGMENT STRASBOURG 8 July 1999, <<https://www.legal-tools.org/doc/ef9472/pdf/>> [23.08.2018].

¹²⁹ The european court of human rights, application No.54476/14 *Pastrama v Ukraine*, 10 November 2016, http://www.errc.org/uploads/upload_en/file/third-party-intervention-pastrama-v-ukraine-18-november-2016.pdf> [23.08.2018]

დასკვნა

ნამდვილი ტრაგედიაა, რომ ძალადობა ოჯახში ერთ-ერთი რთული, გავრცელებული და სპეციფიკური სოციალური პრობლემაა 21-ე საუკუნის საქართველოში, თუმცა მისასაღმებელია სახელმწიფოს მცდელობა, გაითვალისწინოს საერთაშორისო რეგულაციების საკითხი, მოიყვანოს ეროვნული კანონმდებლობა საერთაშორისო აქტებთან და ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში და მოახდინოს ამ სახის ქმედებების პრევენცია.

ფემიციდი ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე საშიში ფორმაა, რომელსაც ევროპაში ყოველწლიურად 3500 ადამიანის სიკვდილს უკავშირდება.¹³⁰ მოცემული სტატისტიკა არ იძლევა დამაიმედებელ პროგნოზებს, ნათლად ჩანს, რომ საჭიროა ზემოთ აღნიშნული აქტების სრულყოფა და რეალობაზე მორგება, ინფორმაციული ვაკუუმიდან თავის დაღწევა და კონკრეტული ღონისძიებების გატარება, რათა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა იკლოს.

ნათელია, რომ სწორედ მოქალაქეთა ძალადობისგან დამცავი მექანიზმები საჭიროებენ სრულყოფას და რეფორმირებას, რადგან შემდგომში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და მისი რეალიზაცია კანონმდებლობასა და პრაქტიკაში უპრობლემოა. მიგვაჩნია, რომ უნდა გაიზარდოს სამართალდამცავის უფლებამოსილება, აგრეთვე გამკაცრდეს ვალდებულებები, უნდა გადაიხედოს დამცავი და შემაკავებელი ორდერების პრაქტიკაში ეფექტურობის საკითხი, რადგან ხშირ შემთხვევაში მათი გამოწერაც კი არ იწვევს დამნაშავეს შეყოვნებას.

¹³⁰ ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება, კავშირი „საფარი“, 2016, <<https://sapari.ge/archives/1278>> [23.08.2018].

ქმედებათა სიხშირემ მიგვიყვანა იმ გარემოებამდე, რომ როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო ნორმატიულ აქტებში განსაზღვრულია მსხვერპლისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი. როგორც მოყვანილი პრაქტიკიდან ჩანს, ეს სფერო შედარებით დარეგულირებულია და მოსარჩელეს უმეტეს შემთხვევაში მთლიანად ან ნაწილობრივ უკმაყოფილდება მოთხოვნა და მოპასუხე მხარე, რომელსაც კონკრეტული სახელმწიფო ორგანოები წარმოადგენენ, იძულებულია, მოახდინოს მოცემული ზიანის კომპენსირება, რადგან ფატალური შედეგი სწორედ მათმა უმოქმედობამ ან არაეფექტურმა მოქმედებამ გამოიწვია. ფიზიკური პირისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზება კი სამოქალაქო-სამართლებრივ პროცედურებს უკავშირდება და აღნიშნულის რეგულაციასაც გვთავაზობს კანონი.

ნათლად ჩანს, რომ ორდერის გამოწერის შემთხვევაშიც კი ზოგჯერ ძალადობის ობიექტის ოჯახი დაცული არ იქნება. შესაბამისად, აუცილებელია ისეთი მექანიზმის შემოღება, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული წევრის უსაფრთხოებასა და სიცოცხლის დაცვას უკიდურეს შემთხვევებში.

ჩვენი განხილვის ფარგლებში მიგვაჩნია, რომ ამ საკითხის ირგვლივ ყველაზე დიდი პრობლემა მოსახლეობის დაცვის სუსტი გარანტიების არსებობაა და არა ზიანის მოთხოვნის პრაქტიკული სიძნელე, სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია შეიქმნას ისეთი მკაცრი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა დაცვას ნებისმიერი სახის ძალადობისგან და არ იქნება ზიანის მოთხოვნა აუცილებელი. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს პოლიციის კანონში ცვლილებების შეტანით, ახალი ორგანოს ჩამოყალიბებით, რომელიც უშუალოდ მსგავსს პრობლემებზე იმუშავებს. ასეთ ორგანოს აუცილებლად უნდა ჰყავდეს უნარიანი პერსონალი, ჰქონდეს ადეკვატური რესურსები და დაფინანსება,

შეეძლოს მსხვერპლთა ძალებით აღჭურვა, იყოს გრძელვადიანი მოქმედების და მოსახლეობას მის ფუნქციონირებაზე ჰქონდეს ინფორმაცია.

აგრეთვე, საჭიროა სასწავლო პროგრამების პირობებში ამ თემის წინ წამოწევა და რაც მთავარია, საპატრულო პოლიციის განსაკუთრებულად სერიოზული დამოკიდებულებით. უპირველესი გზა საქართველოსთვის ცნობიერების ამაღლება იქნება, რასაც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიების წარმართვა შეუწყობს ხელს.

უმნიშვნელოვანესია ინფორმაციის მიწოდება მსხვერპლთათვის, რათა მათ იცოდნენ, ვის შეიძლება მიმართონ დახმარებისათვის და რა ტიპის დახმარებაა ხელმისაწვდომი. ოჯახში ძალადობის ჩამდენთა და სქესობრივ ნიადაგზე დამნაშავეთა მკურნალობის პროგრამების შექმნა და მხარდაჭერა, რომელიც ასწავლის მათ არამალადობრივ ქცევას, არამედ საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობის აღებას, გადაასინჯინებს ქალთა მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას, აგრეთვე მომავალში მათ კვლავ საზოგადოებაში ინტეგრირებას შეუწყობს ხელს.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მდგომარეობა მოსახლეობის დაცვის კუთხით საჭიროებს სრულყოფას, რაც უნდა იქნას მიღწეული საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის, მათი შეცდომების შესწავლისა და გამოსწორების, ვალდებულებების შესრულებისა და კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინების გზით.

**მცდელობის საკითხი არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ
დანაშაულში**

შესავალი

იურიდიულ ლიტერატურაში სისხლის სამართლის მიმართულებით ძალზედ პრობლემურია მცდელობის საკითხი არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში. თემის აქტუალობა განაპირობა ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღებამ, რომლის მიხედვით დანაშაულის მოძღვრება აიგო დანაშაულის ცნების სამნიშნოვან სტრუქტურაზე და სისხლისსამართლებრივ მეცნიერებაში დამკვიდრდა ნორმატიული თეორია, რაც ნიშნავს განზრახვის თეორიიდან ბრალის თეორიაზე გადასვლას. გამოვიკვლიეთ რა თემის ძირითადი არსი, არგუმენტირებულად უარყავით იმ ოპონენტთა მოსაზრებები, რომლებიც მცდელობას არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში დასაშვებად მიიჩნევენ. შესაბამისად, ნაშრომის მიზანია იმ სადავო პრობლემის განხილვა, რომელიც დანაშაულის მცდელობის დასჯადობასთანაა დაკავშირებული და რომელსაც არა ერთი დისერტაცია თუ სტატია მიემდგვნა, თუმცა ერთიანი მიდგომა მაინც არ არსებობს.

ნაშრომი აგებულია იმ პოზიციაზე დაყრდნობით, რომ დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია ჩადენილი იყოს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, როდესაც პირი უშუალოდ შეუდგა თავისი განზრახვის განხორციელებას, თუმცა მოქმედება ვერ დაასრულა. ასევე პოზიცია განმტკიცებულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვით, როგორცაა: მცდელობის საკანონმდებლო განმარტების ანალიზი და მისი თავსებადობის

საკითხი არაპირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო ცნებასთან; საფრთხის შემქმნელი დელიქტების ანალიზი.

1. არაპირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო განმარტება

დაუმთავრებელი დანაშაულის საკითხის კვლევისას აუცილებელია მცდელობის ანალიზი ქართული კანონმდებლობის საფუძველზე. მცდელობა მდგომარეობს ისეთი მოქმედების ჩადენაში, რომელიც ქმნის დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ზიანის განხორციელების უშუალო საფრთხეს. განსახილველი თემის აქტუალობა ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობაში მდგომარეობს.

ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის შესახებ. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში აზრი გაყოფილი იყო სამ ნაწილად. მეცნიერთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ დანაშაულის მცდელობა შესაძლებელი იყო პირდაპირი განზრახვით, მეცნიერთა მეორე ნაწილი კი თვლიდა, რომ მცდელობა შესაძლებელი იყო არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულშიც.¹³¹ მესამე ნაწილი თეორიულად შესაძლებლად მიიჩნევდა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობას, მაგრამ მისი დასჯადობა პრაქტიკული თვალსაზრისით გაუმართლებლად მიაჩნდა.¹³²

¹³¹წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი I, თბილისი, 2007, 486.

¹³²Лясс Н. В., Стадии преступной деятельности по советскому уголовному праву, Автореферат диссертации, Ленинград, 1952, 6; იხ. ციტირება: ხარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, წიგნი II, თბილისი, 2014, 147.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა, გავიხსენოთ ევენტუალური ანუ არაპირდაპირი განზრახვის ცნება და მისი განსხვავება პირდაპირი განზრახვისგან, რისთვისაც კოდექსისეული განმარტებაც საკამრისია.

საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის ლიტერატურასა და პრაქტიკაში განზრახვის ბუნება იმგავრად იყო გაგებული, რომ ევენტუალური განზრახვის დროს ლოგიკურად შეუძლებლად იყო მიჩნეული მცდელობაზე საუბარი. როგორც დურმანოვი ამბობდა, არავითარი საფუძველი არ გვაქვს მრავალი შესაძლებელი შედეგისგან, რომელთა განხორციელებასაც უშვებს ევენტუალური განზრახვით მოქმედი სუბიექტი, ამოვარჩიოთ ყველაზე მძიმე და ბრალად ჩავუთვალოთ ბრალდებულს სწორედ ამ შედეგის მიღწევის მცდელობა.¹³³ მითუმეტეს მაშინ, როცა სუბიექტი ითვალისწინებს საზოგადოებრივად საშიში შედეგის მხოლოდ შესაძლებლობას, თანაც ეს შედეგი მისთვის არასასურველია.

შეხედულება, რომელიც უარყოფს ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას, შენარჩუნებულია ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაში. სსკ-ის მე-19 მუხლის მიხედვით დანაშაულის მცდელობა განზრახი ქმედებაა, რომელიც უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ამ განმარტებაში სიტყვები „უშუალოდ“ და „მიმართული“ მიუთითებს პირდაპირ განზრახვაზე, რითაც მცდელობის დროს ევენტუალური განზრახვა თავისთავად გამოირიცხება.¹³⁴

¹³³ Н. Д. Дурманов, Понятие преступления, Изд. АН СССР, М., 1948, 124; იხ. ციტირება: წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი I, თბილისი, 2007, 488.

¹³⁴ გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბილისი, 2013, 245.

ამის საწინააღმდეგოდ, არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის მომხრეები ზემოხსენებულ არგუმენტს, კოდექსის იმავე მე-19 მუხლზე მითითებით პასუხობენ და ამბობენ, რომ ვინაიდან ეს მუხლი არ აკეთებს არავითარ შეზღუდვას იმასთან დაკავშირებით, რომ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის ჩადენა არ შეიძლება, ქმედება დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმართული შეიძლება იყოს განზრახვის ორივე ფორმის დროს, რადგან პირს ორივე შემთხვევაში აქვს ქმედებისა და შედეგის ნებელობა. განვიხილოთ მაგალითი: სადაზღვევო თანხის დანაშაულებრივად მიღების მიზნით სახლის მეპატრონემ ცეცხლი წაუკიდა თავის ახალ დაზღვეულ სახლს, სადაც ამ დროისათვის მძიმედ ავადმყოფი მოხუცი იმყოფებოდა. ცეცხლის წამკიდებელი ითვალისწინებს, რომ სახლის განადგურებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოხუცის დაღუპვა, როგორც თანმდევი შედეგი. ხანძრის დროულად ჩაქრობის შემთხვევაში სახლის მეპატრონემ ვენტუალური განზრახვით მკვლელობის მცდელობისათვის უნდა აგოს პასუხი.

საინტერესოა, რამდენად სწორადაა მოყვანილი ზემოხსენებული მაგალითი? ვფიქრობთ, იგი არასათანადოა, გამომდინარე იქედან, რომ სახეზეა არა ევენტუალური, არამედ მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა. რაც გულისხმობს, რომ გამიზნულად არ სურს, მაგრამ გარდაუვლად მიიჩნევს შედეგის დადგომას, როცა შედეგი სხვა მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალებაა. ხსენებულ მაგალითში, რადგან სახეზე გვყავს მძიმედ ავადმყოფი მოხუცი, სახლის მეპატრონეს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს სასიკვდილო შედეგი. უფრო მეტიც, იგი დარწმუნებული უნდა იყოს ამ შედეგის დადგომაში. შესაბამისად, პასუხი უნდა აგოს პირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედებისთვის (მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა). ხანძრის დროულად ჩაქრობის შემთხვევაში კი პირი, ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, ევენტუალური განზრახვით მკვლელობის

მცდელობისთვის კი არა, მეორე ხარისხის პირაპირი განზრახვით მკვლელობის მცდელობისთვის აგებს პასუხს. არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობის მცდელობის მომხრეებს ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავთ ფაქტი და სვამენ კითხვას - რატომ იქნა ამოღებული სპეციალური დათქმა ახალი პროექტის ტექსტიდან, რომელიც მიუთითებდა დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას მხოლოდ პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში. ვინაიდან მცდელობისთვის საკმარისია პირის ნებელობა მოქმედებისა და შედეგისადმი, რომელიც არსებობს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვის დროს.¹³⁵ მიუთითა კი პარლამენტმა ამ ქმედებით არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობაზე? არის შესაძლო, რომ კანონმდებელს დასჯადობის მსგავსი შეზღუდვა არ ჩათვალა მიზანშეწონილად? ვფიქრობთ, არა, რადგანაც ასეთი დათქმის ამოღებით მან უბრალოდ აუცილებლად არ ჩათვალა განესაზღვრა და ჩარჩოში მოექცია ზემოხსენებული საკითხი. თანაც, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კოდექსში ბრალის ცნებაც არ გვაქვს. დავაფიქსირებთ ჩვენს მოსაზრებას, რომ კანონმდებელმა უბრალოდ ზედმეტად ჩათვალა მისი კოდექსისეულ დონეზე განმარტება, შესაბამისად პარლამენტის გადაწყვეტილება ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით საფუძვლიან არგუმენტს არ უნდა წარმოადგენდეს ოპონენტებისთვის.

მცდელობის საკანონმდებლო განმარტებაში მოცემულ ფრაზას - „უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად“ არა სუბიექტური, არამედ ობიექტური სფეროს პრობლემად განიხილავს მეცნიერთა ნაწილი. მათი აზრით, სსკ-ის მე-19 მუხლის შინაარსზე დაკვირვება აჩვენებს, რომ კანონმდებელი ჯერ მცდელობის სუბიექტურ ელემენტს ასახელებს ტერმინით

¹³⁵ ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2013, 139.

„განზრახი“, შემდეგ მცდელობის ობიექტურ ელემენტსაც გამოყოფს ფრაზით - „ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია“. თუ მეორე ელემენტს სუბიექტური მნიშვნელობით გავიგებთ, გამოვა, რომ მცდელობის ცნებაში სუბიექტური ელემენტი ორჯერ მეორდება, რაც ნორმის არასწორი ინტერპრეტაციით აიხსნება. ზემოხსენებულ ფრაზაში ტერმინის - „უშუალოდ“ შემოღების მიზანი დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნაა და არა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის უარყოფა.¹³⁶ ამ მოსაზრების საპასუხოდ, შეიძლება ითქვას, რომ განზრახვას მეცნიერთა ნაწილი მოიაზრებს, როგორც ქმედების სუბიექტურ შემადგენლობად, ნაწილი კი ბრალის ფორმად, შესაბამისად თუ განზრახვას ბრალის ფორმად მივიჩნევთ სუბიექტურ შემადგენლობაში „ცნების ტავტოლოგია“ გამოირიცხება. ასეც რომ არ იყოს და მცდელობის ცნებაში სუბიექტური ელემენტი ორჯერ განმეორდეს, ეს საკითხი, ვფიქრობთ, პრობლემას არ წარმოადგენს.

მაგალითისთვის შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 308-ე მუხლში, რომელიც გულისხმობს საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევას, აღნიშნულია: „საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედება, მიმართული უცხო ქვეყნისათვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ...“ სიტყვა „მიმართული“ სუბიექტური ნიშნითაა გამოყენებული.

ადამიანის საქმიანობა მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს, რაც გულისხმობს, რომ ადამიანი შეიძლება მხოლოდ იმას ცდილობდეს, რაც მისი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს. ასეთი საქმიანობა კი მხოლოდ პირდაპირი განზრახვისთვის არის

¹³⁶ხარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, წიგნი II, თბილისი, 2014, 148.

დამახასიათებელი, ხოლო ევენტუალური განზრახვის დროს შედეგი სრულებით არ შეესაბამება დამნაშავეს მიზანს და იგი, როგორც თანმდევი, ისეა წარმოდგენილი. ამდენად, შეუძლებელია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იმის ცდა, რაც ადამიანის მოქმედების მიზანს არ წამოადგენს. აქედან გამომდინარე, მეცნიერებს გამოაქვთ დასკვნა, რომ სსკ-ის მე-19 მუხლს შეზღუდვითი ახსნა-განმარტება უნდა მიეცეს, რითაც საჭიროა ევენტუალური განზრახვით განხორციელებული ქმედების შემთხვევაში დანაშაულის მცდელობა გამოირიცხოს.¹³⁷

2. საფრთხის შემქმნელი დელიქტები

ევენტუალური განზრახვით მცდელობა რომ შეუძლებელია, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილებზე დაყრდნობითაც შეინიშნება. თავად კანონმდებელმა არამარტო ზოგადი, არამედ კერძო ნაწილის ნორმების მეშვეობითაც უარყო ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა. მაგალითად, სსკ-ის 127-ე და 128-ე მუხლები, რომლებიც საფრთხის შემქმნელი დელიქტების სახელით არის ცნობილი.

128-ე მუხლით პასუხისმგებლობას იწვევს „სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენება, ვისაც შესაძლებლობა არ აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად“. სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება არსებითად მცდელობის სტადიაა, მაგრამ ვინაიდან არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა პასუხისმგებლობას არ იწვევს, კანონმდებელმა ეს ხარვეზი შეავსო საფრთხის შემქმნელი დელიქტით.¹³⁸

¹³⁷დვალიძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, დისერტაცია, თბილისი, 2008, 94.

¹³⁸გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბილისი, 2013, 245.

სასამართლო პრაქტიკისთვის ცნობილია სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენების მაგალითები, როცა დედამ ახალშობილი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში დატოვა და ამით საფრთხეში ჩააგდო მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ევენტუალური განზრახვით მცდელობა შესაძლებელი რომ იყოს, კანონმდებელი დასახელებულ მუხლებს დამოუკიდებელი შემადგენლობის სახით სისხლის სამართლის კერძო ნაწილში არ გაითვალისწინებდა.

127-ე მუხლის კომენტარში განმარტებულია, რომ ამ დანაშაულის ჩადენა პირდაპირი განზრახვით ხდება. პირდაპირი განზრახვა სახეზეა საფრთხის მიმართ და არა მოსალოდნელი შედეგის - სიკვდილის მიმართ. დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ თავისი მოქმედებით სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში აყენებს იმ ადამიანს, ვისაც შესაძლებლობა არ აქვს, თავი დაიცვას. მოსალოდნელი შედეგის, სიკვდილის მიმართ კი სახეზე უნდა იყოს არაპირდაპირი განზრახვა ან თვითიმედოვნება. თუ დამნაშავეს სურს, სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებით მოკლას დაზარალებული, ქმედება კვალიფიცირდება მკვლელობის მცდელობით.¹³⁹ მაგალითად: დედამ ახალშობილი წაიყვანა ქალაქის გარეუბანში არსებულ ნაგავსაყრელ ტერიტორიაზე და იქ დატოვა, ბავშვი შემთხვევით იპოვეს და გადაარჩინეს. ის ფაქტი, რომ დედამ შვილი დატოვა ნაგავსაყრელზე, სადაც არის საშინელი ანტისანიტარია, მრავლად არიან მღრღნელები და მაწანწალა ძაღლები, ასევე არ იმყოფებიან ადამიანები, მიუთითებს, რომ იგი ბავშვის სიკვდილის მიმართ მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით; გაცნობიერებული ჰქონდა სიკვდილის დადგომის გარდაუვალობა (მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა), ამდენად ეს ქმედება

¹³⁹სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გოჩა მამულაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 183.

არასრულწლოვნის მკვლელობის მცდელობით, მე-19, 109-ე მუხლებით დაკვალიფიცირდება.

საინტერესოა, როგორ განიხილება შემთხვევა, როცა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისას დამნაშავე უშვებდა ადამიანის სიკვდილის შესაძლებლობას და შედეგი კიდევ განხორციელდა? განვიხილოთ შემთხვევა, როცა დედამ სადამო ხანს ახალშობილი ჩვილი დატოვა ერთ-ერთი კორპუსის ეზოში იმ დროს, როცა იქ არავინ იმყოფებოდა. ბავშვი მეორე დღეს გარდაცვლილი იპოვეს. დედას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა შვილი. ამასთანავე იგი არავიზე და არაფერზე ამყარებდა იმედს, შესაბამისად, მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მოცემულ ვითარებაში შესაძლო იყო ბავშვი არავის ენახა და მძიმე შედეგი დამდგარიყო, რაც არ სურდა, მაგრამ იმდენად დიდი იყო შვილის თავიდან მოშორების სურვილი, რომ შეგნებულად დაუშვა ასეთი შედეგი. სახეზეა არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი მკვლელობა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა.

არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის მომხრეებს ასევე არგუმენტად მოჰყავთ შემდეგი ფაქტი, რომ სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება გადმოღებულია შვეიცარიული სისხლის სამართლის კოდექსიდან, სადაც აღნიშნულია, რომ პირის სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება უნდა მოხდეს პირდაპირი განზრახვით, მაგრამ შედეგის მიმართ არ უნდა არსებობდეს არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი განზრახვა. პირი უნდა ფიქრობდეს, რომ საშიშროებას შედეგი არ მოჰყვება. თუ პირი უშვებს მსხვერპლის სიკვდილს და შედეგი არ დადგა, ეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ევენტუალური განზრახვით ჩადენილ მკვლელობის მცდელობად, ხოლო თუ შედეგი დადგა, ევენტუალური განზრახვით ჩადენილ მკვლელობად.

ზემოთქმული მოსაზრების საპირისპიროდ, ჩვენი მხრიდან უნდა ითქვას შემდეგი, ის ფაქტი, რომ სსკ-ის 127-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა შვეიცარიული სისხლის სამართლის კოდექსიდან გადმოვიღეთ, გვავალდებულებს კი რომ ნორმის იდენტური ინტერპრეტაცია მოვახდინოთ? რა თქმა უნდა, არა, ვინაიდან მსგავსი შეფასებით ჩვენ მხოლოდ ჩარჩოში მოვაქცევთ და შევზღუდავთ ნორმის იმგვარად გაგებას, რაც ქართულ კანონმდებლობას მეტად შეესაბამება.

გარდა ამისა, ყველა შვეიცარიელი მეცნიერი როდია ამ აზრზე. კარლშტოსი, რომლის ინიციატივითაც იქნა შეტანილი ზემოხსენებული ნორმა შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსში, არ უჭერს მხარს ევენტუალური განზრახვით მკვლელობის მცდელობის შესაძლებლობას. გამომდინარე აქედან, ოპონენტთა მიერ გაჟღერებული არგუმენტი არც ისე მტკიცეა.

3. სასამართლო პრაქტიკა

ევენტუალური განზრახვით მკვლელობის მცდელობის შესაძლებლობამ ფეხი მოიკიდა სასამართლო პრაქტიკაშიც. მაგალითისთვის, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითებს, რომ ევენტუალური განზრახვით ჩადენილი მკვლელობის მცდელობა არ ეწინააღმდეგება ქართულ კანონმდებლობას. სისხლის სამართლის პალატის ეს შეხედულება გამოთქმული იყო 2008 წლის 24 აპრილის განჩინებაში. საქმის ფაბულა მდგომარეობს შემდეგში: ა. მივიდა მეგობარ ბ.-სთან, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა თავისი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, ბ.-სთან ერთად ასევე იმყოფებოდა მისი ბიძაშვილი. საუბრის მომენტში მათ შეუერთდა ავტომანქანით მყოფი ა.-ს მეგობარი გ; ა. დაჯდა ავტომანქანაში და ხმა აუწია მაგნიტოფონს. ბ.-ს სახლიდან დაურეკა და ხმამაღალ

მუსიკასთან დაკავშირებით შენიშვნა მისცა ბაბუამ, რის გამოც მან ხმა ჩაუწია მაგნიტოფონს. აღნიშნულის გამო ა. განაწყენდა, გადმოვიდა ავტომანქანიდან და ამ მცირე საბაბის გამო მან ბ.-ს ორჯერ ზედიზედ გაუსვა დანა კისრის არეში და მიაყენა დაზიანებები. ბ. სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაურჩა.¹⁴⁰ საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა განზრახ მკვლელობის მცდელობა ევენტუალური განზრახვით, რადროსაც მსჯავრდებულ ა.-ს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების მნიშვნელობა, ითვალისწინებდა საკუთარი მოქმედების შესაძლო შედეგს - დაზარალებულის სიკვდილს და გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

განხილულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დადგენილია სასამართლო გამოძიებით, ერთობლივად უნდა მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება. მიგვაჩნია, რომ სახეზეა არა ევენტუალური განზრახვით მკვლელობის მცდელობა, არამედ სსკ-ის 117-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას. მართალია, მსჯავრდებულმა ა.-მ დანის გამოყენებით დაზიანებები მიაყენა დაზარალებულს, მაგრამ მას არ ჰქონდა მოკვლის განზრახვა, ვინაიდან ჭრილობები არ არის მიყენებული დანის დარტყმით, ისინი განვითარებულია დანის გასმის შედეგად. აღნიშნული კი იმაზე მეტყველებს, რომ ა.-ს ამოდრავებდა დაზარალებულისთვის ტკივილის მიყენების და არა მოკვლის სურვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის ხელთ არსებული დანით შეეძლო დაზარალებულისთვის მიყენებინა სასიკვდილო დაზიანებები. ა.-ს, ქმედების ჩადენის მომენტში, განაწყენებისათვის, თავისი ემოციურ-ფსიქოლოგიური

¹⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება N 1798-აპ.

მდგომარეობის გათვალისწინებით, ა.-სთვის სურდა მხოლოდ ტკივილის მიყენება. ამ დროს დაზარალებულს მან სრულიად მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანება, რაც ზუსტად შეესაბამება 117-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციას, სადაც აღნიშნულია, რომ ეს დანაშაული გამოიხატება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში, ესე იგი სხეულის დაზიანებაში, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისთვის.

დასკვნა

ნებისმიერი მეცნიერული კვლევა უნაყოფო იქნება, თუ მას თეორიულთან ერთად პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნია. ჩვენს განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებით უნდა დაისვას კითხვა: აქვს თუ არა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის განხილვას რაიმე პრაქტიკული დანიშნულება სამართალშემოქმედებით და სამართალგამოყენებით საქმიანობაში? სისხლის სამართალში მოტივისა და მიზნის ძრითადი პრაქტიკული დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მოცემული ნიშნები უშუალო ზეგავლენას ახდენენ დანაშაულის კვალიფიკაციაზე. ამასთან მოტივისა და მიზნის ეს როლი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს კანონმდებელი ამ ნიშნებს დანაშაულის ნიშნების დახასიათებისას. აღსანიშნავია, რომ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების მიზანი პირდაპირი განზრახვის აუცილებელი ელემენტია. ევენტუალური განზრახვისთვის კი არ არის დამახასიათებელი შედეგის განხორციელების მიზანი, ვინაიდან დამნაშავეს არ სურს შედეგი, იგი ითვალისწინებს შესაძლო დანაშაულებრივ შედეგს, როგორც თავისი ძირითადი მართლზომიერი თუ არამართლზომიერი მოქმედების გვერდით პროდუქტს, თუმცა, არც ერთი მისი მოქმედება არაა მიმართული სპეციალურად ამ შედეგისაკენ. საკითხის ღრმა ანალიზი საშუალებას გვაძლევს, უპირატესობა მივანიჭოთ იმ პოზიციას, რომელიც დანაშაულის

მცდელობის შესაძლებლობას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით მიიჩნევს დასაშვებად.

დასკვის სახით კი შესაძლოა ითქვას, რომ დანაშაულის მცდელობის კვლევას გააჩნია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობაც, ვინაიდან ევენტუალური განზრახვით მცდელობის დაშვებით სასამართლოს ერთმევა რეალური შესაძლებლობა, იმოქმედოს კანონიერების პრინციპის ფარგლებში. ნაშრომში ჩვენ მიერ განხილული რეალური ქეისიგ არის იმის თვალსაჩინო მაგალითი, რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობის კონცეფცია უზიძგებს სასამართლოებს რეპრესიული პოლიტიკისკენ. ამგვარად მივიღებთ რეალობას, სადაც ხელოვნურად გაიზრდება მკვლელობის მცდელობით ქმედების კვალიფიკაციის შემთხვევები და პირიქით, ხელოვნურად შემცირდება ქმედების ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებით კვალიფიკაციის შემთხვევები, რითაც დაირღვევა სამართლიანობის პრინციპი. სწორედ კონსტიტუციით გარანტირებული ამ პრინციპის დარღვევის თავიდან აცილებამ განაპირობა საკითხის სიღრმისეული კვლევა და ჩვენი მხრიდან ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება.

ვიქტორია ბუცხრიკიძე

მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში

შესავალი

მტკიცებულებას, როგორც გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის საშუალებას, უძველესი დროიდან ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ყველა ისტორიული ტიპის პროცესში (ბრალდებითი, ინკვიზიციური, შერეული და შეჯიბრებითი) სამართალწარმოება სწორედ სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას ეფუძნებოდა.

აღნიშნულ პრობლემებს საკმაოდ დიდი ხანია, რაც თეორეტიკოსი თუ პრაქტიკოსი იურისტები უთმობენ განსაკუთრებულ ყურადღებას, მაგრამ მთელი რიგი საკითხები დღემდე სადავო და საკამათო რჩება. მათ შორისაა მტკიცებულებათა დასაშვებობა.

თემის აქტუალობა განპირობებულია მტკიცებულებათა დასაშვებობის მნიშვნელობით. ტერმინი „დასაშვებობა“ რაიმეს შესაძლებლობას ნიშნავს. ასეთივეა მტკიცებულებათა დასაშვებობის მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში. დღეს მოქმედი, 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ განსხვავებით ძველი კანონმდებლობისაგან ინფორმაციისა და საგნების მტკიცებულებად ცნობას მოსამართლე ახდენს. ასევე სასამართლოშივე წყდება მათი დასაშვებად ან დაუშვებლად ცნობაც.

წარმოდგენილ ნაშრომში საუბარია სწორედ მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემებზე.

1. დასაშვებობის ცნება

მტკიცებულება უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, რომლითაც წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის აღდგენა არის შესაძლებელი. მტკიცებულება არის სწორედ ის ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს ფაქტს ან მოვლენას.

სისხლის სამართლის საქმის “ზედი” მტკიცებულებათა ერთობლიობაზე არის დამოკიდებული. ინფორმაცია, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების სტატუსით სარგებლობს, მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს.

მტკიცება რაიმეს დასაბუთებას ნიშნავს. კონკრეტულ საკითხზე მსჯელობის ლოგიკური განვითარება და ობიექტური შედეგის მიღება სწორედ მტკიცების გზით არის შესაძლებელი, ხოლო მიღებული დასკვნები უტყუარი არგუმენტებით უნდა იყოს გამყარებული. სასამართლოს განაჩენი მხოლოდ მაშინ არის დასაბუთებული, ობიექტური და კანონიერი, თუ ის საქმეში არსებულ უტყუარ და კანონიერ მტკიცებულებათა ერთობლიობას ემყარება.¹⁴¹ პროცესში მტკიცების ასეთი მნიშვნელობა მტკიცებულებითი ინფორმაციისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას განაპირობებს.¹⁴²

იმისთვის, რომ ინფორმაცია მტკიცებულებად იქნეს დაშვებული, ის გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. მაგალითად, მტკიცებულებითი ინფორმაცია საიმედო წყაროდან უნდა იყოს მოპოვებული, სანდოობის მაღალი ხარისხით უნდა ხასიათდებოდეს და არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს, პატივსა და ღირსებას.

¹⁴¹ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 723.

¹⁴² იქვე, 322.

ტერმინი „დასაშვებობა“ ნიშნავს რაიმეს შესაძლებლობას.¹⁴³ ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა ამ ინფორმაციის სამართლებრივ ხასიათზე არის დამოკიდებული. თუ ინფორმაცია კანონიერი გზით არ არის მოპოვებული, ის მტკიცებულებად ვერ იქნება გამოყენებული.

მტკიცებულების დასაშვებობა კანონით დადგენილი უამრავი წესის დაცვას გულისხმობს. სწორედ მკაცრად განსაზღვრულმა წესებმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციისათვის მტკიცებულების ძალის მინიჭება, მისი მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა.¹⁴⁴ დასაშვებობა მტკიცებულების მოპოვებისას კანონით გათვალისწინებული ფორმალური წესების დაცვას გულისხმობს.

„მტკიცებულების მოპოვების მეთოდებსა და ხერხებს მხოლოდ კანონმდებელი განსაზღვრავს, რითაც სამართალწარმოების კანონიერებისა და ობიექტურობის გარანტიებს ქმნის.“¹⁴⁵

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა მტკიცებულების დასაშვებობის განმარტებას არ იძლევა. სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით:

„ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ასეთი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.“¹⁴⁶

¹⁴³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი მეორე, თბილისი, 1990, 1071.

¹⁴⁴ ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2010, 10.

¹⁴⁵ ხაზარიშვილი ბ., მტკიცებულებითი სამართალი, თბილისი, 1982, 65.

¹⁴⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სსმ, 31, 03/11/2009, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>> [24.08.2018], მუხლი72.

ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ წყარო უტყუარი და საიმედოა. ინფორმაციის ხასიათი და სამართლებრივი ბუნება მის წყაროზეა დამოკიდებული. თუ მტკიცებულების წყარო არ არის საიმედო, მისგან მომდინარე ინფორმაციაც საიმედოობის დაბალი ხარისხით ხასიათდება და როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ის, გამოირიცხება საქმიდან.

აუცილებელია, რომ მტკიცებულება მოიპოვოს სათანადოდ უფლებამოსილმა პირმა. თუ ის მოპოვებულია შანტაჟის, მუქარის, მოტყუების გზით ან სხვა უკანონო ქმედებით, დაუშვებელი მტკიცებულებაა. მტკიცებულების საქმისათვის დართვის მთავარი პირობა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაა. თუ ინფორმაცია ხელყოფს ადამიანის პატივსა და ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, ფიზიკურ ხელშეუხებლობას, ის დაუშვებელი მტკიცებულებაა.¹⁴⁷ ასეთი მტკიცებულება სამართლებრივი თვალსაზრისით მიუღებელია და მასზე დაყრდნობით დაუშვებელია გადაწყვეტილების მიღება და, მით უმეტეს, შეუძლებელია ასეთი ინფორმაციის საფუძველზე პირის მსჯავრდება.

სსსკ-ის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს მეორე მხარეც აქვს. ეს არის დანაშაულებრივი ხელყოფის საფრთხისაგან მოწმეთა, დაზარალებულთა და მათი ოჯახის წევრთა დაცვის ინსტიტუტი.¹⁴⁸ მოწმის ჩვენების უტყუარობის გარანტიას მისი უსაფრთხოების სახელმწიფო გარანტიების არსებობა ქმნის. დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს, რომ ამ მიმართულებით განსაკუთრებულ წარმატებებს ის სახელმწიფოები აღწევენ, რომლებსაც აქვთ მოწმეთა და დაზარალებულთა დაცვის სამართლებრივი ბაზა.

¹⁴⁷ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი თბილისი, 2014, 257.

¹⁴⁸ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 239.

მტკიცებულების დასაშვებობის პირობების განხილვით ცხადი გახდა, რომ დასაშვებობა მტკიცებულების საიმედოობას უზრუნველყოფს. ამ პირობების დაცვით საქმეში მხოლოდ ობიექტური ინფორმაცია მოხვდება, რაც მართლმსაჯულების სამართლიანობას უზრუნველყოფს. მტკიცებულების დასაშვებობის ინსტიტუტს, სამართლებრივი მხარის გარდა, მორალური მხარეც აქვს. ზნეობრივი პრინციპების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის პროცესშია, სადაც ადამიანის დამნაშავედ ცნობისა და მისთვის სასჯელის დაკისრების საკითხი წყდება.

საქმის გამოძიებისა და განხილვის წესების დადგენა, მტკიცებულების პროცესის ზუსტი რეგლამენტაცია მოსამართლეს საშუალებას აძლევს, სამართლებრივ საფუძველზე ჩამოიყალიბოს შინაგანი რწმენა, რათა მორალურად და იურიდიულად სწორი გადაწყვეტილება მიიღოს.

მტკიცებულების დასაშვებობის კანონით გათვალისწინებული პირობები არამხოლოდ მტკიცებულების საპროცესო ფორმის დაცვას გულისხმობს, არამედ საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად ზნეობრივ ბაზასაც ქმნის, რაც მართლმსაჯულების განხორციელებისას ფორმალურ მხარესთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

2. მტკიცების პროცესის სუბიექტები

მტკიცების სუბიექტების საკითხი არსებითად უკავშირდება მტკიცების ვალდებულებასა და მტკიცების ტვირთს. ქართულ სისხლის სამართალში ბრალდების მტკიცების ტვირთი მთლიანად ბრალდების მხარეს ეკისრება. აქედან გამომდინარე, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის

სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის საფუძველზე¹⁴⁹.

ანგლო-საქსურ სამართალში გავრცელებული იყო სასამართლო წარმოების შეჯიბრობითობის პრინციპი. მხარეები ასრულებდნენ წამყვან როლს სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის პროცესის შედეგების მიღებაში. როგორც ლიტერატურაში არის მითითებული, საბჭოთა სამართლისათვის ასეთი გაგება მიუღებელია, როგორც მტკიცების მატერიალური ტვირთის, ასევე ფაქტიური მტკიცების ტვირთის ცნებები.

თანამედროვე ქართული კანონდებლობის მიხედვით, გამოძიების დროს გამოძიებელი დებულობს გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად, გარდა ცალკეული გამონაკლისებისა. იმ შემთხვევაში, თუ გამოძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებებს პირის პასუხისგებაში მიცემის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და ბრალდების მოცულობის შესახებ, ბრალდებულის სამართალში მისაცემად საქმის გაგზავნის, ან საქმის შეწყვეტის შესახებ, გამოძიებელს უფლება აქვს, წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს საქმესთან დაკავშირებული საწინააღმდეგო მოსაზრებები წერილობით.

საქართველოს პროკურატურა არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში.¹⁵⁰ პროკურორი ვალდებულია, შეკრიბოს და სასამართლოში წარადგინოს მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღოს მისი დასაშვებობის საკითხის განხილვაში. ასევე, მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით; მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს

¹⁴⁹ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2014, 84-85.

¹⁵⁰ საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“, სსმ, 27, 27/10/2008, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/19090>> [25.08.2018], მუხლი1.

სახელმწიფო ორგანოებიდან დოკუმენტი თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება და განახორციელოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

ადვოკატის, დამცველის როლი მტკიცების პროცესში განსაკუთრებულია. იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს უფლება არ აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ. მას უფლება აქვს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღოს მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების, მათ შორის, გამოკითხვის ოქმების, ასლები, აგრეთვე ისარგებლოს ბრალდებულის ყველა უფლებით და დაცვის მხარის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებებით¹⁵¹.

სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, ბრალდების მხარე თავის მხრივ ვალდებულია, დაცვის მხარეს საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები. დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილია, დაცვის მხარისგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენას დაცვის მხარე აპირებს.

¹⁵¹ აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 135-142.

დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის მიღებაზე ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება შეზღუდოს სასამართლომ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში და მხოლოდ წინა სასამართლო სხდომამდე.¹⁵²

3. „მოწამლული ხის ნაყოფის თეორია“

„მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორია აშშ-ში ჩამოყალიბდა და იგი ე.წ. გამორიცხვის წესის ნაწილი გახდა¹⁵³. კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ინფორმაციის ობიექტურობაზე უამრავ ეჭვს აჩენს. საეჭვო ინფორმაციის საფუძველზე ადამიანის ბედის გადაწყვეტა კი არ შეიძლება. ამიტომ კანონდარღვევით მოპოვებული ინფორმაცია დაუშვებელი მტკიცებულებაა და ის უნდა გამოირიცხოს სისხლის სამართლის საქმიდან.

„მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორიის მიხედვით, თუ მტკიცებულების წყარო (ხე) უკანონოა, მისგან მომდინარე ნებისმიერი ინფორმაცია (ნაყოფი) ასევე უკანონო იქნება. ანუ მოწამლული ხე და მოწამლული ხის ნაყოფი - ორივე უნდა გამოირიცხოს სისხლის სამართლის საქმიდან.¹⁵⁴

მტკიცებულების გამორიცხვის წესის თანახმად, უკანონო ჩხრეკით, დაპატიმრებით, იძულებითი დაკითხვით მოპოვებული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეზე არ უნდა იქნას დაშვებული. რაც შეეხება „მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორიას, ის

¹⁵² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სსმ, 31, 03/11/2009, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>> [24.08.2018], მუხლი 83.

¹⁵³ ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2010, 70;

¹⁵⁴ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2014, 299.

უფრო შორს მიდის და ადგენს, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ასევე უნდა ამოირიცხოს უკანონო გზით აღმოჩენილი ინფორმაციის საფუძველზე მოგვიანებით მოპოვებული მტკიცებულება.

სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა სამართლიანი მართლმსაჯულების აუცილებელი პირობაა. სისხლის სამართალწარმოებისას ადამიანის პირადი ცხოვრების საიდუმლოების, საკუთრების უფლების, პატივისა და ღირსების დაცვა მნიშვნელოვანია. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს შინაარსობრივად, აუცილებლად უნდა გამოირიცხოს სისხლის სამართლის საქმიდან.

დღესდღეისობით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი არეგულირებს დაუშვებელი მტკიცებულების საკითხს. სსსკ-ის 72-ე მუხლის მიხედვით „ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.“ ამავე მუხლის ნაწილის ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული სხვა, შესაძლოა კანონიერი მტკიცებულებაც, თუ აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ აქვს. კანონის ჩანაწერი - „..თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია“, ჩემი აზრით გაუგებარია, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში, „მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორიის მიხედვით, თუ არსებობს კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ან მის საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულება, მას არავითარი ძალა არ ექნება, იმისდა მიუხედავად, აუარესებს თუ არა ბრალდებულის სამართლებრივ

მდგომარეობას. კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული კანონიერი მტკიცებულება, თუ ის აუმჯობესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, მაინც არ უნდა გამოიყენებოდეს, რადგან ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, მტკიცებულება უნდა იყოს მოპოვებული და აუცილებლად უნდა იყოს მისი მოპოვების წყარო დასახელებული. თუ თავად მტკიცებულების მოპოვების წყარო იყო უკანონო, როგორ შეიძლება რომ არსებულმა მტკიცებულებამ კანონიერი ძალა მიიღოს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ამგვარი მტკიცებულება უშუალოდ დაცვის მხარის მიერ იყოს მოპოვებული და არა თუ აუარესებდეს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, პირიქით, ამსუბუქებდეს. რა ხდება ამ შემთხვევაში? რატომ არის 72-ე მუხლის პირველ ნაწილში მსგავსი ფორმულირება, რაც შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს, თუ ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას აუარესებს, მხოლოდ ამ შემთხვევაშია დაუშვებელი მტკიცებულება? და ქმნის თუ არა ისეთ სამართლებრივ მდგომარეობას, რომ დაცვის მხარემ მოიპოვოს კანონიერი მტკიცებულება უკანონო მტკიცებულების საფუძველზე და ეს გაამართლოს 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ჩანაწერით.

„მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორიის მიხედვით, კანონის დარღვევით მოპოვებული ნებისიერი მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული თუნდაც კანონიერი მტკიცებულება დაუშვებელია და თეორიული ძალა არ აქვს. შესაბამისად, ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის პროცესის რომელი მხარის მიერაც არ უნდა იქნას ასეთი მტკიცებულება მოპოვებული, მაინც უნდა იცნოს დაუშვებლად ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

„საეჭვო ინფორმაციის საფუძველზე ადამიანის ბედის გადაწყვეტა არ შეიძლება. ამიტომ კანონდარღვევით მოპოვებული ინფორმაცია

დაუშვებელი მტკიცებულებაა და ის უნდა გამოირიცხოს სისხლის სამართლის საქმიდან.”¹⁵⁵

დასკვნა

სისხლის სამართლის პროცესი მიმართულია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისაკენ. ჭეშმარიტების დადგენა კი შეუძლებელია მტკიცებულების გარეშე, რომლებიც ან ადასტურებენ, ან უარყოფენ ბრალდებას. შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში ორივე მხარის ინტერესებში შედის რაც შეიძლება მეტი მტკიცებულებების მოპოვება. მტკიცებულების მოპოვება ბრალდების მხარისთვის არის სავალდებულო, მისი მოპოვება საპროცესო კოდექსის განმარტებით უნდა მოხდეს „ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად“. რაც შეეხება დაცვის მხარეს, მტკიცებულების მოპოვების ვალდებულება არ გააჩნია, თუმცა ეს მის ინტერესებში შედის.

ნაშრომში განხილული იქნა მტკიცებულების დასაშვებობის პრობლემა, მტკიცების პროცესის სუბიექტები და ასევე „მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორია.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ნამდვილად წარმოადგენს მნიშვნელოვან მონაპოვარს, რომელიც სრულყოფის პროცესშია.

ჩვენი კანონმდებლობა მიესადაგება ევროპის ქვეყნების კანონმდებლობას, თუმცა არსებობს გარკვეული ხარვეზები, რომელიც დროსთან და პრაქტიკასთან ერთად აუცილებლად დაიხვეწება.

¹⁵⁵ ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2010, 69.

ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება

შესავალი

ქართული კანონმდებლობისთვის ირიბი ჩვენება ხანგრძლივი ისტორიის მქონე ინსტიტუტს არ წარმოადგენს და მისი მოწესრიგების საკითხიც აქამდე ფართო მსჯელობის საგანი არ გამხდარა. თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებამ ცხადყო, რომ ირიბი ჩვენება სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია და მისი მოწესრიგება დიდწილად განსაზღვრავს ქვეყანაში მართლმსაჯულების ხარისხს. ზოგადად მტკიცებულებების, მათ შორის ირიბი ჩვენების გამოყენების საკითხს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ბრალდების დადგენილება და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.¹⁵⁶

სსსკ-ის 76-ე მუხლში 2013 წელს შევიდა ცვლილება, რომელიც კავშირშია ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტასთან უშუალოდ სასამართლო პროცესზე. კერძოდ,

„ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს

¹⁵⁶ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>> [25.08.2018], მუხლი 40, ნაწილი 3.

ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია.“

„სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.“¹⁵⁷

ამ ცვლილების მიუხედავად, მაინც არის მისი დასაშვებობის საკითხი ეჭვქვეშ, ვინაიდან, კანონმდებლობა ზუსტად არ განსაზღვრავს წინასასამართლო სხდომის მოსამართლე რეალურად ახდენს ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირებას და ამოწმებს მის არსებობას, თუ უბრალოდ ხდება კითხვაზე პასუხის გაცემა, რამდენადაა შესაძლებელი წყაროს იდენტიფიცირება და მისი ნადვილობის დადგენა. მეორე ცვლილებას რაც შეეხება, რომელიც სსსკ-ის 76 მუხლის მე-3 ნაწილს მოიცავს, კანონის ეს ჩანაწერიც ბუნდოვანია. კერძოდ, გაურკვეველია მთლიანად მტკიცებულების შინაარსი უნდა დასტურდებოდეს სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება, თუ ინდივიდუალურად ირიბ ჩვენებაში არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოება. ამასთან დასადგენია, თუ ირიბი ჩვენების მხოლოდ ნაწილი დასტურდება, ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიიღოს თუ არა ასეთი მტკიცებულება უტყუარ მტკიცებულებად და უნდა დაამყაროს თუ არა მასზე გამამტყუნებელი განაჩენი.

ამ ცვლილებების შემდგომ, საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ იქნა სარჩელი ირიბი ჩვენების არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით, თუმცა ამ საკითხზე საქმის წარმოება შეწყდა იმ საფუძველით, რომ არსებული ცვლილებები

¹⁵⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი N 741 – III, ვებგვერდი, 27/06/2013, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1956658>> [25.08.2018].

ემსახურებოდა ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობასა და მის პრაქტიკაში უკეთ გამოყენებას.

უნდა ითქვას, რომ არ არსებობს ირიბი ჩვენების მოწესრიგების უნივერსალური მოდელი, რომლითაც ყველა სახელმწიფო იხელმძღვანელებდა. კონკრეტულ სამართლებრივ სისტემებში აღნიშნულ ინსტიტუტს განსხვავებული მოწესრიგება აქვს და მისი სასამართლო განხილვაზე დაშვება თუ გამორიცხვა სხვადასხვაგვარი პროცედურებით ხორციელდება. ზოგიერთ ქვეყანაში ირიბი ჩვენების დასაშვებობისთვის მინიმალური პირობების არსებობაც კი საკმარისია, მაგრამ არსებობს ქვეყნები, სადაც ზოგადი წესით, ირიბი ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად ითვლება, გარდა კანონით განსაზღვრული კონკრეტული გამონაკლისებისა. თავის მხრივ, საგამონაკლისო შემთხვევების ფარგლებიც ქვეყნების მიხედვით განსხვავდება.

ზოგადად, ირიბი ჩვენება ნაკლები სანდოობის მქონე მტკიცებულებად მიიჩნევა და ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისას მისი გამოყენით გამოწვეული შესაძლო ზიანის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ადეკვატური მექანიზმების არსებობა, რაც შესაძლებელს გახდის ამ მტკიცებულების სანდოობის შემოწმებას.

1. ირიბი ჩვენების ისტორიული განვითარება

ირიბი ჩვენების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში ჩამოყალიბდა და გაჩნდა მისი სასამართლო განხილვებიდან გამორიცხვის აუცილებლობა.¹⁵⁸

¹⁵⁸ Turner Kenny's Outlines of Criminal Law, 19th Cambridge University Press, 1966, 565. მოხსენიებულია: ირლანდიის სამართლებრივი რეფორმების კომისია, საკონსულტაციო ნაშრომი, „ირიბი ჩვენება სამოქალაქო და სისიხლის სამართლის საქმეებში“, 2010, 14.

ამგვარი აუცილებლობა განპირობებული იყო იმით, რომ სასამართლოები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მხარეების მიერ მოწმის დაკითხვა სამართლიანი სასამართლოს უფლებას მიეკუთვნება. შესაბამისად, როდესაც სასამართლოში მოხსენიებული ფაქტების ნამდვილობისა და სანდოობის გადამოწმება მეორე მხარეს არ შეეძლო იმის გამო, რომ მისი ავტორი არ იყო წარმოდგენილი განხილვაზე, სასამართლოები ასეთ ჩვენებას დაუშვებლად ცნობდნენ „ირიბი ჩვენების წესის“ (Hearsay Rule) საფუძველზე.

„ირიბი ჩვენების წესი“ ანუ ირიბი ჩვენების სასამართლოზე განხილვისას დაუშვებლობა გავრცელებული იყო შუა საუკუნეების პროცესებშიც. როგორც აღინიშნა, მისი წარმოშობა და შესაბამისი წესების განვითარება დიდწილად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უკავშირდებოდა. ნაფიცი მსაჯულები იმ პერიოდში არაფორმალურად ეხმარებოდნენ გამოძიებას და ლოკალური ცოდნის მეშვეობით გამოჰქონდათ ვერდიქტი. აღნიშნულ პერიოდში ნაფიცი მსაჯულები შეირჩეოდნენ არა ნეიტრალურობისა და ობიექტურობის კრიტერიუმით, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად საკმარის და სრულყოფილ ინფორმაციას ფლობდნენ ისინი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო, მსაჯულების წინასწარ არსებული ცოდნა ყოფილიყო უტყუარი და ის არ დამყარებოდა მეორად წყაროს. დღევანდელი ფორმით არსებული მოწმის ჩვენების ინსტიტუტი მოგვიანებით, მე-16 საუკუნეში განვითარდა. ამ დროიდან მოწმის ჩვენება სასამართლოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებად იქცა.

მე-16 საუკუნის ბოლოსკენ ირიბი ჩვენება დასაშვები იყო, მაგრამ სასამართლოებში მის მიმართ დამოკიდებულება იცვლებოდა. მე-17 საუკუნის ბოლოს დიდ ბრიტანეთში რამდენიმე სასამართლომ უარი განაცხადა ასეთი მტკიცებულების დაშვებაზე. მე-17

საუკუნის ბოლოსა და მე-18 საუკუნის დასაწყისში ირიბი ჩვენება ჯერ კიდევ დასაშვები იყო, თუმცა დასაშვებობისთვის აუცილებელი იყო სხვა ისეთი მტკიცებულების არსებობა, რომელიც გამყარებდა ირიბ ჩვენებას.¹⁵⁹

იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა კვლევის მიხედვით ნაფიცი მსაჯულები ხშირად სრულად ვერ აცნობიერებდნენ მოსამართლის მიერ მათთვის მიცემულ სამართლებრივ მითითებებსა და განმარტებებს, მკვლევარები მიიჩნევდნენ, რომ იქმნებოდა საფრთხე, ნაფიც მსაჯულებს ირიბი ჩვენებისათვის იგივე წონა მიენიჭებინათ, რაც პირდაპირ მტკიცებულებას აქვს.

2. ირიბი ჩვენების არსი და მნიშვნელობა ქართულ კანონმდებლობაში

ირიბი ჩვენება ეყრდნობა სხვა წყაროდან მოპოვებულ, როგორც წესი, მოდიფიცირებულ ფაქტობრივ ინფორმაციას, ვინაიდან ირიბ ჩვენებას იძლევა პირი, რომლისთვისაც აღნიშნული ინფორმაცია სხვა პირის მეშვეობით გახდა ცნობილი. ანუ მოწმეს საკუთარი თვალთ არ დაუნახავს ან სხვაგვარად უშუალოდ არ აღუქვამს (არ მოუსმენია, განუცდია, გაუსინჯავს და ა.შ.) ის გარემოება, რომლის თაობაზეც იძლევა ჩვენებას. ირიბი ჩვენებით დადგენილ ფაქტსა და ინფორმაციის წყაროს შორის არსებობს შუალედური რგოლი და შესაბამისად, რაც უფრო მეტი შუალედური რგოლი არსებობს წყაროსა და ჩვენების მიმცემ მოწმეს შორის, მით უფრო ნაკლებია მის მიერ მიწოდებული ირიბი ჩვენების სარწმუნოების ხარისხი და მტკიცებულებითი წონა.¹⁶⁰ სისხლის სამართალწარმოებაში

¹⁵⁹ იქვე.

¹⁶⁰ ავტორთა კოლექტივი, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2016, 185.

ირიბი ჩვენების გამოყენებისათვის საპროცესო კოდექსი ადგენს ორ წინაპირობას:

- მოწმემ სახელდებით უნდა მიუთითოს პირველწყარო, რომ შესაძლებელი იყოს საჭიროების შემთხვევაში მისი დაკითხვა;
- აღნიშნული ინფორმაცია უნდა დასტურდებოდეს საქმეში არსებული ნებისმიერი სხვა მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.¹⁶¹

ირიბი ჩვენების მიმცემა პირმა უნდა მიუთითოს ინფორმაციის წყარო, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია. სასამართლო უშუალოდისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპს დაარღვევს, თუ ის მხოლოდ ირიბი ჩვენების მიმცემ მოწმეთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციას დაეყრდნობა და სათანადოდ არ შეაფასებს საქმის გარემოებათა შესახებ უშუალოდ ინფორმირებული მოწმეების მიერ მიცემულ ჩვენებებს.¹⁶² სასამართლო პრაქტიკაში ირიბი ჩვენების მისაცემად ხშირად იძახებენ საგამომიებო ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელმაც გამომიების ეტაპზე გამოკითხა შემთხვევის ადგილას მყოფი პირები. შესაძლებელია, რომ დანაშაულის შედეგად მძიმედ დაჭრილი დაზარალებული გამოკითხოს გამომიებელმა და შემდგომ საქმის არსებით განხილვის სხდომაზე ამ უკანასკნელს დაზარალებულის გარდაცვალების გამო მოუწიოს ირიბი ჩვენების მიცემა.

ირიბი ჩვენების სხვა მტკიცებულებით დადასტურების ვალდებულება წარმოადგენს ირიბი ჩვენების დასაშვებობის სავალდებულო წინაპირობას მხოლოდ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე. აქ საქმე გვაქვს ტერმინოგიურ

¹⁶¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 76.

¹⁶² გიორგი თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა თბილისი 2014.

ხარვეზთან ვინაიდან, როგორც ვიცით, მტკიცებულების დაშვება-არ დაშვების საკითხი წყდება წინასასამართლო სხდომაზე, სადაც არა მტკიცებულებათა შინაარსობრივი, არამედ მისი კანონიერი დაშვების საფუძვლები მოწმდება. არსებით სხდომაზე წარსადგენი მტკიცებულებები უკვე დასაშვებ მტკიცებულებად არის ცნობილი და მისი გამოკვლევა მხარეთა მიერ ხდება, რასაც შემდგომ ემყარება განაჩენი. თუ წინასასამართლო სხდომაზე არ მოხდება ირიბი ჩვენების დადასტურება სხვა ისეთი უტყუარი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი, ეს უნდა იყოს ჩვენების დაუშვებლად ცნობის საფუძველი, რა დროსაც მოსამართლეს არ ექნება უფლება, გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს მას. აქედან გამომდინარე, გამოძიების სტადიაზე ირიბი ჩვენების გამოყენება აღკვეთის ღონისძიების, ჩხრეკა-ამოღების, ქონებაზე ყადაღის დადებისა და საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე სასამართლოს ნებართვის გამოთხოვისას, საგამოძიებო ვერსიების შემოწმების, ახალი მტკიცებულებების მოძიებისა და სხვა მიზნებისათვის დაიშვება მაშინაც, თუ ირიბ ჩვენებაში მოცემული ინფორმაცია არ დასტურდება საქმეზე შეკრებილი არც ერთი სხვა მტკიცებულებით.

საპროცესო კოდექსი ადგენს წყაროს დასახელების ვალდებულებას, მაგრამ არ ადგენს ირიბი ჩვენების სარწმუნოების გადამოწმებისათვის დასახელებული პირველწყაროს დაკითხვის/გამოკვლევის ვალდებულებას. პირველწყაროს მოწვევა პროცესში შესაძლებელია მნიშვნელოვან (ობიექტურ და სუბიექტურ) სირთულეებთან იყოს დაკავშირებული: გარდაცვალება, დაუდგენელია ადგილსამყოფელი, უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე და სამართალწარმოებაში მონაწილეობაზე, აღარ ახსოვს და ა.შ. შესაბამისად, თუ მოწმე მიუთითებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია მისთვის ცნობილი გახდა აწ გარდაცვლილი მოქალაქისაგან, აღნიშნული ირიბი ჩვენება დასაშვებია

მტკიცებულება იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს ობიექტურად არ ექნებათ შესაძლებლობა, გადაამოწმონ პირველწყაროს სანდოობა.

3. ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამონაკლისები - ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა

საერთო სამართლისა და კონტიტენტური სამართლის ქვეყნების, სისხლის საპროცესო სამართალში ირიბი ჩვენების დასაშვებობის წესები და პრინციპები ერთმანეთისგან განსხვავებულია, რამდენადაც განსხვავდება სისტემები. ამავედროულად, კონტინენტური ევროპის ზოგ ქვეყანაში დადგენილია ირიბი ჩვენების დასაშვებობის მინიმალური პრინციპები (ესპანეთი, იტალია). გერმანული სისხლის საპროცესო სამართალში ასეთი ჩვენების მტკიცებულებად დაშვება არ წარმოადგენს პრობლემას და იგი განიხილება, როგორც მოწმის ჩვენება. ესტონეთში ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები კონკრეტიზირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. საერთო სამართლის ქვეყნებში ეს კონკრეტიზაცია ხდება სასამართლო პრაქტიკით, თუმცა განსხვავებულია პოზიცია კანადაში, სადაც ირიბი ჩვენების დაშვების წესი ზოგადია და სასამართლოს ეძლევა საშუალება, ზოგადი პრინციპების საფუძველზე მოახდინოს ამა თუ იმ ჩვენების მტკიცებულებად დაშვება. ამერიკის ფედერალურ წესებში, განსხვავებით სხვა საერთო სამართლის ქვეყნებისა, ირიბი ჩვენების წინააღმდეგ წესის გამონაკლისების ძალიან ფართო ჩამონათვალი არსებობს. ზოგ ქვეყანაში, სადაც სამართალწარმოება დაფუძნებულია ინკვიზიციურ პრინციპებზე (მაგ. საფრანგეთი, ბელგია, გერმანია) ირიბი ჩვენება დასაშვებია და მოსამართლე წყვეტს ასეთი ჩვენების ღირებულებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ირიბ ჩვენებას დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით არ შეიძლება განაჩენი დაეფუძვნოს მხოლოდ ირიბ ჩვენებას.¹⁶³

3.1 ესპანეთი

ესპანეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 710-ე მუხლის მიხედვით ირიბი ჩვენება დასაშვებია. რადგანაც საპროცესო კოდექსის ასეთი ჩანაწერი განსხვავდება მტკიცებითი სამართლის ზოგადი წესებიდან, ესპანურმა სასამართლო პრაქტიკამ დაადგინა ირიბი ჩვენების დაშვების წესები, კერძოდ, ირიბ ჩვენებას მტკიცებითი ღირებულება ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც **ფიზიკურად შეუძლებელია პირის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება**.¹⁶⁴

3.2 ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ში ირიბი ჩვენების საკანონმდებლო რეგულაციას ადგენს მტკიცებულების შესახებ ფედერალური წესები (Federal Rules of Evidence). მასში მოცემული განსაზღვრების მიხედვით, ირიბი ჩვენება წარმოადგენს განცხადებას, რომელსაც:

- ა) განმცხადებელი არ აკეთებს მიმდინარე სასამართლო პროცესზე ან მოსმენაზე;

¹⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლო, ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამონაკლისები - ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi4.pdf>> [25.08.2018].

¹⁶⁴ იქვე.

ბ) მხარე წარმოადგენს მტკიცებულების სახით ჩვენებას იმ ფაქტის ნამდვილობის დასამტკიცებლად, რომელიც გაცხადებულია ამ ჩვენებაში (პირველადი წყაროდან მიღებული ინფორმაციის დადასტურების მიზნით).¹⁶⁵

აქტი განსაზღვრავს ირიბი ჩვენების დასაშვებობის შემოწმების ორ განსხვავებულ მოდელს: 1) როდესაც არაა დამტკიცებული, რომ განმცხადებლის სასამართლოში გამოცხადება შეუძლებელია; 2) როდესაც განმცხადებლის სასამართლოში დაკითხვა შეუძლებელია. პირველ შემთხვევაში, ირიბი ჩვენება დასაშვებად შეიძლება ცნოს სასამართლომ მიუხედავად იმისა, ობიექტურად შესაძლებელია თუ არა განმცხადებლის სასამართლო სხდომაზე დაკითხვა, თუკი განცხადება გაკეთებულია ფსიქიკური აღევების მდგომარეობაში, კონკრეტულ მომენტში არსებული ფსიქიკურ, ფიზიკურ თუ ემოციურ მდგომარეობაზე გაკეთებული განცხადება; საჯარო ჩანაწერები და ა.შ.

ირიბი ჩვენების დასაშვებობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველწყაროს სანდოობას, კერძოდ, რა ვითარებაში გაკეთდა აღნიშნული განცხადება, რა მიზნებით და რამდენად არსებობდა განზრახ ცრუ ინფორმაციის გავრცელების ინტერესი. როდესაც პირველადი განმცხადებელი ხელმიუწვდომელია სასამართლოსთვის, ამ დროს, მოსამართლე ამოწმებს ორ გარემოებას - რა იყო გამოუცხადებლობის საფუძველი და რა ინფორმაციას მოიცავს განცხადება.¹⁶⁶ მოწმე სასამართლოსთვის მიუწვდომლად¹⁶⁷ ითვლება შემდეგ შემთხვევებში: 1) როდესაც თავად სასამართლო ანიჭებს პირს გამოუცხადებლობის პრივილეგიას; 2) სასამართლოს ბრძანების

¹⁶⁵ Federal Rules of Evidence, ARTICLE VIII. HEARSAY, <https://www.law.cornell.edu/rules/fre/rule_801> [25.08.2018], Rule 801.

¹⁶⁶ იქვე, Rule 804.

¹⁶⁷ აქ უფრო მეტად იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც მოწმის სასამართლოში გამოცხადებას ობიექტურად აზრი არ აქვს.

მიუხედავად, პირი უარს აცხადებს გამოცხადებაზე; 3) პირი აცხადებს, რომ აღარ ახსოვს საქმის ფაქტობრივი გარემოებები; 4) შეუძლებელია მისი პროცესზე გამოცხადება გარდაცვალების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო; 5) მისმა მომწვევემა მხარემ, ყველა გონივრული ძალისხმევის მიუხედავად, ვერ უზრუნველყო მოწმის გამოცხადება. მას შემდეგ, რაც დადგინდება გამოუცხადებლობის საფუძვლები, სასამართლო ასევე ამოწმებს განსახილველ ჩვენებას შინაარსობრივი თვალსაზრისითაც.

ანგლო-ამერიკულ სისხლის საპროცესო სამართალში მოწმის ირიბი ჩვენების მტკიცებულებად დასაშვებობა ზოგადად უარყოფილია შემდეგი არგუმენტებით: პირველ რიგში მიაჩნიათ, რომ ინფორმაციის გამავრცელებელი პირველადი წყარო ნაკლებად სანდოა, რადგან მისგან ინფორმაცია მიღებულია ფიცის გარეშე; შემდეგ, აღნიშნავენ, რომ მოსამართლეს და ნაფიც მსაჯულებს არ აქვთ შესაძლებლობა, ჩვენების მიცემის დროს უშუალოდ დააკვირდნენ ინფორმაციის პირველად წყაროს; ასევე არსებობს იმის დიდი საფრთხე, რომ ირიბი ჩვენების მიმცემი სასამართლოს ვერ მიაწვდის სრულფასოვნად და შინაარსობრივი ცვლილებების გარეშე ორიგინალ ინფორმაციას; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ირიბი ჩვენების საწინააღმდეგოდ მიუთითებენ, რომ ასეთი ჩვენება საფრთხეს უქმნის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, რადგან მხარეს არ ეძლევა ჯვარედინი დაკითხვის საშუალებით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს როგორც ინფორმაციის სანდოობა, ისე მოწმის მიერ მისი სწორად დამახსოვრების, აღქმისა და გადმოცემის უნარი.¹⁶⁸

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

¹⁶⁸ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ ეხება ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების გამოყენების კონსტიტუციურობის საკითხს.¹⁶⁹

მოსარჩელე სადავოდ ხდის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 169-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“, ხოლო ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა მტკიცებულებით“. ამავე კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა.“ აღნიშნული სადავო ნორმებით დადგენილია პირის

¹⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, N1/1/548, ვებგვერდი, 04/02/2015.

ბრალდებულად ცნობისა და გამამტყუნებელი განაჩენის მტკიცებულებითი სტანდარტები, ასევე ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძირითადი არგუმენტაცია მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნული ნორმები ვერ უზრუნველყოფენ მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპის სავალდებულო დაცვას. სასამართლოს მსჯელობით:

„უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს იმას, რომ საექვო, მცდარი ან სავარაუდოდ გაყალბებული მტკიცებულებები გამოირიცხოს სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებიდან. გამოირიცხული უნდა იყოს გონივრული ეჭვი წარდგენილი მტკიცებულების ნამდვილობასთან და სანდოობასთან დაკავშირებით... კანონმდებელი ვალდებულია, აღჭურვოს სასამართლო სახელმძღვანელო პრინციპებით, რომელიც მას ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხის ან, ასეთ ჩვენებაზე დაყრდნობით, განაჩენის მიღებაში დაეხმარება.“¹⁷⁰

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ გამოირიცხავს, გამონაკლის შემთხვევებში, ირიბი ჩვენების გამოყენების მართლზომიერებას. ასეთი გამონაკლისის დაშვება შესაძლოა გამართლებული იყოს, თუ არსებობს ობიექტური მიზეზი, რის გამოც შეუძლებელია იმ პირის დაკითხვა, რომლის სიტყვებსაც ემყარება ირიბი ჩვენება და, როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ზოგადად, ირიბი ჩვენება ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა, მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს და შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ

¹⁷⁰ იქვე.

გამონაკლის შემთხვევებში. მაღალია იმის საფრთხე, რომ ირიბი ჩვენების მოსმენის შედეგად, მოსამართლეს ან/და ნაფიც მსაჯულებს ჩამოუყალიბდეს ან გაუმყარდეს რწმენა, რომ ბრალდებულმა ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული, რაც პირის დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ დასჯის ალბათობას ზრდის.¹⁷¹

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას, აგრეთვე, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით. ხოლო შეწყვიტა სამართალწარმოება სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილს.

დასკვნა

ზემოთ მოყვანილ მასალებზე დაყრდნობით, ვფიქრობ, რომ ირიბი ჩვენების კანონმდებლობიდან ამოღება მართებული არ იქნება, იმ პრობლემების მიუხედავად, რასაც იწვევს მისი არსებობა ამჟამად. როდესაც პირის ბრალეულობის დამტკიცება ხდება ორი ან მეტი

¹⁷¹ იქვე, პარაგრაფი 52.

მტკიცებულებების საფუძველზე, შესაძლებელი უნდა იყოს, რომ აქედან ერთ-ერთი იყოს ირიბი ჩვენება. ვემხრობი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომ ირიბი ჩვენება უნდა არსებობდეს, თუმცა ის გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ხოლო მისი შეფასება უნდა მივიღოთ მოსამართლის შინაგან რწმენას.

ასევე ვფიქრობ, რომ სისხლის სამართლის კოდექსმა უშუალოდ უნდა მიუთითოს ის გარემოებები, თუ რა დროს იქნება შესაძლებელი ირიბი ჩვენების გამოყენება. როგორც ვნახეთ, სხვადასხვა ქვეყანებში ეს საკითხი სხვადასხვანაირად წესრიგდება. ეს გასაკვირი არცაა, ვინაიდან, ყველა საკუთარ ქვეყანაში არსებული კულტურული, ეკონომიკური და სხვა გარემოებების გათვალისწინებით არეგულირებს საკითხს და ადგენს კანონს. ამ მრავალფეროვნების მიუხედავად, როგორც რომანულ-გერმანული, ასევე კონტინენტური ევროპის ქვეყნები აღიარებენ ირიბი ჩვენების არსებობას და უფრო მეტიც, დროის ცვლილებასთან მიმართებაში ცდილობენ უფრო დახვეწონ და ფართო გამოყენება მისცენ ამ ინსტიტუტს, როგორც ერთ-ერთ საჭირო მტკიცებულებას.

მექრთამეობა

(ზოგადი მიმოხილვა, სასამართლო პრაქტიკა, სტატისტიკა)

შესავალი

მექრთამეობა არის დანაშაული, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ მუშაობას და, შესაბამისად, აფერხებს ქვეყნის განვითარებას. ქრთამი და მექრთამეობა უძველესი დროიდან მოჰყვება კაცობრიობას. ქრთამის აღების შესახებ ცნობებს ძველი რომის სამართლის წყაროებშიც ვხვდებით.

საქართველოში XI-XII საუკუნეში მექრთამეობა იმდენად იყო განვითარებული, რომ მცირეოდენი საქმეც არ კეთდებოდა მის გარეშე. ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ დავით აღმაშენებელს არაერთი ღონისძიების გატარება დასჭირდა მექრთამეობის შესამცირებლად. სულხან-საბა ორბელიანი ქრთამს აღწერს, როგორც „საცოდავ ძღვენს“.¹⁷²

ამჟამად, მექრთამეობა მძიმე დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება და მას არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. განვიხილოთ ქრთამის აღებისა და მიცემის სამართლებრივი რეგულაციების თავისებურებანი თანამედროვე საქართველოში.

1. ქრთამის აღება

ქრთამის აღება არის მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღება თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა

¹⁷² აბამიშვილი ლ., სადისერტაციო ნაშრომი „ქრთამი ძველ ქართულ სამართალში“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2008, 4-12.

პირმა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა.¹⁷³

ქრთამის აღება მიეკუთვნება სამოხელეო დანაშაულთა რიცხვს. იგი წარმოადგენს ყველაზე მძიმე დანაშაულს სამოხელეო დანაშაულთა თავში. ქრთამის აღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

სამოხელეო დანაშაული ხელყოფს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ საქმიანობას. მსგავსი დანაშაული ჩადენილია, როგორც წესი, სახელმწიფო მოხელის მიერ თავისი სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ. სამოხელეო დანაშაულის კვალიფიკაციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანაშაულის ამსრულებლის განსაზღვრა. სამოხელეო დანაშაულის სუბიექტი, როგორც წესი, სპეციალურია. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ საჯარო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი. სამოხელეო დანაშაულის სუბიექტის განსაზღვრისას სისხლის სამართლის კოდექსი ეყრდნობა საქართველოს კანონს „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომლის მიხედვითაც „საჯარო მოსამსახურე არის პირი, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.“¹⁷⁴

დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისა და ცივილიზებული ეკონომიკის განვითარების დროს სოციალური სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ხელისუფლებისა და

¹⁷³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, სსმ, 41(48), 13/08/1999, 338-ე მუხლის პირველი პუნქტი
<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>> [25.08.2018]

¹⁷⁴ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვებგვერდი, 11/11/2015, მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.
<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098>> [25.08.2018],

მმართველობის, ასევე ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სწორ და გამართულ მუშაობას. საჯარო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობისა და მათ პატიოსან საქმიანობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტა. დღესდღეობით სახელმწიფო მოხელეები ჩაფლულნი არიან კორუფციაში, ეს კი ძირს უთხრის მათ პრესტიჟსა და ავტორიტეტს საზოგადოებაში, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ქრთამით შეიძლება ყველაფერი მოგვარდეს. ასეთ სიტუაციაში მოხელის მიერ დაკავებული თანამდებობა ყიდვა-გაყიდვის საგნად არის ქცეული.

ქრთამის აღების, როგორც დანაშაულის საშიშროება, იმითაც არის განპირობებული, რომ იგი საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ დაწესებულებათა სტაბილურობას, ამუხრუჭებს ეკონომიკური განვითარების პროცესს, ძირს უთხრის საზოგადოების მორალურ საფუძველს.¹⁷⁵

ქრთამის აღება კორუფციის ერთ-ერთი ყველაზე ტიპური სახეა. ევროპის საბჭოს მიერ სისხლის სამართლის სფეროში მიღებულ კონვენციაში კორუფციასთან ბრძოლის შესახებ დამკვიდრდა პასიური და აქტიური კორუფციის ცნება.

პასიური კორუფცია ნიშნავს ნებისმიერი სახელმწიფო მოხელის მიერ განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, თავისთვის ან სხვისთვის, გაუმართლებელი უპირატესობის მიცემის მოთხოვნაში ან ამ უპირატესობის მიღებაში, ან ასეთი უპირატესობის შეთავაზებისა თუ დაპირების მიღებაში, მისთვის ან სხვისთვის ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ან სამსახურებრივი ფუნქციით გათვალისწინებული მოქმედებისაგან თავის შეკავების სანაცვლოდ.

აქტიური კორუფცია გულისხმობს ნებისმიერი პირის მიერ განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მისი რომელიმე სახელმწიფო მოხელისათვის, ამ სახელმწიფო მოხელის ან სხვა პირის ინტერესებისკენ მიმართული, გაუმართლებელი უპირატესობის

¹⁷⁵ სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 2, ავტორთა კოლექტივი, გამართლავილის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 155.

მიცემაში ან ამ უპირატესობის დაპირებასა თუ შეთავაზებაში, მისთვის ან სხვისთვის ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ან სამსახურებრივი ფუნქციით გათვალისწინებული მოქმედებისგან თავის შეკავების სანაცვლოდ.¹⁷⁶

ქრთამი, როგორც ხელყოფის საგანი, წარმოადგენს ქონებრივი ხასიათის უკანონო სიკეთეს. არაქონებრივი ხასიათის სიკეთის მიღება, მოხელის სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ქრთამი. მაგ: დახასიათება, რეკომენდაცია. ქრთამის საგანია ფული, ფასიანი ქაღალდი, სხვა ქონება ან ქონებრივი სარგებელი ანდა სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობა. ფულის ცნებაში იგულისხმება არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვაში მოქმედი ლარი, არამედ სხვა სახელმწიფოს საფინანსო ბრუნვაში არსებული ვალუტაც. ქრთამის საგნად არ ჩაითვლება საქართველოსა და უცხო სახელმწიფოების ფული, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში არ არის. ქრთამის საგნად შეიძლება ჩაითვალოს ასევე ნუმიზმატიკური ფასეულობები. მართალია, იგი ფულად არ ჩაითვლება, თუმცა შეიძლება ქრთამის საგანი გახდეს, როგორც „სხვა ქონება“. ქრთამის საგანი ასევე შეძლება გახდეს ფასიანი ქაღალდი. ფასიან ქაღალდს წარმოადგენს, მაგალითად, სახელმწიფო ობლიგაცია, აქცია, ჩეკი, თამასუქი.

ობიექტური მხრივ ქრთამის აღება დამთავრებულია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ქრთამის მღების ან მოთხოვნის, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღების მომენტიდან. ქრთამის მოთხოვნას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მოხელე პირდაპირ ან შენიღბულად აგრძნობინებს სხვა პირს, რომ მან უნდა გადაიხადოს თანამდებობის პირის მომსახურების სანაცვლოდ. ასევე, მნიშვნელობა არა აქვს გადაცემა თუ არა ქრთამის საგანი ან განხორციელდა თუ არა რაიმე ქმედება

¹⁷⁶ სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციასთან ბრძოლის შესახებ, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 14 დეკემბრის N 3956-რს დადგენილებით, ძალაშია 2008 წლის 1 მაისიდან, მე-2 და მე-3 მუხლი,

ამ მოთხოვნის სანაცვლოდ - მთავარია თვით მოთხოვნის არსებობა. ქრთამის აღებად დაკვალიფიცირდება ქმედება მაშინაც, როდესაც ქრთამი გადაეცემა მოხელის ოჯახის წევრს ან მის ახლობელს, მაგრამ იმისათვის, რომ მსგავსი ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც ქრთამის აღება, აუცილებელია, რომ მოხელემ იცოდეს ამის შესახებ და თანხმობა ჰქონდეს მიცემული.

ქრთამის აღების სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას და სურს იგი.¹⁷⁷

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მეორე ნაწილი ასევე ითვალისწინებს ქრთამის აღებას დამამძიმებელ გარემოებებში - ქრთამის აღება: ა) სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ; ბ) დიდი ოდენობით; გ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს – საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრი და მისი მოადგილე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები¹⁷⁸ - გაცილებით მეტი უფლებამოსილება აქვთ სხვა საჯარო მოხელეებთან შედარებით და ამიტომ, უფრო დიდი პასუხისმგებლობაც აკისრიათ. რაც შეეხება ქრთამის აღებას დიდი ოდენობით, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ქრთამის აღება დიდი ოდენობით გვექნება მაშინ, თუ ქრთამად მიღებული ფულის,

¹⁷⁷ სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 2, ავტორთა კოლექტივი, გამართულაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 163.

¹⁷⁸ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი.

ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი სარგებლის სახით თანხა ათი ათას ლარს აღემატება.

დამამძიმებელ გარემოებად ითვლება ასევე, ქრთამის აღება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც არსებითად ზრდის ამ დანაშაულის საშიშროებას და ამიტომ ქმნის სუბიექტურ საფუძველს ქრთამის აღების ყველა უშუალო მონაწილის პასუხისმგებლობის გაზრდისათვის. „წინასწარ შეთანხმებაში“ უნდა ივარაუდებოდეს ქრთამის აღების მიზნით ორი ან მეტი პირის შეთანხმება, რასაც ადგილი ჰქონდა დანაშაულის უშუალო განხორციელებამდე. ვინაიდან განზრახი დანაშაულის დასაწყისად მიიჩნევა უშუალოდ დანაშაულის ჩადენისაკენ მიმართული ქმედება, წინასწარი შეთანხმება ჯგუფური დანაშაულის ჩასადენად შეიძლება მოხდეს მოსამზადებელ სტადიაზეც. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფში შედიან მხოლოდ თანაამსრულებლები. ქრთამის აღებაში თანამონაწილეობისას შემდეგი პირობები უნდა იყოს სახეზე: 1) ქრთამის აღებაში უნდა მონაწილეობდეს არანაკლებ ორი მოხელე ან მათთან გათანაბრებული პირი; 2) მათ შორის ქრთამის აღებაზე შეთანხმება მიღწეულ უნდა იქნას მის მიღებამდე, მოთხოვნამდე ან დაპირების მიღებამდე; 3) ჯგუფის თითოეულმა წევრმა ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, უნდა შეასრულოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს მისი შესრულებისაგან; 4) ჯგუფის თითოეული წევრის მიზანს უნდა წარმოადგენდეს უკანონო მატერიალური გამორჩენის გარკვეული ნაწილის მიღება. დანაშაული დამთავრებული იქნება, თუ ერთ-ერთმა თანაამსრულებელმა მაინც მიიღო ქრთამის საგანი ან მოსთხოვა, ან მიიღო დაპირება ქრთამის საგანზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, თუ იგი ჩადენილია მექრთამეობისათვის მსჯავრდებული პირის მიერ, განსაკუთრებით ამძიმებს პასუხისმგებლობას. დამამძიმებელ

გარემოებას ქმნის ასევე, ქრთამის აღება არაერთგზის.¹⁷⁹ არაერთგზისობა გამოირიცხება, თუ პირი დადგენილი წესით ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ან მას ნასამართლეობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა. არაერთგზისობას არ ექნება ადგილი, თუ დამნაშავე მისთვის გადასაცემ მატერიალურ ფასეულობას იღებს ნაწილ-ნაწილ. არაერთგზისობა არ იქნება, თუ დამნაშავე რამდენიმე პირისაგან იღებს ქრთამს ერთდროულად, მაგრამ ერთი გარკვეული მოქმედების განხორციელებისათვის. დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა ასევე ქრთამის გამოძალვა, გამოძალვად ითვლება მოხელის მიერ პირისათვის ქრთამის მოთხოვნა ისეთი მოქმედების განხორციელების მუქარით, რომელსაც ზიანი შეუძლია მიაყენოს როგორც ქრთამის მიმცემს, ისე მის ახლო ნათესავთა ინტერესებს. დამამძიმებელ გარემოებად ითვლება ქრთამის აღება განსაკუთრებით დიდი ოდენობით. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებად ითვლება თანხა ოცდაათი ათასი ლარის ზევით.

2. ქრთამის მიცემა

მექრთამეობის შესახებ საუბრის დროს აუცილებელია, რომ ვისაუბროთ არა მხოლოდ ქრთამის აღებაზე, არამედ ქრთამის მიცემაზეც, რომელიც აქტიური კორუფციის სახეს წარმოადგენს. ამ დანაშაულის ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც ირღვევა მისი ჩადენისას და ამით, ძირითადად, ილახება სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობის ორგანოების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მისი მოხელეების პრესტიჟი და ავტორიტეტი. ქრთამის მიცემა გულისხმობს მოხელისათვის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის პირდაპირ ან არაპირდაპირ, მისი ან სხვა პირის სასარგებლოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი

¹⁷⁹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლი.

უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება, რათა მან თანამდებობრივი უფლებების განხორციელებისას და მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან, ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა, მსგავსი ქმედება ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. ეს დანაშაული მიეკუთვნება ფორმალურ დანაშაულთა შემადგენლობას - იგი დამთავრებულია ქრთამის საგნის დაპირების, შეთავაზების ან მინიჭების მომენტიდან, იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა შესრულებული მოხელის მიერ ქრთამით განპირობებული მოქმედება. თუ სახელმწიფო მოხელემ უარი თქვა ქრთამის აღებაზე, ქრთამის მიმცემისათვის დანაშაული მაინც დამთავრებულია. ქრთამის მიცემა პირდაპირი განზრახვით ხასიათდება.

სისხლის სამართლის კოდექსი ქრთამის მიცემის მუხლში ითვალისწინებს შენიშვნას, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ქრთამის მიმცემი, თუ მან ამის თაობაზე ნებაყოფლობით განუცხადა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო.¹⁸⁰

3. სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში არსებობს რამდენიმე საინტერესო განმარტება ქრთამის აღებასთან დაკავშირებით.

¹⁸⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის ი) ქვეპუნქტის მიხედვით, „საიდუმლო თანამშრომელი (კონფიდენტი) არის 18 წელს მიღწეული ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც ნებაყოფლობით, კონტრაქტის საფუძველზე თანამშრომლობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოსთან ან გამომძიებელთან და ასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს“.¹⁸¹

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმე N2კ-497აპ.-16 - ის სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა: „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ფარული აგენტის გამოყენება საგამომძიებო პროცესში თავისთავად არ ხელყოფს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში დადგენილ გარანტიას (სამართლიანი სასამართლოს უფლება). მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა როლი ჰქონდა ფარულ თანამშრომელს. საგამომძიებო ორგანოს თანამშრომლებმა/კონფიდენტებმა არ უნდა განახორციელონ პირებზე იმგვარი გავლენა, რომ შემდგომი პასუხისმგებლობის მიზნით, წააქეზონ მათ მიერ დანაშაულის ჩადენა. კონვენცია ირღვევა, როდესაც აგენტები უბიძგებენ პირს დანაშაულის ჩადენისკენ და სახეზე არ არის არგუმენტი, რომ მოცემული დანაშაული მათი მონაწილეობის გარეშე იქნებოდა ჩადენილი. ფარულ თანამშრომელთა მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში უნდა განხორციელდეს მხოლოდ პასიურად და მათ არ უნდა ჰქონდეთ როლი ბრალდებულთა განზრახვის ფორმირების პროცესში; თუ ფარული აგენტი აქტიურად არის ჩართული და არსებითად უღვივებს პირს დანაშაულის ჩადენის სურვილს, სახეზეა დანაშაულის პროვოკაცია; ხოლო როცა მიმდინარე/დაწყებულ დანაშაულებრივი ქმედების ფარგლებში ხდება ფარული თანამშრომლის ჩართვა, ეს ითვლება პასიურ

¹⁸¹ იქვე, პირველი მუხლის მე-2 ნაწილის ი) ქვეპუნქტი.

მოქმედებად და, შესაბამისად, მისი ქმედება არ არის მაპროვოცირებელი“.¹⁸²

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატა საქმე N2კ-128აპ.-16 -ში განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მოხელე თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას იყენებს ქრთამის მიმცემის ინტერესების სასარგებლოდ, ადგილი აქვს ქრთამის აღებას, რომელიც დამთავრებულია მის მიერ ქრთამის მოთხოვნის ან მისთვის ქრთამის შეთავაზებაზე თანხმობის მიცემის მომენტიდან.¹⁸³


საქმე N2კ-308აპ.-14 -ში საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის განმარტებით, ქრთამის აღება, როგორც დანაშაული, დამთავრებულია ქრთამის მოთხოვნის მომენტიდან და არ აქვს მნიშვნელობა, შესრულდება თუ არა მიცემული დაპირება. ასევე შემადგენლობის მიღმაა ისიც, ჰქონდა თუ არა მოხელეს ქრთამის მიმცემის სასარგებლო მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება. ამასთან, იმისათვის, რათა განხორციელდეს საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, მუხლის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ თანხის მოთხოვნას თან ახლდეს ქრთამის მიმცემისათვის სასარგებლო მოქმედების განხორციელების დაპირება, ასეთის გარეშე კი დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი სახეზე არ იქნება, რაც თავისთავად გამორიცხავს ამ დანაშაულის შერაცხვის სამართლებრივ შესაძლებლობას.¹⁸⁴

¹⁸² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება 2კ-497აპ.-16

¹⁸³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება N2კ-128აპ.-16

¹⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება N2კ-308აპ.-14.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში N2კ-394აპ.-07 განმარტებულია, რომ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ქრთამის აღებას ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობისათვის. ამასთან, ეს მოქმედება შეიძლება: ა) შედიოდეს მოხელის სამსახურებრივ უფლებამოსილებაში; ბ) არ შედიოდეს მოხელის უშუალო უფლებამოსილებაში, მაგრამ მის ავტორიტეტსა და გავლენას შეეძლოს, ხელი შეუწყოს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულებას ან შეუსრულებლობას; გ) მოხელემ სამსახურებრივი მფარველობა გაუწიოს ქრთამის მიმცემს.¹⁸⁵



ცხრილი N1. სტატისტიკური მონაცემები

¹⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება N2კ-394აპ.-07.